

K5571

Q

32

ოსმალეთის ყოფილი საკართველო

19

ქართველ გავარიანთა ნაწილი

კ ა ზ ი ს ტ ა ნ ი

ისტორიულის და ეთნოგრაფიულის მხრით.

პირველი ვიზუალი.

აღწერილი და გამოცემული ზაქარია ჭიჭინაძის მიერ.

ტეილისი

1927

ოსაქართველოს კულტურული სამსახურის და მართვისა და განვითარების ნაშილი

# მ კ ზ ი ს ტ ა ნ ი

ისტორიულის და ეთნოგრაფიულის მხრით

30630ლ 50850.

2

11

აღწერილი და გამოცემული ქაქარის ჭიჭინაშვილი.

2017 - 2893/0

ტფ0ლის

1927



o. j. წ. დ. ა. სტამბა, შეკ. № 956.

მთავრობი 1248 - ტირაუი 1000

## ԹԱՅԱՋԱԾՈՎ ԿՐԴ. ԼԵՎԱՌԻՎԱԼԻՆ ՇԱ ՀԱՐԹՎԱԼ ՄԱԿԱԳՈՎԱՅԻ ԵՎՑՈԼՈ ՀԱՅՈՒՏԻԱՅՈ.

Ցուիշանքուն ժայռու մերստորուն, ցողովրագոն դա մատ Շորու յի հուստից թինյոտ VII սայշ. Ֆերմագուց դա հոմուս ուստորուզուն դա մատ Շորու օյստինց մերստորուց: Լանցեծ, կոլլեցեծ դա յարտապահուն ենուրատ մուստինցեցն. ուստու ամոբիցեցն, հոմ կոլլեցեծ լանցեծ արուան յարտապահուն ժումուստինց դա ուս ազգուցեցն, սաճապ յև եալու սցեռց-հոմեծ, մաց. პոնքուս դա յամուլուկուս, յև ազգուցեցն արուս մատու սամ-կառուցելու ծոնա; մատու յայսանա, օլլու սայերտապահուն դա սամեցըլուն.

Ամաց աթիսանու արուան յարտապահուն մերստորուց- դա մատ Շորու դաց. հյուծոնամյունու, գոմ. ծայրածց, նոյ. ցամրուցըլու, Ֆերմայ. յարուս, և, ծահատամյունու, Ֆերմուցըլունու նոյու մարուս դա ամուս „ուղարկուցուն“ եռմ նատելս թույնս ամ յամուցեծ դա ասածու- տեծ մարուս յարտապահուն մերստորունուն մոշմոնդուն.

Լանցեծուս դա կոլլեցեծուս մուսվալա սայերտապահուն յյուտովուն յի հուստունու մուսվալա սայերտապահուն յյուտովուն յի հուստունու մուսվալա սայերտապահուն դա ասասելլեցեցուն սայերտապահուն յի հուստունու ոյ, սաճապ մերմաց յի հուստուն մաս პոնքու դա յամուլուն.

Դատելու յև մուգամուցուն პոնքունուատ յարտապահուն ժումունուն դա ցազսունա, զոնմե մյեսես մոբիմոնդուն, տատ յրուցանուց, յ. ո. յրուցանուն յարտապահուն դասաթելլեցուն սայերտապահուն, հոմելսապ յարտապահուն յի հուստունու սպառագալու, արարուտուս մտուս մասելունծունուց յարտապահուն դասաթելլեցուն, ամումու յի հուստունուատ մուտյուսապ յարտապահուն սայելու ար-արատու, յև ոչու ար ասասվալլու, այյութամ յի հումուսցու արարուտու. յև այ օտյունուս նաեիցանեց, հոմելսապ օմ գրուս յարտապահուն սայելու հիցան յի հուստուն. ամ սութպունուն յի հումուսցու նաեիցան.

Եցակէտուն ամ պոնքունուատ մուսվալս յարտապահուն տացուանու սա- ելլեցատ այ յեմարուատ սուլ տացուանու յցակէտուն սայելուն, մացա- լուտեցն, կոլլեց արուս յցակէտուն սայելու. ասյու լանցու, կընյոտու (դա արա յանցու) „սցենցու“ դա արա սցանցու. յանու հոմ մցուլատ յի յըն- տու“ ոյու, ամաս ասածուեցն. մարուու, հապ մաս սոմթյունուս յի յարտապա- հուն մոշկաց դա սոմթյունուտ յանցեծ—յունու. յի հուստու տուրմե, հապ, համակարգութապահուն, յարտապահուն „յընյոտու“ յակալուցուն դա հոմ յև ասյա-

და ნამდვილი არის, ამას ასაბუთებსა თვით ვანის ლურს-მობრივი ნაშების აღმოჩენა და მისი ქართულად ცნობა მსწავლულებისაგან.

შერე ას ადგილებიდან გაფენილა ლაზების, კოლხების და მეგრელების რიცხვი და იგინი მოპოვებიან შავი ზღვის ნაპირებს. რკინის პალომდე (ტრაპიზონი) დაწყებილი აჭინდელ აფხაზეთის საზღვრამდე, მაშინ თურმე ამ ქართველებსაც თავიათი პირველყოფილ ეგვიპტური სახელები ეწოდებოდათ, მაგალითებრ, „მერგელი“ და არა შეგრელი, „აფსარი“, და არა აფხაზი და სხვები.

ტელ მწერალთა ცნობით, დასაბუთებულია, რომ ლაზი, კოლხი, ჭენეთი, სვენეთი; მეგრელი და აფხაზი არის ქართველის ტომის ნაწილი და უკელა ამათი ენა და ანბანიც არის ქართული.

ეს რომ ცხადია და კეშმარიტი, ამ გარემოების უძველეს დროის უცხო ტომთა მწერალთა და ქართველ მწავლულთ გარდა, ევროპის უახლოეს დროის მწავლულნიც მოგვითხრობენ და ასეთებს შორის ორენტალისტი დუბოა დე მომპრე, ლენორმანი, ლანგლოო, მასპერო და ბევრნიც სხვანი პირდაპირ ასახელებენ; რომ ლაზები, კოლხები და სხვანი არაან ქართველი. ტომისანი.

ვვონებ, ეს საკმარისი უნდა იქმნეს ლაზებისათვის. ამასვე ასვე გვასწავლის ბროკ გაუზიდა მისი „ენციკლოპედიური სიტყვის კონები“, სადაც ლაზები და კოლხები ქართველის ტომის მონათესავთ არის აღიარებული. ამიტომ ლაზებმა უნდა იწამონ უაღრესათ, რომ ისინი ქართველი ტომისანი არიან და არა თურქისა და ქურთის ტომისანი, როგორც ეს შათში იქმნა ოსმალთაგან დაწყებული იმ დღიდან, რაც საქართველო დაუძლურდა და ოსმალეთმა ლაზისტანი საქართველოს ჩამოპგლიჯა. ლაზთა და კოლხელების გადაგვარების საქმეს ხელი შეუწყო დიდათ იმ გარემოებამ, რომ ოსმალეთმა ლაზისტანი ჩამოგლიჯა საქართველოს 1580 წ. და ამის შემომა, ანუ 1600 წ. ლაზებს ისლამთან დაუწყეს დაკავშირება და 50 წლის განმავლობაში მოვლი ლაზისტანი ისლამს დაუკავშირეს.

ახალციხის ქართველ კათოლიკეთ ივანე ნათლის მცემელის ეკლესიას ბიბლიოთეკაში დაცულ ძველ „მისაონარრლი დლიური“ მოწმობს, რომ იმ დროს, ლაზების ისლამთან დაკავშარების დროს, ლაზთაგანს ბევრს მიუღია კათოლიკობა და მით გადურჩენია თავი გათათრებისაგან. ასეთ ლაზების სადღეისოთ სულ გასომბებულ არიან ენით და იგინი იწოდებიან სომებ-ქათოლიკეთა. ამის მაგალითია, რომ სომებ-კათოლიკებში დღესაც მოაპოვებიან მრავლათ ისეთი სომებ-ქათოლიკენ, რომელთაც გვარაზ ლაზიანი და ჭანიანი ეწოდება.

ამიტომ ვალდებული არიან ლაზები, რომ კარგათ შეიტყონ  
და შეიგნონ ის გარემოება, რომ იგინი არიან ქართველის ერის შო-  
დგმისანი, რომ მათი სამშობლო არის საქართველო, მათი დედაენა  
არის ქართული ენის მამათმთავარი და მათი დედა ენის ანბანიც  
არას ქართული ანბანი და არა თურქული და არაბული ანბანი, რო-  
გორც ამას უქადაგებდენ მათ ოსმალი და უმცკიცებდენ, რაც არის  
მტკნარი სიცრუე და სიყალბე ასმალოს სასულიერო წოდებისა.

ესეთის ოსტატურის ქადაგებით ოსმალთა ისლამის ხოჯებმა  
და მოლებმა დიდათ ავნეს ჩვენს ტომის, მათ ქართველ მაჰმადიანებ-  
საც ასევე ჩაუნერგეს და დაარწმუნეს, რომ თქვენ თათრის ტომისა-  
ნი ხართო და ამიტომაც მოხდა, რომ საპუხე-საათაბაგოში 24 ნა-  
წილმა დაკარგა ქართული ენა და დღეს მთოლოდ ექვს ნაწილში ქარ-  
თულად ლაპარაკობენ თავის დედა ენას.

დანარჩენ ადგილებში ყველგან მოსპეს ქართული ენა ქართველ  
მაჰმადიანთა შორის. ლაზებსაც ასევე უყვეს. ისლამის დაკავშირების  
საშუალებით. აი არა შესძლეს მათ. ლაზებს მთლად ვერ დაავიწყები-  
ნეს მათ ლაზური ენა, იგი მათ შეაძულეს სასტიკათ. შეძულებასთან  
შეაშინეს კიდეც ამის ხმარებისოფის. ამიტომ ლაზებში ლაზურის ენას  
აღარ ხმარობდენ. ეს იყო ზოგი შიშით და ზოგს ლაზსაც რცხვენო-  
და ლაზური ენის ხმარება და მიტომ არა ხმარობდა მას.

დღეს კი დრო შეიცვალა და ლაზებმა ოსმალოს სასულიერო  
წილების ეშმაკობა კარგათ შეიტყეს, იგინი მიხვდენ იმ გარემოებას,  
რომ ისინი არც ასმალი არიან და, არც თურქები, არც ქურთები.  
მათ შეიტყეს თავის ვინაობის ამბავი და მათ დღეს ალარ რცხვენი-  
ანთ მის, რომ იგინი ლაზები არიან და არც მისი ეშინიანთ, რომ  
მათ ლაზურათ ჩლაპარაკონ.

მადლობა გან გებას, რომ ძლიერ ელირსათ მათ და შეიგნეს თა-  
ვიანთი ვალი და თჭალები გაახილეს. იმედია, რომ ეს შეგნება მათ-  
ში უფრო წინ წავი მის საშუალებით მათ გადაგვარების და დაკარ-  
გვის საქმესაც ძრი მოეთხრება, რაც მათთვის იქნება ქებული და  
დიდებული.

ლაზები ნიკით ქართველ მაჰმადიანებს არ ჩამორჩებიან. ამათი  
ნიჭი ძევლათვანევე ცნობილია. ლაზებ-მეგრელების შესახებ მთელი  
მწერლობა არსებობს. ამის საფუძვლათ დავასახელებთ მარტო ერთს  
წიგნს, მაგალითად, ბართო უსლარის ისტორიულს გამოკვლევას ლა-  
ზებ-მეგრელთა შესახებ (ყაზანი, 1891 წ.).

ეს ლირსება და გარემოება იმის საფუძველია, რომ ოსმალებმა

ლაზებს ძველათვე შიაქცია დიდი უურადღება და ისლამთან დაკავშირების შემდეგ, ლაზებს დაუწყეს გადაგვარება და მოსპობა. ოსმალთა თავიანთ ბარბაროსობით და ცელურობით შესძლეს ეს. ლაზები გადააკეუს სრულიად, მათში აღმოკვეთეს ყოველივე, დაამხეს მათში მათი ვინაობის ყოველივე ცნებიერება და ვინაობის ხსოვნა.

ლაზებში უარპყვეს ლაზური ენა. ამას გარდა ლაზებს შეაძულეს ქართული ენა, ქართული წერა-კითხვა, მეგრელების და ქართველების ნათესაობა. ამას გარდა ყალბის ლაპარაკით ლაზებს აუწყეს, რომ თქვენი ანბანი არის არაბული და არა ქართულიო. ასეთის ბოროტებით ოსმალთა შესძლეს და ლაზებში დათესეს ყოველივე ბოროტება. იგინი დაამხეს სასტიკათ, აღმოკვეთეს გულიდგან ყოველივე ნათელი ნაციონალური ცნებიერების მიხვედრა და მის მაგირ მათ ჩაუნერებს თურქოფილობა, კინალამ გაათურქეს და გააქურთეს, ლაზები დღეს ქურთებს ჰგანან.

მიუხედავათ ასეთის გადაგვარების და გათახსირების, მაინც ლაზებს შეუნარჩუნებიათ თავიანთი ვინაობის ხსოვნა. მკითხველს სიამოვნებით უნდა ვაცნობოთ შემდეგი გარემოება, რომელიც არ იქნება უმნიშვნელო: ამ დღეებში ბათუმში მე ვნახე რამდენიმე ლაზი; ერთი მათში თავისუფლათ მოლაპარაკე ქართულს ენით.

გაცნობის შემდეგ ამათ უთხარი ლაზების ნათესაობის ცნობები ქართველებს და მეგრელებთან. ამათ ეს ამბავი დიდათ მოეწონათ, მადლობა მითხრეს და დამავალეს შემდეგი პირობა: „ეგ წიგნები ქართულს ენაზედ რომ დაბეჭდოთ, მის შემდეგ მოახერხეთ და ოსმალურ ენაზედაც დაბეჭდეთ, რომ ჩვენმა ხალხმაც გაიგოს, რომ ჩვენ ქართველ-მეგრელების ნათესავები ვართ და არა თურქებისა და ქურთებისა. ამ საქმეში ფულით ჩვენ დაგემბირებითო, თორემ ოსმალოებმა ჩვენ ისე გადავვიწნეს, რომ ჩვენ ჩაგვინერგეს ის ყალბი ცნობები, რომ თქვენ თურქები ხართ, თქვენი ანბანიც არაბულია და არა ქართულიო“.

დიდის გულმოდგინებით დამავალეს და მოხვევს კიდევ შემდეგი კითხვები: თუ შეიძლება შეგვატყობინეთ, თუ როცა ოსმალნი მოსულან ლაზისტანში, მაშინ როგორ მოხდა. ეს რომ ჩვენ და მეგრელები ერთმანეთს დაუცილებივაროთ, ოსმალებს ჩვენ გამოურექივართ აქეთ, თუ მეგრელები გაურეკივართ იქით? ამის გაგება დიდათ გვინდა ჩვენ და იმედი გვაქვს, რომ ამ დავალებას შეგვისრულებთ მობრძანდებით ჩვენსას და გვიამბებთ ამ ამბავს?

დღეს ლაზებმა უკვე შეატყეს, რომ იგინი მეგრელ-ქართველე-

ბის ნათესავები არიან და ამათი ანბანის წიგნიც არის ქართული და არა არაბული.

ამ ამბავს ვენის გაზეთის საშუალებით ქართულ პრესას და საზოგადოებას ვაუწყებ და თან მათ გაგახსენებთ იმ გარემოებას, რომ ამ გარემოებით და დაკითხვით იგანი აავიანთის მორალურის, ანუ ზნეობითის ვალდებულებით შეხვდნენ. სხვა მეტი ლაპარაკი აქ საჭირო არ გახლავთ.

ლაზისტან-ჭანეთი ოსმალეთმა დაიპყრო 1582 წ. მცირე ხნის შემდეგ, ოსმალებმა მათ დაუწყეს ისლამთან დაკავშირება. საქმე ისე შოაწყეს, რომ მეჩეთი და საუკუნის დამდეგს, ლაზების ნახევარი უკვე ისლამს აღიარებდა.

მცირე ხნის შემდეგ ლაზებში არაბულ და ოსმალურ ენის კარგათ მცოდნე ხოჯები და მოლებიც გაჩნდნენ.

1627 წ. ოსმალეთმი სამცხე-საათაბაგოც დაიკავა, ათაბაგებს ავტონომია მისცა და მთელი ეს ვრცელი კუთხე ისმალეთის სახელმწიფოს საკუთრებად ჩარიცხა.

მთელი ეს კუთხე 24 სანჯათ და ოთხს საფაშალიკოთ გამოაკვადა. უფროსად დანიშნეს ახალციხის ფაშა, რომელიც იწოდებოდა ვალი-ფაშათ ანუ მთავარ მაზრთებლათ მთელი სამცხე-საათაბაგოსი. ახალციხის პირველი ფაშა გახლდათ ათაბეგი ბექა ჯაყელი.. ამ ათაბეგმა კონსტანტინეპოლიში ისლამი იწამა 1625 წ. სახელათ ამას უწოდეს საფარა.

1640 წლეიში, ოსმალთა ქართველებს ისლამთან დაუწყეს. დაკავშირება. ამისთვის ოსმალოს მთავრობას მოუწიდა ქართულ ენის მცოდნე სასულიერო პირები ანუ მოლები და ხოჯები, რომელთვიც უნდა გაევრკელებინათ ისლამი ქართველებში. ამ დროს სასულიერო წოდება ისლამის ცოდნაში ისე მომზადებული აღმოჩნდა, რომ მათ იყისრეს ქართველებში ისლამის გავრცელება:

ლაზებმა ამით ისლამის გავრცელებას ქართველებში დიდი სამსახური გაუწიეს. ლაზები თუმცა ისლამს დაუკავშირდენ, მაგრამ იგინი ქართულს ენას და წერა-კითხვას მაინც არ ივიწყებენ. ქართული ანბანის ცოდნა მათში 1840 წლებამდის არსებობდა და იგი თავისუფლათ იმარტინი ლაზთა ოჯახებში. ამის ტამამტკიცებელი საბუთია შემდეგი გარემოება.

1860 წ. ლი ფაშა თავდგირიძემ ცოლათ შეირთო ლაზელი ბეგის შაინ ოლლის ქალი დინდინი. როცა ქობულეთში მოიყვანეს ეს ქალი, ამ დროს ეს აღმოჩნდა ქართული ენის და წერა-კითხვას მცოდნება.

დნე. ამ ქალმა ილაპარაკა, რომ მე ქართული წერა-კითხვა ლაში-სტანში ვისწავლეო.

შეელის-ძველით, ლაზისტან-ჭანეთი იწოდებოდა ეგრისათაც. ქრისტეს წინეთ ფარნაოზ ქართველთ მეფემ ლაზისტანი გაანთავი-სუფლა ბიზანტიიელთ ფლობისავან. მაშინ ფარნავაზ მეფემ მთელი ლაზისტანი გაყო თრს საერისთავოდ და მასთან იგი დაკავშირა ეგ-რისთან. ამ სახით მაშინ მთელი ლაზისტანი გადაბმული იყო სამეგ-რელოსთან და შავზღვის ნაპირას ტრაპიზონილან დაწყებული აფხა-ზეუამდის სულ მეგრელ-ლაზები სცხოვრიზდნენ. ეს ხალხი წარმო-ადგენდა ერთ ტომის სხეულს და ერთს მეგრულ-ლაზურ ერთეულ შტოს.

ქრისტეს დაბადების მეორე საუკუნეს, ლაზისტანი ისევ ბიზან-ტიამ დაიპყრო. მათ ხელქვეშ დარჩნენ კარგახანს.

მეხუთე საუკუნეში ვახტანგ გორგასლანმა კვალად დაიპყრო ლა-ზისტანი და იგი დაკავშირებულ იქმნა საქართველოს სამეფოსთან. მეფემ ლაზისტანს თავის მართველად ლაზთაგან ერისთავი დაუდგი-ნა. ვახტანგის ძლიერება ბიზანტიიელთ შეიშურებს, ამიტომ ბერძენთა იმპერატორმა ერეკლემ იმეცადინა და ლაზისტანი ისევ ჩამოგლიჯა საქართველოს. ქართველთა მსგავსათ, იმპერატორმა ერეკლემ ლაზი-სტანში დასვა მართველად ლაზელი მოწინავე კაცი.

რამდენიმე ხნის შემდეგ იმპერატორს ლაზები აეშალნენ. ამათ აუწყეს, რომ ჩვენ ქართული ცხოვრების წესები უნდა გვქონდეს, მართველად გინდ ბიზანტიელი იყოს ჩვენშიო. იმპერატორი თანახმა გახდა ამის. ლაზებს დაუბრუნა ქართული ცხოვრების წესები, ვახ-ტანგ მეფის მიერ დადგენილი კანონები და მართველად კი დაადგი-ნა ბიზანტიელი. ასე და ამ გვარად დამშვიდებული ლაზისტანი ბი-ზანტიელთა ხელში დარჩა კარგა ხანს. ბაგრატიონთა გამეფების და გამძლავრების დღემდე კი ლაზმისტანი ისევ დაკავშირებულ იქმნა სა-ქართველოსთან. ბავრატიონებმა ლაზები, მეგრელები, აფხაზები და სვანები ერთ აკვნის შვილებადა ჩათვალეს და ერთ საერისთაოთაც დანიშნეს.

### ლაზელ-მეზრელების შესახებ ზოპირი ამბები.

ლიგანის მურლულის. ხეობაში და სხვაგანაც, ქართველ შაჰმა-დიანებთა შორის, ლაზებზე დაშთენილია ბევრნაირი გარდმოცემანი. ასეთ გარდმოცემას ერთი ვარიანტი დიმ. ბაქრაძესც მოჰყავს თავის

მოგზაურობაში, რომელიც რუსულად ცალკე ტომად დაიბეჭდა პეტერბურგს, 1875 წელს სახელდობრ „არქეოლოგიური მოგზაურობა გურია-აჭარაში“.

აქ მეც მოვიყვან სოგ-ზოგ ცნობებს, რაც ნააშბობია თვით ლაზელ მოხუცებულ ხოჯიებისგან 1895 წელს. ეს აბები ძველის-ძველ-თავანვე არის მათში დარჩენილი ზეპირ.

ლაზები, ჭანები და მეგრელები ერთნი ვყოფილვართ, აფხაზეთის შემდეგ მთელი შავი ზღვის ნაპირები სულ ლაზებით და მეგრელებით ყოფილა დასახლებული. აქეთ იმ ხალხს გარდა სხვა ტომის ხალხს არა ჰქონდა აღვილი და ცხოვრება, მარტოდ ლაზები და მეგრელები ყოფილია. მაშინ თურმე მთელი იმ ხალხის ქვეყანა გაიყოფებოდა სამ ნაწილად: ერთ ნაწილს ეწოდება ლაზისტანი, მეორეს—ჭანეთი, მესამეს—სამევრელო.

სამივ ამ ს ხელწოდების ხალხის ენა ყოფილა ერთი—ლაზური, ანუ მეგრული, რომელი ენაც მაშინ გავრცელეაული იყო მთელ შავი სლვის ნაპირებზედ. ეს ენა ლაზებს გარდა მაშინ თურმე ქართველებსაც კარგათ ესმოდათ. უოველი ლაზი თავისუფლათ ელაპარაკებოდა იმერელს, ქართველს და სხვებსაც. რადგანაც ამათაც ესმოდათ თურმე მაშინ ჩვენი ენა, ამისთვის ძველი კაცები იტყოდნენ შემდეგს: „ჩვენი ხალხი ქართველებთან ისე ხშირად გადადიოდნენ, ისეთი ხშირი მისვლა-მოსვლა და კავშირი ჰქონდათ, რადგანაც ლაზური ენა ქართველებსაც კარგათ ესმოდათ. ლაზებმაც იცოდნენ ქართული და ძველათ თურმე ამ ორივ ხალხში თითქმის ყველა სიტყვები ერთნაირად იხმარებოდა, მიტომ ესმოდათ ყველაფერი ერთმანეთის. მერე კი როცა დაკამლილვართ, როცა გავცალკევებულვართ, მაშინ სიტყვებიც გაყოფილა, გადასხვაფერებულან და ამიტომ ერთმანეთი მიგვივიწყებია და სიტყვების გაეხაც ველარ შეგვძლებია, ერთმანეთი დაგვიწყებია, ამ გარემოებას სიტყვების დავიწყებაც მოჰყოლია თან.“

### მთარე ზეპირი ამბავი.

(მარადიდის ნაწილის უფროსის მოხუც ახმედ ეფენდი ხალვაშისა-გან ნაამბობი).

ახმედ ეფენდი გონიერი კაცი იყო, შეგნებული ქართველი და საქართველოს ზეპირ ამბებიც ერთობ ბევრი იცოდა. საქართველოს გარემოების გამო მას გული დარღით ჰქონდა სავსე ყოველთვის. მწუ-

ხარებით ლაპარაკობდა. ერთხელ კავკასიონის მთების ანუ მყინვარის ამბავი მკითხა. მეც უამბე ყოველივე სამხედრო გზის ამბავი. იგი შეწუხდა და მერე თქვა:

— აბა ჩვენი უშედურება ეს არის, იქით ასეთი მთის სიმაგრენი, აქეთ კიდევ ასეთი სიმაგრენი და განა ეს ქვეყანა უნდა დაცემულიყო და გაყოფილიყოს, მაგრამ რას ვიქმთ, ყველა ეს სულ ჩვენი ოჯახის არევამ ქნა.

სამწუხაროდ, ამ პირის ბიოგრაფია დღემდე ვერ დავსწერე და დავბეჭდე. ეს კაცი დიდი მოტრფიალე იყო საქართველოს აღორძინების და ქართველ მაჰმადიანთა გათვითურნობიერების. მარადიდში მაშინ ამან ქართული სკოლაც გახსნა, მაგრამ სკოლა მალე დაიკეტა, რადგანაც მასწავლებელი რუსი იყო და ქართული ენა არ იცოდა, რაც მიზეზი გახდა სკოლის დაკეტვისა. ამას ზედ ისიც დაერთო, რომ მასწავლებელი ლოთიც იყო, არაყი ბოჭკით ედგა სკოლაში. ამის ამბავს ქვევით მოგახსენებთ. ეხლა ისევ ახმედ ხალვაშის ზეპირ ამბავს მოვიყვანთ ლაზისტანის შესავებ.

სამწუხაროდ, ერთ დროს ლაზება და მეგრელებს რაღაც მიზეზებით ქართული ენა დაავიწყდათ. ამის მიზეზები მგონი ის ყოფილა, რომ ლაზელ ხელოსნებს ქართლსა და იშერეთში მგზავრობა მოუსაბიათ, სამუშაოთ იქიდან აღარ მიღიოღნენ თურმე და თვათ ჩვენშიაც კი აღარ გაღმოდიოდენ, მაგალითად, აჭარასა და ლივანში. ამიტომაც დროის განმავლობის წყალობით ერთმანეთის ენაც მივიწყებიათ ისე, რომ ერთმანერთისა აღარაფერი ესმოდათ.

ამ გარემოებისთვის ქართველ მეფეებს ყურადღება მიუქცევიათ იმ ადგილებიდან, სადაც დღეს გურია გახლავთ და მის კიდებზედ ზღვის ნაპირების და ამ ადგილების სოფლები, ყველა იქიდან ლაზები და მეგრელები აუყრიათ, ისინი იშერეთში გადაუსახლებიათ და მათ მაგიერ მათ ალაგას დაუსახლებიათ ქართველები და ქართულად მოლაპარაკე ურიები და ამით სურვებიათ რომ სამეგრელო-ლაზისტანში ქართული ენა ისევ განახლებულიყოს და მოფენილიყოს, რომ ამ ენის გაგება ლაზებს, მეგრელებს და ქართველებს ისევე შესძლებოდათ. ეს როგორც მათში ძველის-ძველად იყო, მაგრამ, სამწუხაროდ, ესეთი ენის შეერთება ვეღარ მომხდარა და ლაზები და კანები მეგრელებს მთლად მოწყვეტიან.

მერე რა მომხდარა კიდევ? დაახლოების და მეგობრობის მაგიერ ერთმანეთს მტრათაც გადაჰკიდებიან და მით თვისი მტრები კი გაუხარებიათ. ასე მოხდება იქ, სადაც ოჯახის შვილები აირევიან და

ოჯახური საქმეც წახდება, ოორებ ეს რომ არ შომხდარიყო, მაშინ საქართველოს ვერავინ ვერას დააკლებდა, ვერც სპარსენი და არც სხვებს ჩაუვარდებოდა ეს ქვეყანა და ხალხი. ასე იტყოდნენ ჩვენში ძველი კაცები ამის შესახებ.

ძველათ ყველამ იცოდა ზეპირ, რომ ლაზი, ჭანი, მეგრელი და ქართველი, ერთი ძმები არიან, ერთი დედმამის შეიღნი და ერთი უნის ხალხიო. დღეს ეს ასე აღარ გახლუვთო.

### ისტორიული გარდოვება.

არის ასეთი ისტორიული გარდოვემაც: ლაზელ-ჭანელ-მეგრელები სცხოვრობდნენ შავი ზღვის ნაპირას მდებარე ქალაქებში და სოფლებში. უამთა ვითარების წყალობით ლაზებ-ჭანებ-მეგრელებს დაავიწყდათ ქართული ენის ხმარება და იგინი გადასხვათერდნ ქართულის ენისაგან. ამ გარემოებას ქართველმა მეფებმა ჟურადლება მიაქციეს. ლაზელ და მეგრელთა ადგილებიდან ერთ-ერთი ნაწილი ამ ხალხისა აჰყარეს და ქართლისა, იმერეთისა და კახეთის სოფლებში დაჭყანტეს და მათ მაგიერ, სახელდობრ, გურიას და ამის მოსაზღვრე სოფლებში მოიყვანეს ქართულად მოლაპარაკე ურიები და ესენი დაასახლეს, რომ ეგები ამათის დახმარბბით ისევ მოხდეს ენის გაერთიანებათ, მაგრამ ესეთი ენის შეერთება ვეღრი მოხდაო.

ძველათ ქართველი მეფენი აფხაზეთის და ლაზელ-მეგრელთა მეფებათაც იწოდებოდნენ. ასეთია მაგალითად აფხაზ-ლაზელ-მეგრელთ და სვანთა შემდეგი მეფენი: ლეონ მეფე, მოკვდა 806 წელში, თეოდორე მეფე, მოკვდა 846 წ., გიორგი მეფე, ვაკვდა 876 წ. იოანე მეფე, მოკვდა 890 წ. ადარანაზე მეფე, მოკვდა 896 წ., ბაგრატი, ძე დიმიტრი მეფის, 906 წ., კოსტანტინე მეფე, ძე ბაგრატის, მოკვდა 921 წ., გიორგი, ძე კოსტანტინე მეფისა, მოკვდა 984 წ., ლეონ მეფე, მოკვდა 956 წ., დიმიტრი მეფე, მოკვდა 979 წ. ამ მეფის სიკვდილით გათავდა აფხაზ-ლაზელ-მეგრელ მეფეთა წოდება

მეათე საუკუნის შემდეგ, რაკი ლაზისტანის მეფეთ წოდებულის თეოდორე უსინათლოს შემდეგ, თვით ლაზისტანიც შემოერთდა საქართველოსთან, მას შემდეგ. იგი ნელ-ნელა ზემო ქართლთან ერთად ძლიერდებოდა და წარმატებას ეძლეოდა. მეთორმეტე საუკუნეში ლაზისტანმა საქართველოს მეფების დახმარებით დიდს სიმაღლეს მიაღწია, სწავლა-განათლება აქ ერთობ დაწინაურდა, ამას გარდა ისედაც ხელოსან ლაზებს ქართველთა მეფენი უფრო ახალისებდენ

სახელოსნოთ, ასევე ხელს უწყობდენ მევენახეობას ანუ ბალოსნობას და სხვათა ბევრს საკუთარ სამეურნეო საქმეებს. ქართველ მეფეთა მოქმედებაშ ეს ერი სამაგალითოდ გახადა მთელს მესოპოტამიას, ანუ ძველ კაპაპლოკიას. ამიტომაც მთელი ამ კუთხის. მცხოვრები ბიზანტიელნიც სულ ლაზისტანის ქართველთა მფარველობის ქვეშ. შემოდიოდნენ.

მიტომაც კეთილგონიერმა თამარ მეფემ განიძრახა მთელი მესოპატამიის, ანუ კაპაპლოკის და ლაზისტან-ჭანეთის განთავისუფლება და საკუთარი მათი სახელმწიფოს დაარსება. დედოფლის განძრახვას ბიზანტიელთაც დიდის სიხარულით შეხედეს და ბევრის თათბირებსს და მოწყობის შემდეგ გონიერმა თამარ მეფემ დააფუქძნა ბიზანტიის იმპერიის ნაწილი, ტრაპიზონის სამეფო, ანუ ბიზანტიის მეორე. ანუ ტრაპიზონის სახელწოდების. მექონი იმპერია მეორე. ამ გარემოებამ ბიზანტიელთა და ქართველთ შორის დიდი ერთობის ხიდი გადო.

ტრაპიზონის იმპერიის დაარსების შემდეგ, მთელს ლაზისტანსა და კაპაპლოკიაში ქართველთა ხელშეუხებელი დარჩა და შეუწლუდავი. შაგალითებრ, სადაც კი ქართველთა რიცხვი სცხოვრობდა და ქართველი ერის სოფლები იყო, იქ ქართველებს ჰყვანდათ თავიანთი სოფლის მეთაურებათ ქართველები და ეს ქართველი განაგებდენ სოფლის საქმეებს ქართული ენით. ეკლესიები ქართველთ საკუთრებათ ჰქონდათ და წირვა-ლოცვაც ქართულ ენაზედ იყო და არა ბერძნულათ. სასწავლებელში ასწავლიდნენ როგორც ქართულს ისე ბიზანტიურს და სხვა ენებს და მშერლობას.

მთელ კუთხეში სასულიერო წოდების დამცველათ იყვნენ ქართველი ეპისკოპოსი და უფროსი მღვდელ-მთავარი, რომელიც სცხოვრობდა ტრაპიზონს და სახელად „ეპისკოპოსი ზემო ქართლისა“ ეწოდებოდა. სასულიერო გამგეობაში ყველგან იხმარებოდა ქართული ენა და სადაც ბერძენთა რიცხვი დიდი იყო, იქ ბერძნული ენა მეფობდა. მეთორმეტე საუკუნიდან ტრაპიზონის ჰქონდა ნამდვილი ქართრლი სახე. აქაურობა საკსე იყო ქართველთა ვაჭრებით, ხელოსნებით, მექარხნებით, მუშებით და სხვა მშრომელებით, ყველა ამათში ქართული ენა სუფედა.

მთელი საქართველოს სავაჭრო ყური ქალაქი, ეს ტრაპიზონი გახლდათ. ამატოააც მთელ ქართველთა სავაჭრო და საქარხნა სამრეწველო ძალა აქ, ამ ტრაპიზონში იღებდა ფეხს და მაგრდებოდა. შენიშნულია, რომ მეთორმეტე საუკუნის ბოლოს, ტრაპიზონში თავი

მოკრიბეს ვაკარ ქართველ ეპრაელთა დიდმა რიცხვმა. ესენი აქ და-  
სახლდნენ ერთს ქუჩაზედ. გააჩაღეს ვაჭრობა და დაწინაურდნენ.

ტრაპიზონში ებრაელებმა დაიპირეს ერთი დიდი კუთხე, გაა-  
შენეს სახლები, სავაჭრო დუქნები და სხვა. მაშინ ქართველი ურიე-  
ბი ქართულ ენას ხმარობდნენ, რადგანაც ივინა ჩამომავლობით ქარ-  
თველი იყვნენ და მაშინ მათ ეწოდებოდათ „მოსეს რჯულის თანა-  
მიმდევარნი“, რაც ნიშნავდა ისეთ ქართველებს, რომელთაც მოსეს  
რჯული ეჭირათ ყველა ამათ. მათი დედა ენათ იყო ქართული და  
ამათგან ამატობაც მთელ ტრაპიზონას. კუთხეებში ქართულმა ენამაც  
მკაფიოდ იწყო გამაგრება. შემდეგ საუკუნოებში ტრაპიზონი იყო შე-  
სანიშნავ სავაჭრო ქალაქი, სადაც ქართველთა რიცხვი დიდი იყო.

ბიზანტიის დამხობის შემდეგ (1452 წ.) რაკი ოსმალთა სლა-  
ვიანთა სამეფოება მთლად დაიპყრეს და კოსტანტინეპოლიში ფეხი  
გაიმაგრეს, მის შემდეგ იგინი ტრაპიზონისკენ გადმოვიდნენ და  
ბრძოლა დაიწყეს. აქ ტრაპიზონის ბრძოლამ 150 წელს გასტანა, ბო-  
ლოს მაინც დაიპყრეს ტრაპიზონის სამეფო, მოიშალა ტრაპიზონის  
იმპერია, უმეტესი ნაწილი ადგილების კი საქართველოს სამეფოს და  
სამთავროს მოკედლა, ოსმალების მარტოდ ტრაპიზონი ეკავათ. მე-  
რე კი ანუ 1520 წ. ტრაპიზონიდამ სხვა ადგილებიც დაიკავეს, მაგ-  
რამ იგიც მაინც ცოტა ხანს დარჩა, ლაზებმა ოსმალონი ტრაპიზო-  
ნიდან გარეცეს, გაძიეს.

ოსმალებმა ტრაპიზონი 1580 წელს მესამეთ აიღეს. ამის შემ-  
დეგ კი აქ ფეხი გაიმაგრეს და ისლამსაც დაუწყეს ლაზებში ვრცე-  
ლება. 1627 წ. რაკი ოსმალთა სამცხე-საათაბაგო მთლად დაიმორჩი-  
ლეს, მის მერე მთელი ლაზისტანის ადგილებიც სამცხითურთ ოსმა-  
ლეთის სამფლებელოთ დარჩა. მის მერე კი ტრაპიზონს და მთელს  
ლაზისტანშიაც ქართველების ყოველისფერზა იწყო შემცირება და  
მოსპობა.

მეჩიდვეწერ საუკუნის გასვლამდის ტრაპიზონში მოისპო ქარ-  
თველთა ყოვლისფერი ძალოვნება, მოისპო ქართველთ შორის სჯუ-  
ლი, მის მიპყვა ქართული ენის დაკარგვა, მოისპო ტრაპიზონში ქარ-  
თველ ვაჭართა რაცხი. ხელოსნების და თვით მოხელეების, ამების  
მოსპობას მოჰყვა, აგრეთვე მოსპობა სამლელელობისაც და მოკლე  
დროის განმავლობაში ტრაპიზონში მოისპო ქართული საყდრები და  
ქართველი სამლელელობა და თვით ქართლის სახელის მექნი ეპის-  
კოპოსის კათედრაც. ქართველების ყოველივე ვაჭრა ტრაპიზონში.  
ქართველთა გვერდით ბერძენთა სურვილი მაინცა და მაინც

ისე არ ისპობოდა, როგორც ქართველების, თუმცა ბერძნებიც დიდი დევნაში იყვნენ ჩავარდნილნი. ტრაპიზონში ქართველი ეპისკოპოსის ქათურაზე ბერძნებმა დასვეს ბერძნის ეპისკოპოსი და სახელათ მას უწოდეს „ეპისკოპოსი ზალთისა“, „ეპისკოპოსი ქართლის“. სიტყვა „ქართლი“ ბერძნულათ ასე გამოდისო. ასე მიამდეს ტრაპიზონელ ბერძნებმა.

ტრაპიზონის ვილაეთში და თვით ამ ქალაქშიაც სცხოვრობენ მრავლად ისეთი ქართველნიც, რომელთა ეამთა ვითარების წყალობით ქართული ენა დაუკარგავთ და იგინი დღეს ბერძნულათ ლაპარაკობენ, თუმცა ლაპარაკის დროს კი, იგინი თავს ქართველებათ სთვლიან. ასეთებს ბევრს დღემდე შერჩენილი აქვთ თვით ქართული გვარებიც და სხვა ასეთი გვაროვნული ცნობანიც. ასეთების რიცხვი ტრაპიზონს და მის თემში ასა ათასზე მეტი იქნებათ. აქ ქართველების დიდმა ნაწილმა დაჲკარგა ქართული ენა, მუსულმან ქართველებმა ოსმალური ენა შეითვისეს და გაოსმალდნენ და ქრისტიან ქართველებმა. შეითვისეს ბერძნული ენა და გაბერძნდნენ. ასეთ ქართველთა რიცხვს ტრაპიზონში კაცი ადვილათ ჰპოებს, მათი აქ მთელი უბნებია, იგინი უკეთესათ მისდევენ ფაჭრობას, ანუ ალებ-მიცემობას და ხელოსნობას. ნამეტურ ქართველ ებრაელთა, რომელთა რიცხვიც ტრაპიზონში 500 კომლზედ მეტი იყო ძველადგანვე.

რაკი ლაზისტანს უბედურება ეწსია, მასში მცხოვრები ქართველნიც დიდი დევნას მიეცნენ, ბევრი ბრძოლის შემდეგ, ქართველ ლაზების უმეტესობა ისლამს დაუკავშირდა, ზოგი დარჩა ქრისტიანად, მიეკედლნენ ბერძნებს, და მათის დახმარებით დაიცეს თავი, ხოლო სამემრისოდ კი მათაც ეწვიათ ეროვნული უბედურება და როგორც ქართველ მამადიანებმა ქართული ენა დაკარგეს და ქართულის მაგიერ ოსმალური შეითვისა, ისევე მართმადიდებელ ქრისტიანათ დარჩენილ ქართველებმა, ბერძნთა ზეგავლენით დაჲკარგეს ქართული ენა და დღეს იგინი ბერძნულათ ლაპარაკობენ ტრაპიზონს და მასთან მთელ ვილაეთში.

ერთი ნაწილი ქართველებისა სუსკავშირდა კათოლიკის სარწმუნობას, ლათინის წესის რიგს და მათი რიცხვი იმოდენი გახლდათ, რომ რომის ტახტმა ამ ქართველ კათოლიკეთათვის ტრაპიზონში მეჩეთიდმეტე საუკუნეში ეკლესია და სკოლა გახსნეს. ეს ეკლესია დღესაც არსებობს ტრაპიზონში და იგი „ქართველ კათოლიკეთა ტაძრათ“ იწოდება. ამ ეკლესიას აქვს მდიდარი სამკითხველო, სადაც მრავლად არის დაცული სხვა და სხვა ისტორიული ცნობები, რო-

შელნიც შეკრებილი და დაცულია ქართველ ლათინის წესრიგის პატრებისაგან. დღეს კი ტრაპიზონში ეს ქართველ კათოლიკენიც ეროვნულად დაკარგულები არიან, იგინი დღეს სომხურ ენაზედ ლაპარაკობენ.

ერთი ნაწილი დევნილი ქართველებისა დაუკავშირდა გრიგორიანობას. მათი რიცხვი ტრაპიზონის ვილაეთში საკმარისი უნდა იყოს და თვით გამაპმადიანებულ იამშილებიც, რომელთაც ზოგნი სომხის გვარისად სთვლიან ამ ემშილებს, თვით ამათშიაც კი მრავლად უნდა გახლდნენ ქართველ გვარის გასომაებული ქართველები, რომელთაც ქამთა მითარების წყალობით ქართული ენა დაპკარგეს და დღეს სომხურათ ლაპარაკობენ, იგინივე იწოდებიან ემშილებათ.

ჩე თუ ისე ლაზისტანში, საითაც კი ქართველებმა ფეხი გადადგეს და რომელიმე რჯულს შეუერთდენ, ყველგან დაპკარგეს მათ ქართული ენა, გადაგვარდნენ და თავიანთ ქვეყნის წინაშეც ეროვნულად დაიკარგნენ. ტრაპიზონშია და მასთან მთელს ვილაეთში დარჩენ მხოლოდ ქართველი ებრაელები: ასეთების რიცხვი ტრაპიზონში 500 კომლი იყო მეჩიდმეტე საუკუნეშა და მთელს ვილაეთშიაც 1000 მოსახლეზედ მეტი. ებრაელებმა ტრაპიზონში, რადგანაც ერთს კუთხეში სცხოვრობდენ, შეინახეს ქართული ენა, ტრაპიზონის გარეშე კი, რომელ ებრაელებიც კი სოფლებში გაფანტულნი სცხოვრობდნენ, იქ დაპკარგეს ქართული ენა და ოსმალური შეითვისეს. ტრაპიზონის იმ კუთხეს, სადაც ქართველთ ებრაელნი სცხოვრობდნენ, მოელ მხარეს ლამალურად „ქართველ კუთხე“ ეწოდება.

ქართველ ებრაელთა წყალობით მთელს ტრაპიზონში, ქართული ენა დაცული იყო და ვაჭარ ებრაელთაკან მთელს ქალაქში ისმოდა ქართული სატყევები. ერთის სიტყვით, იქაც ებრაელნი ისე იცავდნენ ქართულ ენას, როგორც მათ დაიცეს ქართული ენა, მესხეთსა და ჯავახეთში და ნამეტნავად ახალციხეს. 1840. წლის შედეგ კი, რაღაც მიზეზების გამო, ტრაპიზონიდან ქართველ ებრაელებმა აქეთ-იქით გასვლა იწყეს ფაჭრობის საქმეთა გამო, რაკი ტრაპიზონში ამათი რაცხვი დაძქსაქსა, ქართული ენაც შეირყა: ტრაპიზონში და მთლად მოისპო ქართული ენის ხმარება მთელ ქალაქში, მინამდის კი უიდრე ებრაელნი ერთად სცხოვრობლნენ, მინამ ტრაპიზონში ქართული ენა მკვდრად არსებობდა და კაცი ადვილად ნახავდა ამ ენის მცოდნე. კაცი ტრაპიზონის ქუჩებშიაც კი.

ის გარემოება, რომ ებრაელნი ქართულ ენაზედ ლაპარაკობდნენ, ტრაპიზონში ეს კველა ტომის კაცმა ქარგათ იცოდა.

ტრაპიზონში ქართველ ვაჭართა ორ ქართვასლა ტრსებობდა 1839 წლებამდის. ტრაპიზონში სავაჭროთ გაღადიოდნენ ახალციხე-ლი ვაჭრები და იქ ისაღვურებდნენ ქარგახანს. ამ ქალაქებში ყიდულობდნენ ფორთოხალს, ლიმონს, ზეთის ხილს, ლელვს, თაფლს, წმ. სანთელს, რომელიც იმურეთსა და ქართლში გაღმოძელდათ გასასყიდათ. ეს სავაჭრო ქართვასლები მოისპო 1840 წლების შემდეგ, ვინაიდგან აქ საქართველოს ვაჭრებმაც ამოიკვეთეს ფეხი.

ვიცით, რომ ტრაპიზონში იყო ერთი დიდი სახლი, საქართველოს შეფეხების საკუთრება, საღაც ისაღვურებდნენ ხოლმე ქართველთ მეურნი, ბატონიშვილები და სხვადასხვა მოგზაურნიც, რომელნიც სტამბოლში მოგზაურობდნენ ხოლმე საქართველოდან: ეს სახლი ისე-თი ფართო ყოფილა, რომ სამასს კაცს იტევდა თურმე.

ამ საკითხის შესახებ აი რა მიამდო 100 წლის მოხუცმა ხუსეან ქამჯარაძემ, ქართველმა მაჰმადიანმა, გონიერმა კაცმა, ქობულეთელმა. აქ ეს სიტყვა-სიტყვით მომყავსა: „ჩვენ, ბატონო, იმ დროს ვიყავ კარ დელეყანდი. როცა სოლომონ იმერეთის ტეფე ქობულეთში ჩა-ბრძანდა, მაშინ მე ქობულეთის ბეგიებმა სოლომონ მეფე ტრაპიზონს გაისტუმრეს. ბეგიებმა სამასი კაცი გააყოლას ტრაპიზონამდის, მეც იმ კაცებში ვერიე, მეფე ტრაპიზონში მიბრძანდა, ჩვენც მასთან ჩა-მოვხტით მის საკუთარ სახლში, დიდი სასახლე იყო, ამისთვის იტ-ყოდნენ, რომ ის სახლი ქართველ ხელმწიფების და ფადიშაკების იყოვო. ამიტომ სოლომონ ბატონიც იქ ჩამოხტა. ჩვენ სამ დღეს და-ვისვენეთ. მეფემ საჩუქარი გვიბოძა და მეოუხე დღეს სახლში გამო-გვისტუმრა.

ტრაპიზონში მეჩვიდმეტე საუკუნის ნახევარში კათოლიკე ბე-რებმა ააშენეს კარგი ეკლესია, ეკლესიის გვერდით გააკეთეს მოგზაურთა სადგომი სასახლბ და მასთანვე სამკითხველო და საეკლე-სიო არქივი. საბართველოს გარეშე, ოსმალეთში ეს ადგილი იყო მეორე, მაგრამ პირველ ბინათ სადგური კათოლიკის ბერების და მი-სიონერების. საქართველოში მოგზაური მისიონერები უსაფუოთ აქ ბინავდებოდნენ ხოლმე. ევროპიდან მოგზაურნიც ზღვით ტრაპიზონ-ში გადმოხტებოდნენ და აქ ისაღვურებდნენ. ასევე საქართველოდან წასულები პირველად ტრაპიზონში ჩამოხტებოდნენ, მერე აქედან ოსმალეთიბ სხვა და სხვა ქალაქებს გაემგზავრებოდნენ.

საქართველოს კათოლიკეთა მისიონერების ბინა ტრაპიზონი გახდა. რასაც კი მისიონერები რამე ცნობებს სწერდნენ საქართველოს შასახებ, ამ მასალების თითო ასლს, ანუ პირს, ამ ტრაპიზონის

მისიონერთა არქივში ჰგავნილენ შესანახვად. თავის ღრმენ ამ არქივში საქართველოს შესახებ იმდენი მასალები მოგროვდა, რომ აქ მისიონერები ამ მასალებით თავისუფლად გაიცნობდნენ ხოლმე საქართველოს.

1752 წ. ამ არქივში გადიტანეს ტფალისიდამ დიდმალი ისტორიული მასალები და წიგნები. ეს ცნობებიც „მისიონერების დღიურიდან“ არის ამოკრეფილი.


1780 წ. ახალციხიდამ გადაიტანეს ყველა ისტორიული მასალები, რაც კი მანამდე დაცულ იყო ივანე ნათლისმცემელის, ეკლესიის არქივსა და სამკითხველოში.

1795 წ. გორიდან გადაიტანეს სხვა და სხვა ისტორიული წერილები საქართველოს შასახებ.

1800 წ. გადაიტანეს ყველა ისტორიული ცნობები, რაც კი არ სებობდა და ინახებოდა ტბილისში, სხვა და სხვა ღროსაც გაღატუტანიათ ხოლმე მათ, რომლის ცნობება ჩვენ არა გვაქვს. ვიცით კი დევ ისეთი მაგალითებიც, რომ საქართველოს შესახები წიგნები და მისალები საქართველოდამ ტრაპიზონში გაიტანეს შემდეგ ლათინის პრეტრა.

1752 წ. თბილისიდამ გადაიტანეს ბევრი წიგნები და მასალები პატრმა ჯერმინემ. 1786 წ. პატრმა მავრომ, პატრმა ნიკოლამ, პატრმა ფილიპე პირველმა 1795 წ. ახალციხის თემიდამ მთლად გადაზიდეს 1829 წ. ასე რომ 1830 წ. ტრაპიზონის არქივი ცნობილი იყო როგორც ბინა საქართველოს ისტორიის მასალებისა. ტრაპიზონის საქართველოს ისტორიულ არქივს მიხ. თამარიშვილიც, მოისენიებს ხშირად. 1860 წ. ტრაპიზონში მოვიდა მოგზაური მარენგო, აშე მოგზაურს პურდა საქართველოს გაცნობა; ტრაპიზონში მან იმდენი მასალები ნახა საქართველოს შესახებ, რომ ტრაპიზონში დარყა, საქართველოში აღარ დაბრუნდა და იქვე არძივის მასალებით და მისიონერთა ცნობებით დასწერა საქართველოს. ისტორია ფრანგულ ენაზედ, რომელიც 1880 წ. პარიზში დაბეჭდა კიდეც გაზ. „მისიონ კათოლიკი“-ში და ცალკე წიგნაკათაც გამოსცა.

ამ მოგზაურ მისიონერ მარენგოს გარდა სხვა მისიონერებსაც ბევრჯველ დაუწერიათ საქართველოს შესახებ შინაარსიანი წერილები, რომლის მასალები ტრაპიზონის ქართველ კათოლიკეთა ეკლესიის სამკითხველოს არქივიდან ამოუკრებიათ. ტრაპიზონის ქართველი ისტორიული არქივის ცნობები 1860 წლებამდის საქართველოში მიაც ხშირად ისმორა, მერე კა მისუსტდა და დღეს



ამ ისტორიული ქართული არქივის საქმე, ამის შესახებ ჩვენ არათერთ ვიცით. ისკი ვიცით კარგათ, რომ ამ არქივში ბევრი ისეთი ძვირფასი მას-ლები იყო დაცული, რომელთა მოპოებაც სხვაგან შეუძლებელი იყო, დიდი იშვიათი. ასეთის ისტორია ტრაპიზონის ქართული არქივისა.

ტრაპიზონის არქივის დაარსება კარგათ იქნა ცნობილი პაპის წინაშე. პაპის კონგრეგაცია, ტრაპიზონის ქართველ კათოლიკეთა ეკლესია დანიშნეს თვის მისიონერთა და „პროპაგანდოს“ წევრთა შუაგულ შიდა ცენტრად. საქმე ისე მოეწყო, რომ ტრაპიზონის ქართველ კათოლიკეთა ეკლესიის წინამძღვარს დაევალო. არქივის ზედამხედველობა და მასთან მოგზაურ მისიონერებისათვისაც დახმარებას და გეგმის მიუწერა, თუ მათ როგორ უნდა ემოვჭავრნათ საქართველოში, ანუ აღმოსავლეთის ქვეყნებში.

ჩვენ კარგათ ვიცით, რომ ტრაპიზონის არქივს პეტრი ქართულად შედგენილი დაბეჭდილი ლუკები, მასთან ჰქონდა სახელმძღვანელი სამოგზაურო წიგნები, ჰქონდათ ქართულ-იტალიურ, ქართულ-ფრანგულ და ქართულ-ოსმალიური სახელმძღვანელო წიგნები და ენების შესასწავლი სახელმძღვანელოები.

რომიდან ტრაპიზონში მოდიოდნენ ძმანი დომინიკანელები, ძმანი ავგუსტიანელები, ფრაციისკელები, თიათინელები, სხვა და სხვა ორდენის ძმანი იეზუიტები, ძმ. ლაზარისტები და ყველა ესენი ტრაპიზონის არქივის დახმარებით სწავლობდნენ ქართულ ენას და ისტორიას, ყველა ესენი საქართველოს. ამ არქივის დახმარებით ეცნობდნენ. ამ მისიონერებს ბევრი აქვთ ცნობები რაგორც საქართველოს შესახებ, ასევე ლაზისტანის და ლაზების შესახებ, რომელ ცნობებსაც მიხ. თამარაშვილიც მრავლად ასახელებს.

ამ არქივის ცნობებიც მრავლად იყო აღნუსხული სხვა და სხვა მისიონარულ დღიურებში, რომელიც დაცულ იყო ახალციხის ივანე ნათლისმცემლის ეკლესიის არქივში. ამის ამბები პატრია ჰავლე ყალაიჯოვამაც ბევრი რამ იცოდა. ამავე პირზა გაიგო ბევრი რამ ტრაპიზონის არქივის შესახებ და მისიონერ მარენგოსაგან დაწერალი საქართველოს ისტორია და წმ. ნინოს ცხოვრების შესახებაც. ფრანგულ ენაზედ დაბეჭდილი მაჩვენა ამ პატივცემულმა პატრია და ისაც გადმომცა, რომ წიგნები დაწერილა ტრაპიზონის ქართველთ კათოლიკეთა ეკლესიის არქივის მასალებიდამო. ასეთი მდიდარია ტრაპიზონის ქართული არქივით.

ტრაპიზონის არქივში უცხოვრიათ მრავლათ და ხშირათ თვით

ქართველ გვარის კათოლიკის მღვდლებსაც, ამათვე დიდძალი მასა-  
ლები უშერიათ ოსმალეთის საქართველოს შესახებ და აქ უტოვებიათ  
ყველა ეს მასალები). ქართველ კათოლიკებმა ტრაპიზონი გახდეს  
ისეთ ცენტრათ და ისეთ რეზიდენციათ მას გამო, რომ საქართვე-  
ლოში კათოლიკის სომხეთაგან ხშირად ეძლეოდნენ დევნის; აოხრე-  
ბას, წამებას და ტრაპიზონშა კა მათ ხმას არაეინ სცემდა. იქ ესენი  
თავისუფლათ სკოვრობდნენ და მოქმედებდნენ.

### ქართული ენით ლაზების გათვითცობილება.

ლაზისტანი ოსმალთ ბევრათ აღრე დაიპყრეს, ვინემ სამცხე-  
საათაბეგო. ჯერ სამცხე დაპყრიბილი არ იყო, რომ ლაზისტანში  
უკვე ისლამი ვრცელდებოდა. მთელი ლაზისტანი გაიყოფებოდა ოთხ  
საეპისკოპოსოდ. მთავარი ეპისკოპოსი ტრაპიზონში იჯდა, ამათ ლა-  
ზებზედ დადი გავლენა ჰქონდათ, ხოლო ისლამის მქანაგებელს კი  
წინ ვერ უდგებოდნენ, ვინაიდგან მათ ოსმალოს მთავრობაც მფრი-  
ველობდა.

სხმცხე-საათაბაგო ოსმალეთმა დაიმორჩილა 1627 წელს. ამ  
დროს ლაზისტანში უკვე ისლამი საქართველო იყო მოფენილი და გა-  
ვრცელებული. ქართველთ გამაჰმადიანების დროს, ჰირველად ხოჯე-  
ბე და ხოლები ჰყვანდათ მომვლელად.

ლაზელმა ხოჯებმა ისლამის გავრცელების საქმეს მოელ სამცხე-  
საათაბაგოში დიდი ვალი დასდეს.

ასე და ამ გვარათ 50 წლის მერე სამცხე-საათაბაგოში ხოჯე-  
ბათ სულ ლაზები იყვნენ, ქართველი ხოჯების ხსენება სულ არ იყო.  
მაგრამ ლაზების ცდით სამცხე-საათაბაგოშა 1650 წლებში უკვე ქარ-  
თველი ხოჯებიც გაჩდნენ.

ისლამში ლაზებმა გამოიჩინეს დაზი ფანატიზმი. ფანატიკობით  
ამათ გადაჲარბეს თვით ოსმალებს. მიზეხი ამისა ის იყო თურქე,  
რომ მუსლმანებში ოთხი სექტა ყოფილა, ერთი მეორეზედ უარესი.  
მეოთხე სექტა, რომელიც უფრო ფანატიკურია, სწორეთ ეს სექტა  
გაუვრცელებიათ. ლაზებში, რომ ამით იგინი დიდი ფანატიკები გა-  
მოსულიყვნენ. ეს ასეც მოხდა. ლაზები და ქართველები ფანატიკო-  
ბით ყველა მუსულმანებს სჭარბობენ.

ოსმალთ იმეცადინეს და ლაზები სასტიკათ მოწყვიტეს საქარ-  
თველოს ნიადაგს, ქართველთ ერის ძალას, ქართულ ენას და ქარ-  
თულ ანბანს, ქართულ ისტორიას, მწერლობას და სხვა ასეთებს. რა-

მალთა სასულიერო წოდებამ ლაზები თითქმის გააველურეს. ამას გარდა ლაზები დაარწმუნეს შემდეგის ყალბი ცნობებით.

ლაზები და ქანები ქართველების ნათესავები არა ხართ. თქვენი ენა ლაზური ენა არის და არა ქართული; თქვენი წიგნი ქართული არ არის. თქვენ ეხლა მუსულმანები ხართ, თქვენი სჯული ისლამის არის, ამიტომ თქვენი წიგნი არაბული უნდა იყოს და თქვენ უნდა ისწავლოთ თქვენი რჯულის ენა—არაბული და არა ქართული, ქართველთ თქვენთან კავშირი არა აქვთ; თქვენ ლაზები ხართ და არა ქართველები.

ასეთის ქადაგებით ლაზებში ამოეარდა ქართული ენა, ქართული მწიგნობრობა და მის მაგიერ გავრცელდა არაბული ანბანი და ოსმალური ენა. ეს დავიწყება ისე წავიდა წინ, რომ 18 საუკ. ლაზისტანში ქართული ენის მცოდნე სანთლით საძებარი გახდა. დავიწყებას თან ერთოდა ის გარემოებაც, რომ ისლამის სწავლის თანახმად ხოჯები ქართული ენის და წიგნის მტრობასაც ნერგავდნენ და ქადაგებდნენ ქართული ენის წინააღმდეგ.

ქართული ენა იცოდნენ თითო-ოროლმა ისეთ ლაზებმა, რომლებიც ხელოსნობის გამო იმერეთში გადადიოდნენ სამუშაოდ, სამცხე-საათაბაგოს და საქართველოს სხვა აღგილებშიაც. ასეთებისგან გაიგონებდით ლაზისტანში ქართულ ენას, თორემ მთელი ლაზისტანი რომ დაგევლოთ, ვერსაც ქართულ სიტყვას ვერ გაიგონებდით.

საქმე ისე მოეწყო, რომ ფანატიკ მოლების და ხოჯების დახმარებით ქართული ენა კი არა, თვით ლაზური ენაც მიეცა ღევნას და დავიწყებას: ამის მაგალითია ის გარემოება, რომ ლაზისტანში, ბევრს ალაგას, ლაზებთ შორის ლაზური ენა დავიწყებულია, დაქარგული და მის მაგიერ ოსმალურს ენაზედ ლაპარაკობენ. მეცხრამეტე საუკუნის დამდეგიდან, მთელს ლაზისტანში ამ ენას შიშის ხანა დაუდგა. თუმცა ლაზებმა ის კი იცოდნენ კარგათ, რომ ჩვენ ქართველების ნათესავნი ვართ და ჩვენი ანბანიც ქართული არისო.

ასეთი ცნობები მკვიდრათ იყო დაცული: ლაზელ-ბეგებსა და ალებში, ანუ თავად-აზნაურებში ამიტომაც ლაზებში ბევრს დიდებულთ შორის, ქართული ანბანი 1840 წლებამდე თურმე კიდევ ისწავლებოდა. ით ამის მაგალითი: 1860 წ. ოლი-ფაშა თავდგირიძემ ცოლათ შეირთო ლაზი თავადის შაინ-ოლლის ქალი დინდინ-ხანუმი. ეს ქალი რძლათ ქობულეთში მოიყვანეს. ამ დროს ამ ქალმა ქართული წერა-კითხვა იცოდა, რომელიც ლაზისტანში ესწავლა.

დიახ, ლაზელ ბეგებმა და ოლებმა იცოდნენ ეს ამბები, რომ

იგინი ქართველთ მონათესავენი არიან და მათი ანბანიც ქართული იყო, ხოლო უმრავლესობამ კი არ იცოდა ესა. ამ ბოლო დროს კი, ანუ 1910 წლების შემდეგ ლაზელ ბეგებსა და ალებში ძველ გარდამოცემათა ცნობების გავრცელება დაუწყვია და ლაზებში ბეგრი გაცემულან იმ გარემოებით, რომ იგინი ქართველის ტომის ნათესავნი არიან, შეუგნიათ ისიც, რომ მათი ანბანი ქართულია და არა არაბული.

ამის შეგნებისათვის მათში ქადაგება დაწყებულა და მოკლე დროის განმავლობაში ამ აზრის შეგნებას ბეგრი პატივისმცემლებიც გასჩენია, რომელთაც ხმა მაღლა ულიარებიათ, რომ ჩვენ ქართველების ნათესავები ვართ და ჩვენი ენის ანბანიც ქართული ანბანი არისო. ასეთის ქადაგებით ბეგრი აღფრთოვანებულა და ბოლოს აი რა მომზდარა:

ლაზისტანის ხოფას იქით, ამავ ქალაქის მაზრის მცხოვრებთ შორის გავრცელებულა ის აზრები, რომ ჩვენი ენა და წიგნი ქართული არისო. ამიტომაც სოფ. აბოისლიარში მცხოვრებთ კოლექტიური თხოვნა გაუგზავნიათ მინისტრებთან და უთხოვნიათ ნებართვა მის შესახებ. რომ ჩვენ ნება მოვვაცეს ჩვენს სკოლებში ჩვენი ენის, გურჯული (ქართული), წიგნი ვასწავლოთ ჩვენს შვილებსათ.

ამ საქმის მეთაური ყოფილა ლაზი პალულა აშიყ პასან-ოლლი. მინისტრებს თხოვნა დიდის პატივისცემით მიუღიათ, ნებართვა მალე მიუკიათ და ლაზებში ქართული ენის მცოდნე მასწავლებლები უნდა მიეხმოთ და ქართული სწავლა დაეწყოთ, მაგრამ ამ გარემოებას ამიანობამ შეუშალა ხელიო.

ასეთი ამბები გადმოგვცეს ლაზისტანიდან ჩამოსულ ლაზებმა და თან მათს სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა. მაღლობას ვუძღნით განგებას, რომ ჩვენ ძლივს მივხვდით ჩვენს ვალდებულებასაო.

ოსმალეთის მთავრობამ, რაღაც ბოროტის მოსაზრებით, ლაზებს სასტიკათ დაუწყო დევნა 1810 წლების შემდეგ, ოსმალი ლაზებს არც წინეთ აკლებდნენ დევნას, წინედაც სჩაგრავდნენ სასტიკათ, ხოლო 1810 წლიდან ეს შეწუხება. ოსმალებმა ლაზებს უფრო გაუორკეცეს. ლაზების დევნის უმთავრეს მიზეზებათ ის უნდა ჩაითვალოს, რომ ლაზები ოსმალოს ხალხს ნიჭიერებით უფრო სჯობდნენ, ყველა საქმეში ესენი აჭარბებდნენ, ნამეტურ მეზღვაურობაში, სმიტომაც მათო ეს შნო ოსმალთ შურდათ ძრიელ და ლაზებსაც ძრიელ სდევდნენ.

ოსმალთა ბოროტების ცხადი შემდეგი გარემოება: 1919 წ.

ახმედ ფაშა ახალციხისა შიუსიეს ლაზების და სასტიკათ აკულებინეს, ამ ფაშამ დაწვა, დადაგა ლაზები და თითქმის მოლაპ დამხო შემდეგ ამის რა მოხდა კიდევ 1828 წ. რუსეთმა ახალციხე დაიმოჩილა. ამის შემდეგ ახალციხის სანჯაყის მუთესარიფი ტრაპიზონში გადიტანეს და ამით ლაზებსაც სახელმწითო ტვირთი და გადასხადიც უფრო მოუმატეს.

ლაზები ამ გარემოებას სასტიკად ეჭინალმდეგებოდენ, ოსმალის მთავრობას პროტესტი განუცხადეს და მუთესარიბის ბრძანებასაც არ ასრულებდნენ, ამრტომ ოსმალის მთავრობამ მუთესარიფის თანამდებობა და მისი მართვა-გამგეობა ტრაპიზონიდან ბათუმში გადმოიტანეს, ამით ლაზები კმაყოფილნი დარჩნენ, ხოლო ის წესები, რაც მუთესარიფმა დაამყარა ლაზებში იგი კი დარჩა ხელშეუხებლათ. მაგალითებრ 1829 წ. ლაზებს უკვე ედოთ ასეთი წესებით გარდა-სახადი: 1. „ტახშირი“, მამულის ხარჯი, ყოველი კომლი მოსავლის მეოთედს უხდიდა მთავრობას, 2. ხარჯის ასაკრებათ სოფელს ჰყავს მუხთარი, 3. ხარჯი იყო „სალანი“ ამ ხარჯის ფული მოხელეების ჯამაგირში მიღიოდა, 4. ხარჯი იყო „რუსუმი“ უხვარჩედ, თხაზედ სულთან ხუთი შატრი, 5. ხარჯი იყო გერბის ქალალდის გადასახადა და მამულების შესყიდვის, 6. ხარჯი იყო თამბაქოსი გზირ-იასაულების და სხვაც ასედების.

ყველა ეს გადასახადები ხაზინაში შედიოდა. უნდა ოთქვას, რომ ლაზებს ამ გადასახადის დროს, ოსმალთა მოხელენიც დიდათ სჩაგრადენ და აწუხებდენ, გადასახადს მეტს ახდევინებდენ და. ამ მეტს თვით ითვისებდენ, ამათი ასეთი უსამართლობა ლაზებმაც კარგათ იცოდნენ და ამიტომ იგინი მათ არ უთმენდნენ და მის გამო ხშირათ ხმა მაღლა სტრახვდნენ, მოხელებიც ლაზების ასეთ სამართლიან ძრახვებს უერ იტანდენ და ამიტომაც წიმალმდეგ ხმარობდნენ ყოველ ნაირს ზომებს და შეწუხებას. ითქმდს, რომ ოსმალთ ლაზების გლეხეაცობა ძოიელ დაჯაბნელი ჰყვანდათ.

ბევრს ბოროტებას გარდა, ოსმალოს მოხელენი ლაზურს ენასაც სასტიკათ უყურებდენ და აშკარად სდევნიდენ კიდეც. ლაზეს ლაზური ენით სამართალში არ ალაპარაკებდნენ. 1829 წელს, მთელს ლაზისტამში 200,000 ათასი ყოფილა ოთივე სქესის, წინეთ კი მეტი ვოფილან 1803—1804 წ. ლაზების 300,000 ათასზედ მეტი ოსმალეთის მთავრობას აუყრია და თავის სახელწიფოში დაუფანტავს, ამის მიზეზება ის. რომ ლაზისტამში ლაზები ასე შემცირებულან. ამის შესახებ ცნობები კიდეც იყო ახალციხის ქართველ კათოლიკეო ივანე

ნათლის მცემლის ეკლესიის არქივში. ეს ცნობები უწერიათ ტრაპიზონის კათოლიკეთა ეკლესიის პატრებს, მერე ეს ცნობები მათ ახალ-ციხეში გადმოუტანიათ, თუ ახალციხეში ყოფნის დროს უწერიათ, ამისი ჩვენ არა ვიცით რა.

ესვე ცნობები მოწმობენ, რომ 1825 წ. ტრაპიზონში ლაზთა მცხოვრებთა რიცხვი 4,000 კომლი ყოფილა. ლაზებს გარდა ოსმალნიც ყოფილან ხოლო ამათი რიცხვი მცირე ყოფილა ლაზებში მაშინ ტრაპიზონში 900 მოსახლე ყოფილან კათოლიკის სარწმუნოების, 1825 წლების შემდეგ იგინიც გაფანტულან ტრაპიზონიდან აქეთ-იქით. უმეტესი ნაწილი მათისა კონსტანტინოპოლის გადასახლებულან, მიზეზი ამისი ის იყო თურმე, რომ ოსმალის მთაზრობა ამ კათოლიკ ლაზებსაც დიდად აწუხებდენ თურმე.

ეკლესიის გვერდით პატრებს სკოლაც ჰქონდათ, სადაც ლაზებს წერა-კითხვას ასწავლიდენ, ქრინტიან ლაზის ბავშვებთან ერთათ მუსულმან ლაზთა შვილებიც დადიოდენ სკოლაში, რომელნიც ნიჭიერათ სწავლობდნენ თურმე. 1820 წლებში ლაზთაგან ორი კათოლიკის პატრიც ყოფილა ტრაპიზონში, რომელნიც ყოფილან აღზღდილი და ნასწავლ ნაკურთხნი.

ქრისტიან და მუსულმან ლაზებს ერთმანეთში დიდი სიყვარულიც ჰქონდათ და ერთობა, ამათ სიყვარულის და ერთობის მიზეზით უხდებოდა ის გარემოება, რომ იგინი ლაზურათ ლაპარაკობდენ და იმიტომ ერთმანეთის პატივის ცემაც იცოდნენ. ოსმალნი თურმე ამათს ასეთ კავშირს. შურით უმშერდენ და მიტომ მტრობდენ ქიდეც მათ.

### ლაზისტან-ჭანეთი (ჭვევთი).

ლაზისტანი ხშირათ ექვემდებარებოდა უცხო სახელმწიფოებს, მაგალითებრ იგი რამდენჯერმე ეკავათ რომაელებს; ბიზანტელთ, არაბებს და სხვათაც, რომელთა მფლობელობა იწყობა ძველის დროდამ. ამათი ფლობის შესახებ სხვა და სხვა ისტორიული ცნობებიც არის დარჩენილი, რომელთა გავლენა ლაზებზედ მძლავრათ ყოფილა გაფენილი და არც ამ დროს ყოფილან თვით ლაზები მჩატენი და უძლურნი.

ლაზებს ისეთი ძლიერება ჸქონდათ შინაურს ცხოვრებაში, რომლისა გმო მათ თვით უცხოელთა გავლენის დროსაც კი დაუცავთ თავიანთი სულის ძლიერება და ნაციონალური ძალ-მომრეობა სხვათა წინაშეც.

რომაელთა მფლობელობის გარეშე ხშირათ ბიზანტიაც ჰყლობდა და ზოგნიც ამ კუთხის და ერის საქმე ისე იყო მოწყობილი, რომ იგი ხან ერთს სახელმწიფოს ემორჩილებდა, ხან მეორეს, მაგრამ ყოველთვის კი იგი რჩებოდა მძლავრათ და ნაციონალურ მხარეებთა სიმძლავრეს ხელშეუხებლათ ითარავდა, მას ვერცერთი მძლავრის სამეფო მონობით ვერ ამცირებდა, ვერ არყევდა ვერც მეორე და მესამე სახელმწიფო. რომი და ბიზანტია, ეს ორი ძველი კერა განათლებისა, ძველი აკვანი ცივილიზაციის და კულტურის, ლაზების წინაშე რჩებოდა მხოლოდ ისტორიულს მაგალითად, თორემ მას რამე სამასწავლებლო გავლენა და მნიშვნელობა სულ არ ჰქონდათ, რადგანაც ლაზებს თუმც საქართველოსთან ერთად არ ჰქონდათ დიდი საომარი და მის იარაღთა შემძლებლობა, მიტომ მის უქონლობის და სიმცირის გამო, უცხოელთაც ემორჩილებოდნენ, რადგანაც უცხონი ლაზებს სიმრავლით სჯობნიდნენ. ასეთი დაჯაბვნა იყო მხოლოდ მძლავრობით, რაც შეეხება სხვათრივ გავლენას ესკი მცირედ იყო, რადგანაც თვით ლაზები და მასთან მთელი ქართველი ერიც სულ, ძველის-ძველთაგანვე იყო დიდის კულტურით და ძველის განვითარებით დაჯილდოვებული. ამას ასაბუთებს ცხადათ ის გარემოებაც, რომ ლაზებ-მეგრელებმა და სხვათა, ძველთაგანვე დღემდე მკვიდრათ შეინარჩუნეს თავიანთი სულის ძლიერება და თვითცნობიერება, იგი ვერავინ შეარყია თვინიერ ოსმალთა დესპოტურის მახვილის და ფანატიზმის. ეს მოხდა ოსმალთა ბარბაროსობით და მკაცრის ტესოტიზმით.

ლაზისტანში მრავლად არის დაშთენილი როგორც რომაელთა კვალი, ისევე ბიზანტიელთ და ებრაელთაც კი. ამ კუთხის მთა-ბარ-ში კაცი ხშირათ შეხვდება სხვა და სხვა ლირსშესაინშნავს ნაშთებს, სამახსოვრო ნივთებს და მიწაში დამარხულ ლირს სახსოვარ ფულებს. ლაზებმა მეხუთე სალკუნის შემდეგიდან მიიღეს მჭიდრო კაშარი საქართველოს სამეფო საქმეებში, კახტანგ გორგასლიანის ძალით დაიმკვიდრეს ერთი და განუყოფელი არსება ქართველებთან ყოველნაირის მხრით.

ლაზისტანს მეტად ძველი და მასთან მდიდარი ისტორია აქვს. მისი არსებობის დასაწყისი უხსოვარის დროიდამ იწყება და მისი საისტორიო ცნობები მრავლად მოიპოვება ბიზანტიელთ და რომაელთ მწერლების ძველ წიგნებში. ძველს ისტორიულ წიგნებში ისე შესანიშნავათ მთელი საქართველოს ერი არის მოხსენებული, როგორც ლაზისტანი და ჭენეთი. საფიქრებელია დისიც, რომ ხშირად

უძველესის დროიდამ ლაზისტანის სახელწოდებით იგულისხმებოდა მთელი საქართველო და ქართველი ერიც კი. ერთმანერთის აღარა-ფერი ვიციდ და არც ვცდილობთ, რომ ეს უმეცრება თავიდამ ავი-ცდინოთ და ეხლა მაინც შევიგნოთ ჩვენი ვინაობის და ნათესაობის ცნობები.

ვიტყვი, რომ ძველათ ლაზიკა და სამეგრელო კერა იყო ქარ-თველის ტომის განვითარების და განათლების. დღეს კი ჩვენ ვართ ერთმანეთისაგან დაკარგულნი, თორემ უხსოვარის დროიდან ლაზის-ტან-სამეგრელო-ჭენეთი გადაბმულ-გადაქსოვილი იყო ქართლზედ. ქრისტეზედ ბევრათ უწინ, ქართლის მეფენი და ლაზისტან-ჭენეთის სამეფო ერთად და ერთნაირად იწოდებოდენ. ჭანეთ-ლაზისტან-მე-გრელი და ქართველი ერთი და იგივე იყო და ყველა ქართველს წარმოადგენდა.

მთელი ზავის ნაპირები იწოდებოდა ჭანეთ-ლაზისტან-სამეგრელოდ. გურია კი შემდეგში არის წარმოშობილი და დასახ-ლებულნი: როგორც ქვემოთაც ნახავთ აქ დაუსახლებიათ ქართულად მოლაპარაკე ურიები, რათა ამათის საშუალებით სამეგრელოსა და ლაზისტანში საერთო ბარის ქართული ენა გავრცელებულიყოს. აქ ძველი ქართული ენა მიტომ დარჩენილა შეურყეველი, რადგან აზიიდ-გან გამავალ ხალხებს მათთან დაახლოების შემთხვევა არა ჰქონიათ, ხმელეთს იქით ზავი ზღვა იყო და ეს გარემოებაც უშლიდა უცხო ტომთ მათთან დაახლოებას. ამიტომაც აქ ქართულ-მეგრულ-ლაზური დაშთა თავის სიტყვებით, ბარს იდგილებში კი, მაგალითებრ, კახეთს ქართლს და იმერეთს უცხო ტომის ერნი, რადგანაც ხშირათ ხვდე-ბოდნენ, აქ მათი სიტყვებიც ადვილად შემოღიოდა მეგრულ-ლაზურ-ქართულში, აქედამ შეიქმნა აწინდელი ქართული, თორემ ძველი ქარ-თულ-მეგრული და ლაზური ენა ყოფილა. მიზეზი ეს ყოფილა და მიტომ მოუხდენიათ ასეთი გაიყოფა და დასახლება მოქართულე ქარ-თულ ენის მოლაპარაკეთ.

მოგზაური პროსკურიიაკივს შეუდგენია ლაზური ენის ლექსი-კონი. ეს სხვათა შორის ამბობს, რომ ლაზები ტრაპიზონულადაც ლაპარაკობენო. ეს პირი სწერს, რომ ლაზური და მეგრული ენა ერ-თი ენა არისო. იგინი განსხვავდება მხოლოდ ადგილმდებარეობის ზოგი რამ განმასხვავებულის სიტყვებითო. ოსმალური სიტყვებიც მრავლად მოისმის ამ ენის ხალხშიო. ამ პირს ბევრი შეცდომაც აქვს.

ლაზური ენის ნათესავობა ქართულ ენასთან კეშმარიტი საგა-ნია, ეს კეშმარიტება არის ლაზურ-მეგრული და ორიგე ენის კი ძი-

რი, ანუ ფესვი ქართული ენისაა. სხვათა შორის ბარონ ჩოზენმა შეადგინა ლაზური ენის გრამატიკული ვარჩევა და ამით მან დაასაბუთა ლაზური ენის მჭიდრო ნათესაობა ქაუთულ ენასთან, თუმცა არა გარევევით, მაგრამ მაინც ბოტანიკი კოხიც ამავე აზრისა არის, რომ ლაზური ენა არის კილო-კავი ქართულის, ამათ გარდა ბარონ უსლარი სწერს, რომ კოლხები მეგრელები არიან — იგივე ლაზი და ყველა ესვნი კი ქართველნიო. ყველა ამათი ღედა ენა არის ქართულიო.

გამოჩენილი ელიზე რეკლუ სწერს ასე: ლაზები ქართველი ტომისანი არიან, ამათი ენა არის ქართული, ზოგან ნამდვილ მეგრულ ენით ლაპარაკობენ, ზოგან შერეულით. ზეც ისეთი აქვთ, როგორც იმერლებს. ქარგათ ჩატმას და სიმდიდრეს ეტრფიან და სულაც არ არიან ზატმაცნი, როგორც საზოგადოდ ამბობენ მათზედ: სამი საუკუნის წინეთ ისინი ქრისტიანები იყვნენ, ახლა მაჰმადიანები არიან. ასევე მოიხსენებს აჭარლებსაც. ასეთი აზრები მოყვანილი აქვთ ქართველ მსწავლულთაც, ისტურიკოს დიმ. ბაქრაძეს, ბარათაშვილს, ტომოგრაფ ყაზბეგს და ბევრსაც სხვათა, სომეხთ შორის მოგზაურ სარქისიანიც ამას ამბობდა 1850 წლებში.

ამ ბოლო დროს პროფესორის ნ. მარის მიერ დაბეჭდილი წიგნიდან სჩანს, რომ ბგიც ამავე აზრის უნდა გახლდეთ, ვინაიდგან მან ლაზური სიტყვების დასაწერათ ქართული ასოები იხმარა, თვით ლაზური ლექსებიც კი ქართულის ასოებით დასტამბა.

ბოტანიკა კოხმა თავის მცენარეთა და ხეებთა ისეთი სახელები უჩვენა, რომელიც ორივ ამ ენის ხალხში ერთნაირად იხმარებიან, ესეც ცხადი საბუთი არის ამ ენების ურთიერთშორის ნათესავობის. ზოგთა თქმით, ლაზისტანში სომხებიც სცხოვრობენ. იგინი დღეს თურმე გადაგვარებულან, ასეთ სომხებს ად. ლოზენი იამშილებს რწოდებს. ართვინის სომებს კათოლიკეთ ებისკოპოს ზაქარიანს მეისტორიე დიმ; ბაქრაძისთვის ეთქვა, რომ ლაზები მეჩიდმეტე საუკუნეში მრავლად გაფრანგდნენ ლაზისტანშით. ამ ლაზებს შემდეგ ლაზური დავიწყებიათ და სომხურათ დაუწყვიათ საუბარი. დღეს ასეთ გასომხეგულ ლაზთა რიცხვი საკმარისი არის. თვით ართვინელ მემაღნე კატრლიკე აშტრაკიანმაც კი მიამბო, რომ დიახ; ესე იყოვო.

მთელი ლასისტანი შესდგება ცხრა სანჯაყისაგან. 1854 წლამდე ლივანა-გონიოს ფაშები ლაზისტანის ფაშათაც ირიცხებოდნენ, მაგალითებრ 1830 წლებს, მუსა ფაშა კყონია, რომელმაც ქართული წერა-კითხვაც იცოდა, იგი თავის წერილებში ასე აწერს ქართულად ხელს: „გონიო ლივანა ლაზისტანის სანჯაყის მფლობელი მუსა ფაშა კყონია“.

აქედამ უნდა ვიფაქროთ, რომ მთელი ლაზისტანი ორ საფაშა-  
ლიკოთ უნდა ყოფილიყოს გაყოფილი, ერთი ეს და მეორე ტრაპი-  
ზონისა, მთავარი ქალაქი ლაზების, სადაც იჯდა ვალი ფაშა.

ლაზებს აქვთ 250 ვერსის სივრცეზედ ბათუმიდამ სხვა და სხვა  
ქალაქები და დაბები. მათში ზოგი ნავთსაყუდარიც არის. აქ ევრო-  
პიელთ ხომალდებიც ჩერდებიან. ყველა ქალაქებში ლაზებს აქვთ  
ხელში დაჭერილი ვაჭრობა და ხელოსნობა: ოსტატურად, ხელოსნო-  
ბის გარეშე მეზღვაურობაც კარგათ იციან. თსმალთ ესენი საქმარი-  
სად აღმატებიან სავაჭრო და სახელოსნო შნოთი. თმალთა შურთ  
ლაზების ასეთი უპირატესობა და ამიტომ იგინი მათ სდევნიან კიდეც.

### გათუმი და ლაზისტანი.

დიმ. ბაქრაძის რუსულის ცნობებით.

ბათუმი შევი ზღვის ნაპირასა სძეს; ხმელეთით ერთის მხრით  
იმის საზღვარს შეადგენს ტყიანი ბერანგის მთების შტოები და მეო-  
რეს მხრით ლაზისტანისა, ანუ პონტიის მთები, რომელნიც მდ. ჭო-  
როხიდამ (ბათუმიდამ 13 ვერსი) არიან გავრცელებულნი.

ბათუმს აქვს ჩინებული ნავთსადგური, რომელსაც შეადგენს აღ-  
მოსავლეთის მხრით გრძლათ ზღვაში შესული მიწა და დასავლეთის  
მხრით მდინარე წყლისაგან მალლად მოსილი მთები. მთელი ამ ნავთ-  
სადგურის სიგრძე თითქმის 5 ვერსამდის იქნება. იმის უმთავრესი  
ღირსება ის არის, რომ აქ ზღვა თვით ნაპირამდინ საშინლად ღრმაა;  
არა ნაკლებ 10 საჟენისა და ამის გარდა ისიც, რომ აქ ხომალდებს  
თითქმის არასოდეს არ უნდა ეშინოდეს ქარისა.

ბათუმი ტიდი ხნის ქალაქია. რომაელებისათვის მეორე საუკუ-  
ნეში ის სამხედრო სტანციათ ყოფილა. აქ მდგარან რომის ჯარები.  
შემდგვ ბათუმი გურიის მთავრობის სამფლობელოს შეადგენდა. მა-  
ტიანები ამბობენ, რომ ეს ქალაქი 1564 წელს წაართვეს ისმალებმა  
გურიის მთავარს როსტომ გურიელსაო. ამ უამაღ 1874 წელში ბა-  
თუმი ლაზისტანის ფაშალიკის უმთავრესი ქალაქია. აქ არის მუტა-  
სერიფი, ანუ ლრუბერნატორი, რომელიც პირდაპირ ტრაპიზონის გი-  
ნერალ-გუბერნატორს ექვემდებარება.

ლაზისტანის ფაშალიკი თერთმეტი ყაზისაგან შესდგება: ბათუ-  
მი, ჩურუქსუ, ზემო აჭარა, ქვემო აჭარა, მაჭახელი, ლიგანა, გონიო,  
ფოხი, არხავე, ებშინა და ათინე. თვითეულ ყაზახში არის კამაკამი,

ანუ მაზრის უფროსი, რომელსაც ექვემდებარება 2 ანუ 3 მუდირი, ესე იგი უჩასტეის უფროსი.

ფაშის კარდა ბათუმში იმყოფება „მეჯლისი“, ე. ი. ლუბერძის რჩევა, ყაიმაკამი, სასამართლო, დამოუნა და ბათალიონის შტაბ-კვარტირა, რომელიც დაჭერილია სხვათა შორის სიმაგრით. აქ ორი სკოლაა: თათრისა და ბერძნებისა, ქართველ მაპადიანებს სამი ჯამე აქვთ და ქრისტიანებს ერთი საყდარი. წმ. ნიკოლოზის სახელზე აგებული. ქალაქის უმჯობეს ნაწილს წარმოადგენს ნავთსადგური, რომელზედაც ჩამწკრივებულია ბერძნებისა და სომხების მაღაზიები დარამდენიმე გვარიანი შენობები. ამათში უმთავრეს ყურადღებას მიიქცეს ჩვენი ვიცე-კონსულის ორ სართულიანი სახლი, ბალით, ევროპიულ გემოზედ და ლაზი მაჭმადის სასტუმრო თათრულ-ევროპიულ მანერებით, აბანოებით, ყავაზანით და ბილიარდხანით. ქალაქის ამ ნაწილთან არის ბაზარი, ვრცელი, რომელიც შესდგება უმეტეს 800 დუქნისაგან, ამის იქით დაიწყება გაფანტული უბნები.

ბათუმს შედარებით აქვს ადვილათ ასატანი ჰავა: ირგვლივ არა აქვს ჭიობები და ამისათვის ციებ-ცხელების უშიშრათ შეიძლება ცხოვრება. ქალაქს აქვს არა მაწყინარი ჭის წყალი, ის არის უჩასტკებათ დაყოფილი. ყიდვა-გაყიდვა ამ აღგილების მინიჭებული აქვთ ყველას, თუგინდ უცხო ქვეყნელიც იყო! მაგრამ, ამბობენ, თავისუფალი უჩასტები ცოტა დარჩა და მათმა ფასმა აიწია. ამ უკანასკნელ დროსაო. იშათი უმეტესი ნაწილი შეიძინეს ლაზებმა, რომლებმაც გამართეს აქ დუქნები და სახლები. ბათუმში ბევრი სცხოვრობენ ქობულეთელები, აჭარლები და ლაზები. ამათ სუყველას ერთნაირათ აცვიაუ: თათრული თავზედ მოსახვევი, ჩალმა, მოკლე კურტკა, ვიწრო მაუდის შარვლები და ფართე სარტყელი წელზედ შემოხვეული იმათ ტანისამოსზე. ისინი ყველა ჭარგათ შეიარაღებულნი არიან ხოლმე ადგილობრივის ხელობის თოფებით, წელში გარჭმული მოკლე ხანჯლებით, ანუ როგორც აქ ეძახიან „ფიშტოებით“, აღმები არა იქვთ. ბათუმში გაიგონებთ ბერძნულს, თათრულს და ქართულს. უმთავრესი სახმარი ენა არის ქართული, რომელზედაც ბევრი ლაზელთაგანიც ლაპარაკობს.

ბათუმს ვრცელი ვაჭრობა არა იქვს. იქ შემოდის ინგლისიდამ და შვეიცარიიდამ ბამბის საქანელი, ალლეპოდამ და დამასკიდამ აბრეშუმის მატერიები, რუსეთიდამ რკინერლობა, ყირიმიდამ და საქართველოდამ მატყლი, ამას გარდა სხვადასხვა მხრიდამ შემოდის შაქარი, ყავა და სხვა ნაწარმოები: ფოლადი, ქალა და სხვა და სხვა

სასმელები. თვითონ ხალხში გარეშე ქვეწებიდამ შემოტანილი საქონელი ნაკლებად ვრცელდება. რაც შეეხება აქედამ გატანილს საქონელს და ნაწარმოებს, ყოველ წელიწადს შეიძლება გაიტანოს ხალხმა შემდეგი მომატებული ნაწარმოები სამასი კილოგრამი სიმინდი თვრამეტი ათასი ოყა ბრინჯი, სამასი ოყა ყვითელი წმინდა სანთელი ათასი ოყა თაფლი, თორჩეტი ათასი ოვაზის ზეთი და საშენი ხეტყე და შეშა ბლომქთ. ლაზისტანის ფაშალიკიდამ მუდამ წლიური შემოსავალი არის ერთი მილიონი და ცხრაასი ათასი პიასტრი, ესე იგი ას სამოცდა რვა ათას ხუთას სამოცდა თერთმეტ მან., რომლიდამ მილიონ ორასი ათას თვითონ აღგილოარივ გამგეობისათვის იხარჯება. მაგრამ ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ამ მცენარეობით მდიდარ ქვეყანას შეეძლო ამაზედ ბევრათ მომეტებულის შემოსავლის მოტანა ხაზინისთვის, თუ რომ იმას კარგი გამგებლები ჰყოლოდა და თუ რომ ხალხი რიგიან შრომას ყოფილიყო მიჩვეული.

აქ ძვირფასი ნაწარმოები მოდის: ზოგის ნაპირა ლაზიდამ ლიმონის ხე--გარეთ მოუვლელათ, ხარობს ბრინჯი და ბამბა არ ავადმყოფობს. აქ ის ლირს 6 მან. და 50 კაპ. ხან 7 მანეთი ფუთი, ლივანის სელი ერთ მანეთად იყიდება, ბათუმის, ქობულეთის და ართვინის აბრეშუმი ფუთი ას მანეთად ფასობს. აქაური თაფლის სანთელი სტამბოლში და ოდესაში მიაქვთ და აღგილობრივ ფუთი 18 მანეთად იყიდება. ლივანის ზეთის ხილი, რომელსაც სხვათა შორის ახალციხის მაზრასა და ტფილისშიაც კი ასაღები ფუთი 3 მანეთად გადის. ლაზისტანის ფაშალიკში ბევრი ჩინებული, ძვირფასი საშენი ტყეებია. ქობულეთის მაზრაში კარგი მუხა არის, რომელიც ბევრი მიაქათ რკინის გზის შვალებისთვის სტაბოლში; ჭოროხის ხეობაში და აჭარაში მოიპოვება მშვენიერი ჯიშის ბზის ხე, რომელსაც აღგილობრივ ოყს თითო ყურუშათ ჰყიდიან; მდ. ჭოროხით მიაქვთ ნავებით დიდაბალი ფიცრები; ჭიფლისა, ფიჭვისა, კაკლისა და წაბლისა; ოითო ფიცარი აღგილობრივ 30—50 კაპ. იყიდება.

### ლაზისტანი და ლაზები (ჭანეთი—ჭენეთი).

ბერძნთა და რომაელთა მწერლები ძველ ლაზისტანის შესახებ ბევრ ცნობებს მოგვითხრობენ, სამაგიეროთ, თითქმის არაფერი ვიცით დღევანდელ ლაზისტანის მდგომარეობის შესახებ და არცა ვცდილობთ ამ არ ცოდნის თავიდან აცილებას. გვსურს ამიტომ მოკლეთ ავწეროთ ლაზისტანი და იქ მცხოვრებთა მდგომარეობა; რაიცა, ვკონებ. ყველასათვის საინტერესო უნდა იყოს.

ლაზისტანი იწყება მაქრიალიდან და შაალშევს თითქმის ტრა-  
პიზონამდე. მაქრიალი მდებარეობს ზღვის პირად, ბათუშიდამ 26  
ვერვის მანძილზე.

ლაზისტანი ოსმალეთშა სრულიად დაიმორჩილა 1629 წელს. ამ  
დროდან შეუდგა იგი ისლამის გავრცელებასაც ლაზები სცხოვრო-  
ბენ 200 ვერსის მანძილზე, შავი ზღვის პირად მდებარე დაბებსა,  
სოფლებსა და ქალაქებში. უმთავრესად ლაზები მისდევენ სასოფლო-  
მეურნეობას, ვაჭრობასა და ხელოსნობას; განსაკუთრებით განთქმულ-  
ნი არაა სახლების შენებით, დურგლებითა და კალატოზობით. ნა-  
ვოსნობაც კარგად იციან. საქართველოს მეფების დროს შავ ზღვა-  
ზე ნავოსნობას მისდევდნენ; გემებსაც კა ესინი აკეთებდნენ.

ლაზისტანის მცხოვრებთ ქრისტიანობა მეთვრამეტე საუკუნის  
ნახევრამდე მთლად დაჭკარებული და ისლამი იწამეს. ქრისტიანობის  
დაცემასთან ერთად ლაზისტანში დაეცა და განადგრჩდა ქველი ქრი-  
სტიანული ნაშთება და ტაძრები. დღეს კაცი მთელს ლაზისტანში  
იშვიათად შეხვდება ქართველთ მფლობელობის ლროის ნაშთს. იმ  
თათო-ოროლა ნაშთს, რაც დროთა ბრუნვას გადაიჩინია, მცხოვრებ-  
ნი თამარ მეფის, ნაშენად აღაარებენ. ნახევარ ლაზისტანში თამარ  
მეფის სახელი დღესაც კარგათა ცნობილი. დაავიწყდათ ჩვენი სა-  
ხელოვანი მეფე უფრო ტრაპიზონისაკენ მცხოვრებ ლაზებს.

ლასასტანი ემორჩილება ტრაპიზონის ფაშას (გუბერნატორს).  
ტრაპიზონი სავუჩერნიი ქალაქია.

ლაზთა ყოველივე საყურადღებო და თეალსაჩინო საქმე ტრა-  
პიზონში ძრჩევა. ამასთან იქვე თავდება. ასე რომ იშვიათია, რომე-  
ლიმე საქმემ სტამბოლამდე მიაღწიოს. ორსავე სქესის ლაზთა რიცხ-  
ვი სამას ორმოცდა ათ ათას სულამდე აღის\* ) ისინი თვალსაჩინოთ  
მრავლდებიან. სამწუხაროთ, ოსმალეთის მთავრობა ხელს უწყობს იმათ  
რიცხვის შემცირებას, რადგანაც ჯარისკაცებს ხშირათ ისება ქვეყნებში  
გზავნიან; საიდანაც ლაზები სამშობლოში ვყლარ ბრუნდებიან: ამას  
გარდა ლაზთა შვილების სყიდვა და მოტაცებაც ხშირია, რადგანაც  
ლაზებს ლაზის ხალხის სახელი აქვთ გავარდნილი.

\* ეს რიცხვი ირიცხებოდა 1891 წ. დღეს გაცილებით მეტია ლაზისტანში.  
ფრანგულის ცნობებით, ლაზების რიცხვი ისმალეთში 600 ათასზედ შეტას უწევს.  
300 ათასი ლაზების რიცხვი ისმალთაგან ძალმომრებით არის დაპყრობილი და  
გადასახლებული. ისმალნი ლაზებს უმეტესათ მიტომ ანევდნენ ისმალეთის სხვა  
და სხვა ადგილებში, რადგანაც ლაზები ლამაზი ხალხია; ისმალნი ძან მისდევდ-  
ნენ ამათ ნათეასობას. ლაზთა შეიღებს ფულითაც ყიდულობდნენ და ასე იმორ-  
ჩილებდნენ მათ. ისმალეთშა შეკამა და დაამზო მთელი ლაზისტანის ტომი.

ლაზური ენა მტკიცეთაა დაცული ლაზისტანში; ყველა ლაზი ოჯახში ლაზურათ ლაპარაკობს; განსაკუთრებით ქალებმა იციან კარგათ და სუფთად. ლაზური ენა. ოსმალური ენაც მიღებულია, თუმცა ხშირად შიგ მეჯლისში ქალებიც კი ლაზურათ ლაპარაკობენ. თეთ „ყურანის“ ძალით სხვა და სხვა საქმეთა გარჩევა ხშირად ლაზურად სწარმოებს, „მეჯლისი“ და ყადი. თითქმის ყველა სოფელშია. ემორჩილებიან ისინი ქალ. ირაზეს მუთხესარიცს და იმასთან მყოფს მუფთს და მის გამგეობას. მთელის ლაზისტანის უფროსი ჭუფთი ტრაპიზონში სცენოგრამბს.

ლაზთა სასულიერო წოდებას თვით ლაზების შთამომავალნი შეადგენენ. მოლებათ და ხოჯებადაც ბევრი ლაზია. უმეტეს ნაწილად სასულიერო სწასლა-განათლება მოლებსა და ხოჯებს ტამბოლში აქვთ მიღებული, ზოგს მიღებულიც აქვთ ლუთისმეტყველის ანუ „ბაფიზის“ სახელიც. ფანატიკოსობას ძრიელ აქვს ლაზისტანში ფეჭისი გადგმული. ხშირათ ფანატიკოსობაში ლაზები ნამდვილ თათრის შოლებსა და ხოჯებსაც სჭირდობენ. ბევრგან არსებობს სამრევლო სკოლები, სადაც მასწავლებლობას ეწევიან მოლები და ხოჯები. სწავლა სწარმოებს არაბულს ენაზე. უმთავრესათ ასწავლიან ზეპირათ ლოცვებსა და „ყურანს“. აღზრდის წესი ოსმალურია, ხშირად წევდასა და ეკლიან ჯოხებსაც ხმარობენ. ლაზთა ბავშვებს ძალიან უჭირდებათ ამნაირ სისტემით სწასლა და ხშირატ ისინი 5 წლის განმავლობაში მარტო არაბულს ანგანს ძლივს ითვისებენ. ამ სკოლაში მოლები ფანატიკობას ბავშვებს პატარაობადგან უნერგავენ.

ლაზური ენა ძალიან წააგასს ქართულს. ერთ ალაგას ვნახე ლაზი დურგლები. სახლის შენობა: ს დროს, როდესაც კოშები აჰეთულდათ, ეს ლაზები მთელ ქართულ წინადაღებებს ხმარობდნენ და ხშირად იძახდინ: „ცოტა კადევ“ და სხვას. ნახევარი ს ტყვები ლაპარაკისა ქართულია. ლაზებმა კარგათ იციან, რომ ქართველები და მეგრელები იმათი მონათესავენი არიან.

საქართველოს მთავრობის ხელში, ლაზისტანისა დღეს მხოლოდ ერთი სამამასახლისოა, სახელდობრ, ჩხალის ხეობა. მხოლოდ ამ ხეობის ლაზები ეკუთვნიან საქართველოს მთავრობას, დანარჩენ ლაზისტანის მცხოვრებნი ოსმალეთის ქვეშევრდომნა არიან. ზემოხსენებულ ჩხალის ხეობაში ლაზთა სოფლები ერთ სამამასახლისოს შეადგენენ. ეს სამამასახლისო მიწერილია ლივანის ანუ მაღრიდის საბოქაულოზედ.

აი ამ სოფლის სახილები, სადაც ლაზები ცხოვრობენ:

1. დაკვარა, 15 კომლი, ზონათ მეტი იყხნენ, მაგრამ რუსებთან  
შეერთების დროს ბევრი ოსემლეთის ლაზისტანში გადა-  
სახლდნენ.
2. ოხორლია, 20 კომლი, ზოგი წავიდა, გადასახლდნენ ოსპა-  
ლეთში.
3. ქორტანეთი, 25 კომლი, ზოგი წავიდა.
4. ბელლევანი, 40 კომლი, ზოგი წავიდა.
5. პანჩურეთი, 25 კომლი, ზოგი წავიდა.
6. სუჯუნა, 45 კომლი. 55 კომლი გაღასახლდა.
7. მამანათი, 30 კომლი.
8. სკურე, 15 კომლი, ზოგი წავიდა.
9. მაკრეთი, 45 კომლი. ზოგი წავიდა.
10. გალრავეთი, 29 კომლი, ზოგი წავიდა.
11. მაჭათი, 20 კომლი. ზოგი წავიდა.
12. გაბრიელა, 15 კომლი.
13. დუსკო, 60 კომლი.
14. სარფი, 40 კომლი. ზღვის პირად მდებარეობს.
15. ლიმანი, 20 კომლი. ბევრნი გადასახლდნენ.
16. მაქრიალი, 20 კომლი. ბევრი გადასახლდა.

არის სხვა პატარა სოფლებიც, რომელთაც არ ვასახელებთ,  
რადგან იქ მცხოვრებთა რიცხვი ორ-სამ კომლს არ აღემატება. ჩხა-  
ლის ხეობიდამ ოსმალოს ლაზისტანში მშენიერი გზები გადის. ლა-  
ზებს გადააქვთ და გადმოაქვთ ლიმონი, ფორთოხალი, ზეთის ხილი,  
ლელვი და სხვა ხილი.

როგორც ჩამოთვლილ ისე სხვა სოფლების სახელები ლაზისტან-  
ში ქართულია. ამგვარ სახელის სოფლებს კაცი თვით ტრაპეზონამ-  
დე შექმნდება. ზოგს სოფელს ვაღასხვაფერებია ქართული სახელი  
და ოსმალური დარქმევია. მთების, ლელების, მდინარეების. და სხვა-  
თა სახელებიც ზოგან ძველია დარჩენილი, ზოგგან კი ოსმალურათ  
ვაღასხვაფერებულია.

ცვლილებას არც თვით ხილხი ასცდენია. ლაზურ ან ქართულ  
სახელს თითქმის ალარც ერთი ლაზი ალარ ატარებს. ძველი ქართუ-  
ლი გვარები ზოგრ შეუნარჩუნებია, ზოგს კი ოსმალურათ გადაუკე-  
თებია. მაგალითად, ქურდიანი დღეს ქურდოლლათ იხსენიება, მარ-  
გიანი—მარაგოლლათ, მარიამიძე—მაიროლლათ და სხვა მრავალი.

როგორც ვთქვით, ლაზებმა კარგათ იციან, რომ მეგრელები და  
ქართველები იმათი მონათესავენი არიან. ამიტომ ოსმალელი ლაზე-

ბი ხშირათ გადმოდიან ჩვენსკენ და აქა სცხოვრობენ. ლაზების შესახებ შემდეგი თქმულებაა დარჩენილი: ძეელად, სოხუმიდან მოყოლებული ტრაპიზონამდე, ზღვის პირად სულ მეგრელები და ლაზები სცხოვრობდნენ. მხოლოდ შემდეგ ხანებში ქართველ მეფეთა ბრძანებით აჰყარეს ბათუმიდამ ფოთამდის მცხოვრები ლაზები და საქართველოს სხვა კუთხეებში გადასახლეს, ხოლო იმათ მაგიერ ზღვის პირად დაასახლეს ქართულად მოლაპარაკენი, რომელთაგანაც გურულები წარმოსდგნენო. ლაზები თავიანთ ვინაობის შესახებ სხვა ძეელ ამბებსაც გადმოგვცემენ, თუმცა ისლამის ზეგავლენით და ხოჯებისა და მოლების წყალობით ძეელი თქმულებანი დამახინჯებული და შეცვლილია, ლაზებს საკუთარი სიმღერები აქვთ, ზღაპრები, ზეპარ გადმოცემანი, ლეგენდები, არაკები და სხვანი.

ლაზები ძრიელ უხარიან, როდესაც ლაზური ენის მცოდნე შეხვდება. იგი ადვილათ უმეგობრდება და უკავშირდება იმ პირს, ვინც კი მისი ენა იცის. კარგათ ესმას, რომ თუმცა სჯულით ოსმალო, მაგრამ ტომით ლაზია, ქართველის მონათესავე. მე დარწმუნებული ვარ, რომ ლაზი თავის ენას დიდხანს არ დაჰყარგავს, თუმცა ყველგან გარეშემო ოსმალური ენაა გამეფებული.

ორიოდე სიტყვას ლაზებსა და ჩვენს ურთიერთობაზედ მოგახსენებთ. ლაზებთან ჩვენს დაახლოება მეტად ძნელია, რადგანაც ისინი ოსმალოს სამფლობელოში არიან, ხოლო ოსმალნი მაგრე რიგათ არ შეგვიშვებენ: ლაზისტანი სავსეა ფრატიკ მოლებით, ხოჯებით და ხაფიზებით. ყოველ შემთხვევაში ამ უამად უმთავრესი ყურადღება ლაზურის კილოს. შესწავლას უნდა მივაჭციოთ. ენის შესწავლისა და ლაზთა გაცნობის შემდეგ აქედანაც შეგვიძლია ვიქონიოთ მცირეოდენი გავლენა, შეგვიძლიან მოვიპოვოთ იმათი ნდობა და ნელ-ნელა ქართული ენაც აღვადგინოთ.

ვიმეორებ, საუკეთესო სახსრად და ლაზთა დასახლოვებლათ მათის ენის შესწავლა უნდა ჩაითვალოს და ამ ენით იმათთან საუბარი, საქმის დაჭერა, განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ექნება, თუ ლაზთა სიტყვივრების შასალებს შევკრებთ და ქართულის ასოებით დავსტამბავთ.

არაბული ანბანი ლაზთა ხმათა მრავალვარობას ვერ აკმაყოფილებს, ქართული კი ზედ გამოჭრილია. ლაზს ქრიელ წაახალისებს და გაახარებს, როდესაც თავის გარდმოცემებს და სხვა ცნობებს ქართულის ასოებით დასტამბულსა ვნახავს. უკვე ვსცადე ესა და უნდა მოგახსენოთ, რომ დიდი გავლენა იქონია. ლაზებზედ.

ჩემის პზრით, ზეპირ სიტყვიერების შესაქრებათ ლაზისტანში მეგრული ენის მცოდნე მეგრელები უნდა ვიყოლიოთ.

ლივანიდამ ერთი გზა ჩხალის ხეობით ლაზასტანში გადადის.

აქეთ ოსმალეთის სამზღვარი ძრიელ ახლოა. ლაზისტანიდამ უკარასა და ლივანში ხშირად შემოწიან ლაზელი ხელოსნები: დურგ-ლები, კალატოზები, და სხვანი, იგრეთვე სხვა და სხვა ვაჭრები და სასულიერონიც.

მათში მრავლად არიან ქართულს ენაზედ დაუბრკოლვბლივ და თავისუფლათ მოლაპარაკენი. ბევრი მათგანი ლაზასტანის შესახებ საინტერესო ცნობებს მოგვითხრობს. ამ მოქლე დროის განმავლობაში მე გავიცანი რამდენიმე ლაზი ლაზისტანის შუაგულიდამ მოსული და მათ ჩემს შეკითხვაზე შემდეგი პასუხი მომცეს.

მთელს ლაზისტანში ლაზური ენა დღეს დიდ დევნაშია. საქმე თუ ასე წავიდა, მაშინ ლაზური ენა მაღე დაიკარგება, რადგანაც მთელს ლაზისტანში დღეს სწავლა და წერა-კითხვა სულ არაბულათ და ოსმალურად სწარმოებს. სამართალი, მეჯლისი, მიწერ მოწერა ლოცვა და ქადაგება სულ ოსმალურად არის. აღრე მოლები და ხოჯები ჯამეში, ქადაგების დროს, ხშირად ლაზურ ენას ხმარობდნენ, რადგანაც ხალხს ასმალური კარგათ არ ესმოდა; ეხლა კი ესეც მოისპო. ყოველი ლაზი-ხოჯა ოსმალურათ ქადაგებს და ცდილობს, რომ ლაზური ყველა ლაზის ფჯაში მოისპოს. მათ თავიანთ წადილს მიაღწიეს კიდევაც. დღეს მთელ ლაზისტანში აღარ არის ისეთი ოჯახი, რომ მათ ქალებმა ოსმალური ენა არ იცოდნენ. ამიტომ ქალები ლაზური ენის შესწავლას პატარაობიდანვანვე დაივიწყებენ და მაღე ლაზური ენა მიალად ამოვარდება. დღეს ტრაპიზონისკენ იშვიათად შეხვდებით ლაზის, რომ ლაზურ ენაზე ლაპარაკობდეს. დარჩა მხოლოდ აქეთა მხარე, რომელსაც საზღვრად იკრავს აჭარა და ლივანა, სადაც ქართველი მაჰმადიანები მთლად ქართულად ლაპარაკობდნენ.

კარგათ სჩანს და ეს ყოველმა ლაზმა კარგად იცის, რომ დღეს მთელ ლაზისტანში ლაზური ენა მთავრობის წინაშე არამც თუ უმნიშვნელო ენად არის მიღებული, არამედ აღკრძალულიც კია, რომ მაღე ამ ენის ალაგის ასმალური ენა გამეფდეს. ამ გარემოებას თვით ლაზებიც არ ეწინააღმდეგებიან.

ყოველი ლაზი ფანატიკია და მუყაითი მფარველია ოსმალურის ენისა და ძრიელებისა. იგინი ფანატიკობით ბევრათ უღემატებიან, კართველ მაჰმადიანებს. საქმე თუ ასე წავიდა ლაზისტანში, უნდა ვიცოდეთ, რომ ლაზურ-ქართული იქაც ისე ამოვარდება, როგორც

ეს მოხდა ქართველ მაპშადიანთ შორის შავშეთს, ერუშეთს, არსიანს, თორთომს, კარს და მთელს დასავლეთ-სამხრეთს საქართველოს ძველის ბიზანტიის და სომხეთის საზღვრამდე.

ლაზები დღეს ვალდებული არიან, რომ თავიანთ ვინაობას ყურადღება მიაქციონ და უსათუოთ გაიკნონ თავიანთი წარსული და თავგადასავილი, ბოლოს ოცნებიდან გამოვიდნენ, იცნან თავიანთი ვინაობა, მოდგმა, ენა, ისტორია, ანბანი, ქვეყნის ისტორია, დაკარგულის გზიდამ გამოვიდნენ და ნათელ გზას დაადგნენ და ამ ნათელის შეგნებით აღზარდონ თავიანთი მომავალი თაობაც, რაც ამით ახალ თაობას უფრო დააწინაურებენ და აღამაღლებენ რეალურათ თვალის გახილება და განვითარებისათვის.

ლაზები ლაზური ენის მხრით მეგრელებს უფრო ენათესავებიან და უახლოვდებიან, თუმცა არის ზოგი ისეთი ლაზური წინადადებანი, რომელიც მთელი წინადადების სიტყვები სულ ქართულია. მოკლეს, ლაზური ენა არის ქართული ენის კილ-კავები და მეგრული ენის კი ახლო ნათესავი.

თუმცა ენის მხრით საქმე ასეა და ლაზური ენა და ლაზები მეგრელებს უახლოვდებიან ვიდრე ქართველებს, ხოლო ცხოვრების წესჩვეულებით, შიხვრა-მოხვრით, ლაპარაკის გაზეიადებით და სხვაც ბევრის ასეთებით იგინი უმეტესად ქართლ-კახელებს ჰგვანან, როგორც ქართლ-კახელებმა, ამათაც ისე იციან ტორტმანით საუბარი და სიტყვების გამოთქმის გაზეიადება და ბევრნიც სხვა ასეთნი, რითაც ლაზები დღეს არსებობენ.

ასეთ ჩვეულებათა გარდა, ლაზები ქართლ-კახელებს სხვა მხრითაც უახლოვდებიან და ნამეტურ სახელოსნოს სამუშაოს მხრით, ბელოსნობით, ამის მუშაობის შესრულების წეს-ჩვეულებით და სხვაც ბევრის რამით, რითაც, ლაზები დაჯილდოვებული არიან თვალსაჩინოთ.

საოცრება არის ეს გარემოება, რომ ლაზები, რომელიც, როგორც ვიცით ისტორიით, ერთ დროს მეგრელებთან გადაბმული იყვნენ ქვეყნის ერთობით, ენით, მისელა-მოსელით და ცხოვრების წესებით, ხოლო სადღეისოთ ისინი ერთმანეთს ასე დაშორდნენ და დასკილდნენ. მოკლეთ ითქმის, რომ ცხოვრების ჩვეულებათა საქმეებში, რაშიაც შეგრელები მკვირცხლნი არიან, იმაში ლაზები კი სუსტნი გახლავან. მეგრელი აბანოში მექისეთ არას შემთხვევაში არ დადგება, მექისერბა მეგრელს შეურაცხყვად მიაჩნია. ლაზი კი მექისეთ სიამოვნებით დგება. ლაზთა შვალებით საესეა მთელის ოსმალე-

თის ქალაქების აბანოები, სადაც მექისეებათ სულ ლაზები არიან. ასეა ტრაპიზონში, არზრუმში და სხვაგანაც. ამ გარემოებას და ლაზების მეგრელებისგან ასე დაშორებას ჩვენ სხვა და სხვა მიზეზებით ვსთვლით და ლაზების ასე გადასხვაფერებას პირდაპირ ისმალთა ფლობას და მონობას ვაწერთ. სხვა ამის მეტს არაფერს. ლაზების ასეთი მცინარეობა და დაქვეითება ოსმალოს მძლავრის მონობის სასტიკი მიზეზები გახლავთ.

მეგრელი ხალხი მკვირცხლია, ლაზი კი ასე არ არის, მეგრელი ალებ-მიცმას მკვირცხლად ჰკიდებს ხელს და საქმეს. აწარმოებს, ლაზი კი ამაში დაძაბუნებულია ტეტიასავით. მეგრელი მეურნეობას შორიდან უმზერს და არ ეტანება, ლაზი კი მეურნეობას და ნამეტურ ბაღოსნობის მოვლა-მოწყობას ხალისით ელტვის, უვლის ფორთოხალის ხეებს, ლიმონის, ლელვის, ზეთის ხილს, მისდევს მეფუტკრეობას და სხვაც კიდევ ასეთებს.

მეგრელი სახელოსნო მუშაკობას არ ელტვის, ლაზები კი მუშაკობას და ხელოსნობას: დურგლობას, კალატოზობას, მუედლობას, ხარაზობას და სხვა ბევრ ასეთებს, რასაც ქართლ-კახეთის ქართველობაც დადათ ეტანება ყოველთვის და ყოველგან საქართველოში.

სახელოსნოს საქმეებით ლაზები მთელს ოსმალეთშიაც კი იქმნენ ოსმალთაგან ცნობილი, რომ ლაზები კარგი ხელოსნები არიან და ნამეტურ სახლების კეთება იციან კარგათ და ჩინებულათ. ერთ ზროს, იმერეთს, რაჭას, ქართლსა და კახეთშიაც კი ხელოსნებათ და სახლების მკეთებლებათ სულ ლაზები იყვნენ მრელს იმერეთში, ხისათუ ჭვის სახლებს მხოლოდ ლაზი ხელოსნები აკეთებენ, ამათ მეტი სხვა არავინ.

ლაზები ხელოსნობის მიმდევრობით ისე დაწინაურდნენ, რომ ერთ დროს, შავი ზღვის ნაპირზედ, ესენი გემებსა და ნავებსაც აკეთებდნენ. თვით ჩვენს დროსაც ფნახეთ, რომ ლიკენში, ერთ ალაგას, ლაზელ ხელოსნებს ნავების ანუ ფელუკების ქარხანა პქონდათ განსილი და იქ მუშაკობდნენ ლაზელი ხელოსნები და ნავებსა და ფელუკებს აკეთებდნენ. ერთი მოსავონარი ცნობა არის, რომელიც ლაზებსა და მეგრელებს შუა დიდ საზღვაოსა სდებს: ლაზს ძრიელ ეხალისება გემებზედ ანუ პარახოტებზედ სამსახური და მუშაობა. ამის გამო ლაზი ზღვაში ცურვასა და ბანაობასაც სწავლობს და პარახოტებზედ მუშაობას დიდის ხალისით მისდევს. მართალია, ამას მეგრელებიც მისდევენ, მაგრამ არა იმოდენათ მკვირცხლით, როგორც ლაზები.

ჩვენ აქ კიდევ ბევრს სხვა და სხვა საქმეებს მოვცოდით, რომელნიც ლაზთა და მეგრელთა ურთიერთობას და ნათესაობის ცნობებს ერთმანეთს ძლიერ აშორებს. ეს ჩვენთვის არ უნდა იყოს გასაკვირელი, ვინაიდგან ამ გარემოებას აქვს თავისი ისტორიული პირობები, რასაც თან სდევს და ჰფლობს ოსმალთა სახელმწიფოს დიდი ბოროტება და დესპოტიზმი. ამას ეჭვი არ უნდა, რადგანაც თვით ისტორიულს მეცნიერებაშიაც უკვე გარკვეულია ის გარემოება და პირობები, რომ ლაზები და მეგრელები არიან ერთი ქვეყნის ტა ერთი ენის შვილი.

ისიც უწყებულია კარგათ, რომ ლაზებსა და მეგრელებს ტელის ძველათგანვე პქონდათ ერთმანეთში დიდი ერთობის კავშირი და მათი ცხოვრება იყო მტკიცე და განუყრელი ერთი მეორისაგან და ეს როგორ მოხდა რომ საშუალ საუკუნოების შემდეგ ესენი ერთმანეთს ასე დასკილდნენ. ეს არის ოსმალეთის მანქანება.

ასე მიტომ ვფიქრობთ, რადგან ლაზები ბიზანტიის და რომაელთ მწერლებთაგან ძველთაგანვე არიან შენიშნულნი და ანუსხულნიც ისე, რომ ლაზებმა იციან კარგად, როგორც ალებ-მიცემა, ისევე სხვა და სხვა ხელოსნობის საქმიანობა და მუშაობა.

ეხლა ჩვენ შევეხებით ლაზების ერთსა და მეორესც, — ალებ-მიცემის საქმეებსა და სახელოსნო საქმეთა მიმდევრობასაც, თუ მათში როგორ იყო მოწესრიგებული ან ძველათ, ან საქართველოს მეფობის დროს, როცა ისინი ოსმალთ ჩაუვარდნენ ხელში.

ამის თქმა ჩვენთვის საჭირო გახლივთ, რომ ლაზებმა შეიტყონ ის პირობები, თუ იგინი როგორ იყვნენ ძველათ, რა კულტურული სიმძლავრე ჰქაორგლავდა მათ, რა შემძლებლობა ამისი და ან იგინი რა მდგომარეობაში ჩავარდნენ მას შემდეგ, რაც ლაზისტანი ოსმალეთმა დაიპყრო და ლაზებიც დაიმონავა. ამის აქ აღნიშვნა საჭირო არის, რომ ამით ლაზებმა იცოდნენ ის პირობები თუ ოსმალებმა მათ რა ამაგი დასწო, რა ლვაწლი და შრომა დახარჯეს მათ ლაზებზედ და ესენი როგორ დაქვეითდენ ოსმალთა ხელში თავიანთი ცხოვრების წესებით.

ოსმალთ ლაზისტანი ბევრჯველ დაიმორჩილეს, ფეხს ვერ იმაგრებდნენ და ლაზისტანში ლაზები ყოველთვის სჯობდნენ და რეკავ-დნენ ლაზისტანიდან. 1580 წ. კი ოსმალთ ისე დაიპყრეს, რომ ლაზებმა მათი დამარცხება ველაზ შესძლეს. 1626 წ. კი ოსმალეთმა ისიც მთავრება, რომ მთელ ლაზისტანთან ერთად მთელი სამცხე-საგათაბაგოც დაიმორჩილეს ისე, რომ მათ წინაშე ქართველებმა ვე-

ლარა მოახერხეს-რა. 1626 წ. ოსმალთ ფეხი გაიმაგრეს როგორც ლაზისტანში, ისევე სამცხე საათაბაგოში, ოსმალთა დიდი ჯავრი ჰქონდათ ლაზების, ამრტომ გათ განიზრახეს ლაზების დაქვეითება, დაჯაბნა და სასტიკათ დამორჩილება.

უპირველეს ყოვლისა ლაზებს დაუწყეს ისლამთან დაკავშირება, ლაზები პირველათ უარზედ იყვნენ, მეტე კი დაემორჩილნენ ბრძანებას და დაუწყეს ისლამთან დაკავშირება.

ოსმალებმა ეს არ აქმარეს და ლაზებს აუკრძალეს ლაზურათ ლაპარაკი, ლაზები პარველ დროს ამ ბრძანების წინააღმდეგნი გაუხდნენ, მაგრამ მეტია გზა არ ჰოხდათ, თანხმობა განუცხადეს ასე: ჩვენს სახლე სა და ოჯახშ, ლაზურათ ვილაპარაკებთ, მთოლოდ ოსმალთა სასამართლოში. კი მოხელეებთან ოსმალურათ ვილაპარაკებთო.

ლაზებს იმედი ჭინდათ, რომ საქმე მით მოზრებოდა, მაგრამ არ იქმნა, ოსმალნი უფრო შორს წავიდნენ, ოსმალთ მალე სხვა ეშმაკობას მიმართეს და ლაზებს განუცხადეს, რომ დღეის შემდეგ თქვენებურს წერა-კითხვას თავი უნდა დაანებოთ და მის მაგიერ არაბულათ უნდა ისწავლოთ წერა-კითხვა, რადგანაც თქვენ მუსულმანები ხართ და თქვენი წერა-კითხვა არაბული უნდა იყოსო.

ლაზები ამაზედაც წინააღმდეგნი გაუხდნენ და ური უთხრეს, ოსმალებს ჯავრი მოუვიდათ და ამ დროს შეიტყეს ამათ, რომ ლაზური ანბანი თურმე ქართული ანბანი იყო და ლაზები თურმე ამ ქართულს ანბანს სწავლობდნენ. ოსმალებმა ახლა ისეთი კილოთი დაუწყეს ლაზებს ლაპარაკი, რომ ლაზებმა მიატოვეს თავიანთ დედა ენაზედ სწავლა და სამუდამოთ გამოეთხოვნენ მას და, ამგვარათ, უარ ჰყენს ქართული ანბანის შესწავლის საქმე.

მაშინ თურმე ლაზები ქართულს ანბანს ლაზურ ანბანს უწოდებდენ. ოსმალებმა ლაზები მიახვედრეს, რომ ქართული ანბანი ლაზური ანბანი არ არის, იგი ქართულიაო. ამიტომ ლაზებმაც უარი ჰყენს თავისი დედა ენის ქართული ანბანი.

უნდა ითქვას, რომ იმ დროს, როცა ლაზისტანში ქართული ენა დაამხეს ისმალთა, მთელს ლაზისტანში იყო თურმე ორასი სამრევლო-სასოფლო სკოლები და ხახულის მონასტერში, სადაც არსებობდა ლაზების სასულიერო სემინარია. აქ სწავლობდა ლაზეთა შვილები ოთხას მოწაფემდე.

რავი ლაზებს ქართულის ენის და წერა-კითხვის სწავლება აუკრძალეს. ამ გარემოებამ მით უფრო იმოქმედა ცუდათ, რადგანაც ქართული წერა-კითხვის მაგიერ არაბული ანბანის სწავლება დაუწ-

ყეს ლაზთა შვილებს და სულ ეს გარემოება გახდა, რომ შთელ ლაზთასტანში 1650 წლებამდის სასოფლო სამრევლო სკოლები სულ მოისპნენ და მათთან ერთად დაემხო ხახულის მონასტრის სემინარიაც და იქაური ლაზთა შვილების სწავლა-განათლებაც დაემხო. ერთის სიტყვით, ოსმალთ შეისრულეს გულის წადილი და მთელს ლაზთასტანში ლაზთა შორის დაამხეს როგორც ქართული ენა, ისევე ქართული წერა-კითხვა და საქვეყნოთ ქართული ენის ხმარებაც. მაშინ ლაზები ქართულს ანბანს თვის საკუთარ ლაზურ ანბანათ სთვლიდნენ. ამ ანბანით ლაზურ სიტყვებსაც სწერდნენ.

უნდა ითქვას, რომ თუმცა ოსმალთა ლაზისტანში ქართული ლაპარაკი და წერა-კითხვა მოსპეს. ეს მოსპეს უმთავრესათ სოფლის გლეხებში შიშით. ჩაც შეეხება ლაზთა სასულიერო წოდებას და თავად-აზნაურობას, ამათში კი დიღხანს დარჩა ეს ენა და წერა-კითხვის ცოდნა შეურყევლად. ამის ხსოვნამ მათში თვით მეცხრამეტე საუკუნის ნახევრამდისაც მოაღწია..

უნდა ვიცოდეთ. რომ ოსმალთა თავიანთ ბოროტებით ლაზებს ბეჭრს ალაგას ქართული ენა სასტიკათ აუკრძალეს. ეს არ აკმარეს და აუკითხებასტულის ენის კილოკავი ლაზური ენაც აუკრძალეს სახმარებლათ მთელს ლაზისტანში.

მიუხედავათ ოსმალთა ბოროტობისა და ბარბაროსობისა, ლაზებმა მაინც 1850 წლამდის შეინახეს როგორც ქართული ანბანის ხსოვნა, ისევე ქართული ენის და ჩაც შეეძლოთ ლაზურ ენის ხსოვნას, ლაზებმა ეს ენა არამც თუ დაივიწყეს, არამედ 1850 წლებამდის, ლაზისტანის ჯამებში ბეჭრს ალაგას ხოჯები, მოლები და მუფთიც კი თავის ლრცის დროს „ყურანის“ კითხვების ასახსნელათ ლაზურ ენას ხმარობდნენ და ლაზებს ლაზურის ენით უხსნიდნენ „ყურანის“ ახსნას. რაღვანაც ლაზებს ჯამებში არაბულის ენით ქადაგების არა ესმოდათ-რა და არც ოსმალური ენა იცოდნენ თურმე.

ამგვარათ, ჩვენ უნდა ვიცოდეთ. რომ ლაზისტანში ქართული ენის ხმარება და ლაზური ენის დამხობის დასაწყისი 1850 წელში იწყება. დავსძენ იმასაც, რომ ოსმალებმა ლაზებს მარტო ამ ორი გარემოების წართმევა და დაეიწყება არ აკმარეს. ოსმალებმა ლაზებს დაუწყეს სხვაფრიგაც დამხობა და ცხოვრებით ისე გაწრითკება, რაის საშუალებითაც ლაზთა საოჯახო ყოფა-ცხოვრების სახეც სულ მოიშლებოდა. მას ლაზური ერის ცხოვრების პირობების სულ წარეხოცებოდა და ბოლოს ლაზებიც ისე გათურქდებოდნენ და ისე-გაითვითებოდნენ ოსმალებში, რომ ამათ კაცი ოსმალთაგან ველარას-

ფრით გაარჩევდა და ესევე გარემოება გახდებოდა იმის საძირკვლად რომ ლაზებში ქართული ენა და წერა-კითხვის ხსოვნაც სულ ძირიან-თვესვიანათ დაემხობოდა და ამოვარდებოდა.

ოსმალთა მთავრობამ მიაღწია თავის საწადელს. 1845 წლის ომის შემდეგ, სტამბოლის შეიხულ ისლამის ბრძანებით, ეუწყათ ლა-ზთა ხოჯებს, მოლებს და მუფთებს, რომ ამიერიდამ არამც და არამც ჯამეში „ყორანის“ ახსნისათვის ლაზური ენა აღარ იქნეს ხმარებულიო. ვინც ამას არ შეასრულებს, იგი გადაყენებული იქმნება სასუ-ლიერო წოდებიღამო.

ამ დღიდამ მართლაც ლაზური სასულიერო წოდება დაემორ-ჩილა ბარბაროსულ ბრძანებას და მათ საერთოდ მოსპეს ლაზური ენის ხმარება ჯამებში და ამ ენით ქადაგებაც. ამ დრომდის კი ლა-ზური ენის დასაწერათ და გამოსახატავად ლაზები ქართულს ანბან-საც ხმარობდნენ, რადგანაც ხრაბულის ასოებით მათ ლაზური სიტ-ყვების გამოხატვა ძრიელ უჭირდებოდათ. ოსმალეთის მთავრობის ბრძანების კილო იყო მიზეზათ გამხდარი, თორემ ლაზებში ქართუ-ლი ენის და წერა-კითხვის ცოდნა არ მოისპობოდა.

რაბულს ანბანს აქვს 24 ასო. ეს ანბანი კი ლაზურ სიტყვების დასაწერიდ და გამოსახატავათ არ კმარიბდა. ლაზური ენის სიტყვე-ბის დასაწერათ ქართული ანბანი კი ზედ გამოჭრილი იყო და ეს დღესაც ასე გახსრავთ მათში, ხოლო ქართულის წერა-კითხვის ხსოვ-ნა კი მათში საერთოდ არის დამხმაბილი.

რაკი ეს უბედურება მოხდა ლაზებში, მის შემდეგ მოხდა ისიც, რომ ლაზების ცხოვრების წესებიც სრულიად დაინჯლრა და დაეცა. ქართულის წერა-კითხვასთან ერთად, მათში მკაცრად დაემხო აღე-მიცემის მიმდევრობა, სოვდაგრობა, უცხო ქვეყნებში მგზავრობა და ბევრიც სხვანი.

ასე და ამ გვარით, ოსმალეთის მახვილმა ლაზები დასცა ცხო-ვრების წარმატებით, ქვეა და სხვა საკულტუროს ცოდნის ხსოვნით და უკანასკნელ იგინი გახდინ ქურთების მსგავსათ, უკან ჩამორჩე-ნილ ველურ ერათ.

ლაზებში ოსმალებმა ფეხი გაიმაგრეს. ამ დამონებით ჯერ შე-კამეს ლაზები; შემდეგ ისინი ეროვნულათ გაანადგურეს, მოსპეს, გააქრეს ყველაფრით და ამის შემდეგ, რაკი ლაზები დაამდაბლეს მის შემდეგ ლაზისტანის საზღვრებსაც უწყეს მოტაცება და გათურქება. ამათი სურვილი იყო რომ ლაზისტანის ადგილებიც ისე შაეჭამათ და

გაექროთ, როგორც სხვა ერთაც უყვეს ესა და იგინი შეჭამეს და გააქრეს ეროვნულად.

ჯერ ლაზების გადაგვარების შესახებ ავლწერთ, რომელიც მნი-შენელობას არ არის მოკლებული.

ლაზები თავიანთი ნაციონალური თვისებებით და არსებობით ოსმალებმა თითქმის შეჭამეს. რაკი ლაზებმა ოსმალთა ბარბაროსული ბრძანება შეასრულეს და დასთმეს ყველაფერი, ამიტომ ისმალებმა იფიქრეს, რომ ლაზებს ადვილათ გავათურქებო და გადავაგვარებთო, მაგრამ საქმე არც ასე იყო. ლაზები ოსმალებმა ვერკი გადააგვარეს, არამედ ლაზები ოსმალებმა დააძინეს.

1882 წ. აკადემიკმა მარ ბროსემ მოიწერა, რომ ქართველებო, რუსეთის ხელში თქვენ ნუ გეშინიანთო! თქვენ არ გადაგვარდებით, რუსეთი თქვენ ვერას დაგაელებთ, რადგანაც თქვენი წარსულის უსლ-ტურით ქართველები რუსებზე ბევრათ მაღლა დგევხართო. საქართველოს მონობა უცხო სახელმწიფოთა ხელში ქართველებს არ უნდა გაშინებდეთ, რადგანაც ეს ქართველთ მონობა ორ დღესა ჰგავსო.

ვიტყვით, რომ ლაზებსაც სწორედ ასე მოუხდათ: მართალია, ოსმალებმა ლაზებს ქართული ენა დაავიწყეს, ქართული ანბანის ხმა-რებაც მოსპეს ისე, რომ იგი აღარსად დასტოვეს, მაგრამ მიუხედავათ ამისა, მაინც ვერ მოისპნენ ლაზები, ისე როგორც პოეტი ამ-ბობს: „არ მომკვდარა, მხოლოდ სძინავს და ისევ გაიღვიძებსო“. ეს თქმულება სწორეთ ზედ გამოჭრილია ლაზებზედ.

ასე მოუხდათ ლაზებსაც და ამ მეოცე საუკუნის დამდეგს, ლაზებში ისეთი ცვლილება დატრიალდა, საქმე ისე მოეწყო, რომ ლაზებმა ისევ გაიღვიძეს, ისევ ლაზურის ენის და ქართული წერა-კითხვის შეგნებით თავი წამოყვეს. ეს გარემოება იყო შესანიშნავი საქმე და მეტად დიდებული მოვლენა ქართველი ერის ცხოვრებაში. ეს გარემოება რომ თავისთვად დიდებული მოვლენა არის, ამის არსებობას თვით ლაზების გაღვიძების და აღორძინების ისტორიაა, რა-რასაც ახლა მძიოხელს გავაცნობთ.

1900 წლებში ლაზებში გაჩენილან ისეთი შეგნებული ლაზები, რომელთაც ხმა მაღლა დაუწყვიათ ლაპარაკი იმაზე, რომ ჩვენ თურქები კი არა ვართ, ჩვენ ვართ ქართველის ტომის მონათესავენი, ჩვენი ენაც არის ქართული და არა ოსმალური, ჩვენი წიგნიც არის ქართული და არა არაბულიო. ასეთ ქადაგებას ლაზებში დიდი ზე-გავლენა მოუხდენია და ლაზებსაც განცვიფრებით დაუწყვიათ ცხოვრებაზე მზერა. ჩვენ ქართველების ძმები ვართ და ქართული ენა კი.

არ ვიცითო. ამ გარემოებას ლაზები დიდათ დაუდარდიანებია, დიდათ დალონებულან და დაუწყვიათ ამაზედ გოდებით და სინანულით ლაპარაკი და ოშალთა ბოროტების ძრახვაც.

მცირე ხნის შემდეგ, 1910 წელს ლაზებსა და აღიების შორის ლაპარაკი კიდევ ატეხილა. ამის ქადაგება დიდათ გამძლავრებულა. ბოლოს საქმე იქამდის მისთლა, რომ ლაზებს დაუდგენიათ ასეთი აზრების განსახორციელებლათ უსათუოდ მათ უნდა შესაწავლათ ქრონიკი წერა-კითხვა და მასთან უჟღველად უნდა წაიკითხონ თავიანთი ისტორია და გეოგრაფიაც, გაიცნონ კარგათ თვით თავიანთ ქართულს ენაზედ.

ბევრის ლაპარაკის და თათბირის შემდეგ, ლაზისტანის ხოფას იქით. ამავ ხოფას მაზრის მცხოვრებთ შორის გავრცელებულა ის აზრები, რომ ჩვენი ენა და წიგნი არის ქართული, ამიტომაც ჩვენ ვალდებული ვართ, რომ ჩვენ ჩვენი ენა და წიგნი შევისწავლოთ და არა თურქული და არაბული.

ამიტომაც სოფ. აბოსიალიარში მცხოვრებთ კოლექტიური თხოვნა შეუდგენიათ ოშალეთის განათლების მინისტრთან, სტამბოლში კაცები გაუგზავნიათ და უთხოვნიათ ნებართვა, რომ ჩვენ მოგვეცეს ნებართვა, რომ ლაზებმა ჩვენი ენისა და წიგნის შესასწავლი სკოლები დავხსნათ და ჩვენს შვილებს ჩვენი ენა და ჩვენი ენის წიგნის კითხვა ვასწავლოთ.

ამ საქმის მეთაური ყოფილა ლაზი აბდულა აშიკ პასან ოლლი და ორიც სხვა ხელჭვეითნი. მინისტრერს ამათი თხოვაა დიდის პატივისცემით მიუღია და ნებართვაც მიუცია. მინისტრერს ლაზების-თვის გამოუკითხნია და ლაზებსაც თავიანთი დედა ენათ ქართული ენა და წიგნი დაუსახელებიათ.

მალე დაბრუნდნენ სახლში და ჩამოსვლისათანავე უნდა შესდგომოდნენ სკოლების მოწყობის საქმეებს. პირველად ესენი უნდა გადმოსულიყვნენ ბათუმში. აქ უნდა ეპოვნათ ქართული ენის მასწავლებელი, როგორც კაცი, ისე ქალი. ამ მასწავლებელს ისინი წაიყვანდნენ თავის ქვეყანაში და მის მერე ისინი მოაწყობდნენ სკოლის გახსნის საქმეს და სწავლასაც დაიწყობდნენ ქართულს ენაზედ, მაგრამ ამ გარემოებას ხელი შეუშალა მიმართების დაწყობამ და ამიტომ ამ კეთილ საქმეს ხელი შეუშალა 1914 წ. ომის სამზადისის და დაწყების საქმემ. გადმოგვცეს ამ საქმის დამწყებ ლაზებმა, რომ ეხლა ვერ შევასრულეთ ეს განძრახვა, მაგრამ ომის გათავების შემდეგ კი ამ

განძრახებას სისრულეში მოვიყეანთ და ქართულ სკოლებს უსათუოდ დავხსნითო.

აბდულ აშიკ. ჰასან ოლლი დაბადებულა და გაზრდილა ოსმალთა მონობაშჩ. მას შეუსწავლია ოსმალური ენა და არაბული ანბანი. იგი ოსმალთა ბარბაროსობით წმინდაო გათურქებულა და ლაზური ენის. და თავისი ალარაფერი შერჩენია, მაგრამ მიუხედავათ ასეთის გადაგვარებისა, მაინც ამ აბდულ აშიკ ოლლის ბუნებრივათ, თავისი ინერციით გამოურკვევია თავის ძიების მცნება, თუ ვინა ვართ ჩვენ, თურქები არა ვართ, არც ოსმალნიო, მაშ რა ჰქვიან ჩვენს ვინაობას და ჩვენ ქვეყანას, ამაში უნდა გამოვერკვიოთ, ეს ჩვენ უნდა ვიცოდეთო, აშის ცოდნა ჩვენთვის აუცილებელ საჭიროებას შეადგენსო. როცა ეს პირი ასე ფიქრობდა, იგი სწორედ ასეთსავე სიტყვებსაც ლაპარაკობდა თურმე მთელს ლაზებში, ბუნებრივმა სიმართლემ თავისი გაიტანა და მკვდრეთით დამონებულს ლაზებში აღსდგა თვითგამორკვევის და შეგნების დასაწყისი.

აწინდელ ლაზების წინაპრებმა შეიგნეს მარტივად ის გარემობა, რომ ლაზისტანი არც თურქეთია, არც არაბეთი, არამედ ის საქართველოა და თვით ლაზებიც ქართველების ტომისანი. ამათ ისიც შეიგნეს, რომ ჩვენი ანბანი ქართული ანბანია და არა თურქული, როგორც ჩვენ ამას ოსმალნი გვარწმუნებდნენ აქამდისო.

სიმოვნებით უნდა მოვიხსენიოთ ისიც, რომ 1900 წელს, სწორეთ ასეთ შეხედულების კაცები მარტო აბდულ აშიკ ოლლი კი ირყოფილა, არამედ სხვანიც ყოფილან მრავლად და ამათი შეგნების დასაწყისი აი საიდამ დაწყებულა. იმასც ვიტყვით, რომ ეს საშვილიშვილო მცნება ლაზებმაც იცოდნენ.

საქმე აი როგორ ყოფილა:

ტრაპიზონში არსებობდა ოსმალთა საბეითალო სასწავლებელი ამ სასწავლებელში თურმე ბეითალ მოწაფეთა რიცხვიც სულ ლაზთა შევილებისაგან შესდგებოდა. აქ ამ ლაზთა შეილო ასწავლიდნენ არაბულს ანბანს, ოსმალურს ენას, არაბულს, სპარსულს, ფრანგულს, გერმანულს და ინგლისურს, გარდა ქართულის ენის, ასეთ ლაზელ მოწაფეთა შორის შემთხვევით ვიღაცას მიუტანია ფრანგულ ენაზედ დაბეჭდილი აქადემიკის ბროსეს მიერ „ქართლის ცხოვრება“ და ვაზუშტის „საქართველოს გეოგრაფია“.

ლაზთა შეილებს ეს წიგნები წაუკითხავთ და მისის წაკითხვით გაუცენიათ, რომ ლაზისტანი საქართველოა და ლაზებიც ქართველების და მეგრელების ნათესავები არიან და არა თურქების. ამ ცნები-

საგან მთელი სკოლის მოწაფეები სახტათ დარჩენილან და მათ დაუწყვიათ ძიება და ლაპარაკი მასზედ თუ ოსმალთაგან ჩვენი ასე გადაგვარება და დაკარგვა როგორ მომხდარა. ბოლოს ყველაფერი დაწვრილებით შეუტყვიათ.

აი, ასეთ გონიერ მოწაფეთა შეგნებულმა სიტყვების წარმოთქმაშ აიყოლია თურმე ლაზების შეგნებული ნაწილი და ამ შეგნებულთაც დაიწყეს თავიანთ ვინაობის შესახებ საუბარი და ძიება ამისი, სწორეთ ამათ საუბრისაგან გამცნებულა აბდულ აღა პშიკოლლი. ეს რომ ნამდვილია და მართალია ამას ასაბუთებს — კიდევ შემდეგი გარემოება.

1892 წ. ტრაპიზონიდან ბათუმში ჩამოვიდნენ ლაზები. რამდენიმე მოწაფენი, სამნი ამათაგანი, ფრანგული ენის კარგათ მცოდნენი. ბათომიდან ქობულეთში ამოვიდნენ და აქ ერთს ქართველ მაჭმადიანთა წარჩინებულ პირს სოხოვდენ ქართულს ენაზედ დაბეჭდილ „ქართლის ცხოვრების“ და ვახუშტის მიერ დაწერილს „საქართველოს გეოგრაფიას“, რომელი წიგნებიც ბროსებ 1848 წ. პეტერბუგში ფრანგულის თარგმნით ცალკე წიგნათ გამოსცა.

საქმე ისე მოეწყო, რომ ეს წიგნები ქობულეთში მათ ვერავინ უშოვნა, მერე პატივცემულმა ქართველმა მაჭმადიანმა, შეგნებულმა მამულისშვილმა, ცნობილმა და დამსახურებულმა პირმა, პატიოსანმა აღამიანმა გულო აღა კაიკაციშვილმა ამ ლაზებს უამბო ცნობები, თუ იგინი ამ წიგნებს სად იშოვნიდენ და მასთან მაშინვე მიასწავლა. ყოვლათ პატიოსანს და ცნობილს გრიგოლ დავითის ქე გურულთან, ვისთანაც თქვენ მაგ წიგნებს უსათუოთ იშოვნითო.

ლაზთა შვილების სიხარულს თურმე დიდი ძალა მიეცა, იგინი გულო აღა-კაიკაციშვილს მადლობით გასცილდენ და მაშინათვე წავიდნენ გრიგოლ გურულის საძებნელათ, ესენი ჯერეთ ოზურგეთში ჩამოვიდნენ და მერე აქედამ ბათუმში წავიდნენ, რაღანაც გრიგოლ გურიელი იმ დროს ბათუმში ყოფილიყო საცხოვრებლათ.

ახლა აქ მოვაყვან უპატიოსნესის გრიგოლ გურიელისაგან მოთხოვნილს ამბებს ამ ლაზელ ახალგაზდა საბეითლო მთელ რიგ ექიმების შესახებ და იმედია, რომ ამ გარემოებას აწინდელი ლაზთა შვილები და მომავალი შეგნებული რიცხვიც ლაზთა შვილების ამ გარდმოცემას წმინდათ შეხედვენ, სუფთა მცნებათ მიიღებენ და დაადგებიან იმ გზასა და კვალს, რასაც მათი წინაპრები ადგნენ და რასაც იგინი თურმე ხმა მალლა ლაპარაკობდენ ყველგან.

ლაზელი ახალგაზრდა ბეითლები და ჯარა ექიმები გრიგოლ გურისელს თურმე დიდის მოწიწებით და თავაზით შეხვდნენ; პირველ ნახვისათანავე ლაზებმა გრიგოლ გურიელს ფრანგულად მისცეს სალამი, მერე მკითხეს, რომ თუ გნებამთ თურქულათ ვილაპარაკებთო. მე მიუგე, სთქვა გრიგოლ გურიელმა:

— ორივე ენაზედ ვისაუბროთ, მე ფრანგული კარგათ არ ვიცი, მაგრამ თქვენთან ლაზებთან ძრიელ მიხარიან, რომ ამ ენაზედ მექნება თქვენთან საუბარი, ფრანგულის ენით საუბარი თქვენთან იმას ნიშნავს, რომ თქვენ ლაზების ხსოვნა ჯერ კიდევ არ. დაკიგარგვათ და თქვენის დამლუპველის ოსმალეთის ენის მაგიერ ფრანგულად, ევროპიულად ლაპარაკობთ, ამით მე იმედი მაქეს, რომ თქვენ, როგორც ლაზები და ქართველის ტომის და ენის მონათესავენი, დღეის შემდეგ დაწინაურდებით ლაზურ-ქართულ ზაკიის შეგნებით და თქვენ თქვენის სამშობლო ლაზისტან-საქართველოს ისტორიასაც შეისწავლით.

სთქვა` პატივცემულმა გრიგოლ გურიელმა: მე რომ ამ უკანასკნელ სიტყვებს ვეუბნებოდი, ერთ ლაზს თვალებში ცრემლები მოერია და ამიტომ მეც სიტყვა ალპ განვაგრძე, ოჩმა მათვანმა დიდი მაღლობა გადამიხადეს და მითხრეს.

— დიახ, უენერალო, ჩვენ მიტომ მოვედით თქვენთან, რომ ჩვება თქვენ დაგვეხმაროთ და ისეთი წიგნები გვიშოვნოთ, რითაც ჩვენ ჩვენის ქვეყნის ისტორიას შევისწავლით. მხოლოდ ჩვენი ერთი უბედურება ის გახლავსთ, რომ ჩვენ ქართული ლაპარაკი და წერა-კითხვა არ ვარკით, რადგანაც ოსმალის მხარეში ლაზებს და მთლად ქართველებს სკოლებში ქართული ენას არ ასწავლიან. არ სწავლებას გარდა, იგინი ჩვენ მოტყუილებით გვარწმუნებდენ, რომ თქვენ თურქის ტომისანი ხართო და თქვენი ენა და წიგნიც თურქული და არაბულია, რადგანაც ლაზური ანბანა არ არსებობსო.

ჩვენ წავიკითხეთ ბროსესაგან დაბეჭდილი საქართველოს გეოგრაფია ფრანგულს ენაზედ და იქიდამ გავიგეთ, რომ ჩვენ ლაზები თურქები კი არა, ქართველის ტომისანი ვართ და ჩვენი ქვეყანაც ლაზისტანიც საქართველო ყოფილა და არა თურქეთი. ამიტომ მოგმართვათ უენერალო და გთხოვთ, ეგები სიკეთე გვიყოს და ფრანგულს ენაზედ დაბეჭდილი წიგნები გვიშოვნონ, ამით თქვენ დაუფასებელს სიკეთეს გვიზავთ.

გრიგოლ გურიელს ესეთი საუბარი დიდათ გაეხარდა და ლაზებს დაპირდა ზოგი რამ წიგნის შოვნა და ბოძება, იმავ დროს, თურმე

გადასცა ბროსეს მიერ ფრანგულ ქართულს ენაზედ დაბეჭდილი ვახუშტის საქართველოს გეოგრაფია და ფრანგულადაც დაბეჭდილი „ქართლის ცხოვრება“. ზოგის სხვა წიგნები ფრანგულათ დაბეჭდილები საქართველოს შესახებ.

ლაზებს ამ წიგნების შოვნა დიდათ გაეხარდათ და გრიგოლ გურიელს დიდი მაღლობა უთხრეს და საფასურიც შესძლიეს ბოდიშის მოხდით, მაგრამ გრიგოლ გურიელს საფასური არ მიუღია, ამ დროს, თურმე ლაზებმა გადაშალეს ვახუშტის გეოგრაფია და ფრანგულის თარგმნის დაბეჭდილის გვერდით ქართულის კითხვაც დაიწყეს, მერე თურმე გრიგოლ გურიელის უამბეს ასეთი ცნობა.

ქართული კითხვა ჩენის ცდით ვისწავლეთ, ვკითხულობთ, გაგებით კი არა გვესმის რა, რაღანაც ლაპარაკის პრაკტიკა არა გვაქვსო, ეხლა აქ, ბათუმში ქართულს ლაპარაკს ყური მოვკარით და სახტათ დავრჩით, სიტყვების გაგონებამ და მათ დაკვირვებამ ბევრს ქართულს სიტყვებს სწორეთ მიგვახვედრა. ქართული ენა ლაზურ ენასთან ისე ყოფილა დაკავშირებული, რომ ლაზი ორი კვირის განმავლობაში ისწავლის და ილაპარაკებს ქართულს ენაზედ, რაც ცხადი ნიშანია მის, რომ ეს ხალხი და ქართული-ლაზური, ენაც არის ერთი და იგივე. გრიგოლ გურიელმა ასეთის გონივრულას შეგნებულობის ლაზებს დადი მაღლობა უთხრა. ლაზებმა მერე გრაგოლ გურიელს უამბეს ლაზისტანის სახლვრების შესხები ცნობები, რამალთაგან ლაზური ენის დევნის ამბავი. ლაზების გადასახლება ლაზისტანიდან და ოსმალეთში დაფანტულია 400 ათასზედ მეტი ლაზიო.

მთელი ლაზისტანის მცხოვრებო ლაზთა რიცხვი 1810 წ. 600 ათასზე მეტი ყოფილა, ეს ცნობა, ამ ლაზებს ოსმალეთის მთავრობის ერთის სტატისტიკურის ცნობიდამ სცოდნიათ, რაღანაც იქ მოხსენებული ყოფილა. რომ ლაზისტანში, ოსმალოს მთავრობის, მოხარჯე ლაზთა რიცხვის 600 ათასი მოხარჯე არისო.

ამ დროის შემდეგი, ანუ 1830—1840 და 1860 წლების ოსმალური კალენდრების ცნობები იძლევიან, რომ ლაზისტანში ლაზთა მცხოვრებთა რიცხვი 200 ათასი სულისაგან შესდგებათ. მაშასადამე თვით ოსმალურის მთავრობის ცნობებით 1810 წ. შემდეგ ოსმალოს მთავრობას ლაზების რიცხვის ოსმალეთის იმპერიაში დაუპნევია 400 მეტი სული.

ლაზებს უთქვაშეთ: მიწეზი ლაზების აყრის და დაფანტურს ის ყოფილა, რომ პირველი ლაზები ოსმალებზედ გაცილებით უფრო ლამაზი ხალხიათ. მეორე მიწეზი ის ყოფილა, რომ ლაზები უფრო

კრლტუროსანი ხალხი არია, ხელოსნობის კარგი მუშები და ვაჭრობისაც კარგად მიმყოლნი და მესამე კიდევ ის ბარბაროსობა ყოფილა, რომ ასეთის დაფანტიზით ლაზები თავის ენას, სახეს და ვინაობის ცნობას დაჰკარგვენ და ვაოსმალდებიანო.

პატიოსანმა გრიკოლ გურულმა სთქვა, როცა ეს სიტყვა ერთმა ლაზმა, დაამთავრა იმ დროს, მეორე ლაზები ცრემლები მოუვიდა თვალებშიო, და მე დამიწყეს პირში ყურება, თუ მათ მე რა იმედს მიეცემდიო.

მერე უამბნიათ კიდევ, რომ ოსმალეთის მთავრობას ლაზების შინაშე სხვაც ბევრი ბოროტება მიუძლვის და უმთავრესად კი ის გარემოება, რომ ვინც ლაზისტანში ლაზები დაშონენ და მათში ლაზური ენა ვერ დაამხეს და ვერ მოსპესო. მის მიერ, ამ ლაზებს, ლაზური გვარების ტარება აუკრძალეს და ყველას ლაზური ვგვარის მაგიერ ოსმალურად უწოდესო. ამით მათ ბევრი რამ ისტორიული გვარები მოსპეს ლაზისტანში ლაზთა შორისო.

დღეს ლაზი შურლაია—იწოდება შუროლლითო, შანია—შაინოლლათ, ჯანია—ჯანოლლათ და სხვაც ბევრი ასეთნი, ოსმალთა ბარბაროსებმა არც ეს აქმარეს ლაზებს და, მათ დაუწყეს სახელების გამოცვლა მთელს ლაზისტანში სხვა და სხვა სოფლებს, მთებს, მინდვრებს დაბებს და ქალაქებსაც. მაგრამ ვერცა ამით შესძლეს მათ და ლაზებში ვერ ამოაგდეს ლაზური სხოვნა და დღესაც ლაზები თვით ლაზისტანიდამ გასულნი და დაპნეულნიც ლაზურად ლაპარაკობენო; ისინიც, რომელთაც დაჰკარგეს ლაზური ენა და დღეს ოსმალურად ლაპარაკობან ისინიც ამბობენ რომ ჩვენ ლაზები გართ, ანუ ქართველებიო.

### ლაზების ძველი და ახალი.

ლაზები და ლაზისტანი თამარ მეფეს დიდათ ჰყეანდა მიღებული. ამიტომაც გახლდათ, რომ თამარ მეფეებ ლაზისტანში ძრიელ ხშირიდ სცხოვრობდა. ამის მიზეზებია ის, რომ ლაზივტანის ყველა ძველს ნაშთების კეთებას სულ თამარ მეფეს აწერენ. თვით მუსულმანების ნაშთებს და სხვაბსაც მას აუთვინებენ. 1885 და 1890 წლებში მე ვნახე ლაზები და მათგან შევიტყე, რომ მათში ყველა ლაზმა იცის თამარ მეფის სახელი და ისიც, რომ ის ქართველი მეფე იყო.

„ქართლის ცხოვრებით“ და ვახუშტის „საქართველოს გეოგრაფიით“ ვიცით, რომ ლაზები მეთორმეტე და მეცამეტე საუკუნე-

ში დაღათ იყვნენ ამალლებულნი, სწავლა-განათლების მხრით დიდათ იყვნენ წინ დაწინაურებულნი, სამხედრო სამსახურის ცოდნით, საო-მარი იარაღების კეთებით და მეზღვაურობით, რომელსაც ბარონ უსლარიც ასაბუთებს.

ეს სულ მათი ლირსება გახლდათ იმის მიზანთ, რომ თამარ მეფეს ლაზები დიდის პატივისცემით ეპყრობოდნენ.

ლაზების ასე დაწინაურებამ და ნიჭიერებამ თამარ მეფეს მის-ცა დიდი საბუთი, რომ თვით ტრაპიზონის იმპერიის დაარსებაში, ლაზები იქმნენ უპირველეს გმირებათ და მოღვაწეებათ ჩარიცხულნი, რასაც ჩვენი ისტორიაც ასაბუთებს.

ტრაპიზონის იმპერიას თამარ მეფემ ერთგულ მცველებათ ლა-ზები დაუყენა გარს, იმ დროს ლაზებმა ბიზანტიური ენა ისე იცოდ-ნენ, როგორც თავის დედა ენა ლაზურ-ქართული.

დასაბუთებულია, რომ ტრაპიზონის იმპერიის შინაური და გა-რეგნული წესწყობილების განმტკიცება და გაძლიერება პირდაპირ ლაზებს და მათს ენერგიულ შრომას ეკუთხნის. საქმე ისე მოეწყო, რომ მთელი სამცხე-საათაბაგოც კი ლაზებზე და ლაზისტანზე იქმნა მიწერილი და შეერთებული. ამგვარის ერთგული მოქმედებით ლაზე-ბი იყვნენ გარდამეტებული ნაციონალისტები და ესენი ისე იტავდენ თავის ქვეყნის საზღვრებს და ისეთი წესები ჰქონდათ შემოლებულია რომ მის ხელის ხლებას ვერც ბიზანტიელნი ახერხებდნენ, ვერც სომ-ხები და ვერც ოსმალნი. ყველას ეშინოდათ ლაზების.

ლაზების ნაციონალური ძლიერება ისეთი მძლავრი იყო და ამალლებული, რომ იგინი ტრაპიზონის იმპერიის მართვა-გამგეობის დროს, ყველგან სულ ქართულს ენას და წერვა-კითხვას ხმარობდნენ. ქართული ენა და წერა-კითხვა მათ ისე უყვარდათ, რომ თვით ლა-ზისტანის ტრაპიზონის მთავარ ეპისკოპოზისაც კი ეწოდა ეპისკოპოსის ხალთისა, რასაც ნიშნავდა თურმე „ეპისკოპოზი ქართლისას“. ასე რომ ბიზანტიელნი „ქართლის“ მაგივრათ „ხალთას“ ხმარობდნენ თურმე.

ეს ცნობა ჩვენ აქ იმიტომ მოყიდვანეთ, რომ ვიცოდეთ ლაზისტა-ნის ნაციონალური სულის ძლიერება და საქართველოს წინაშე ერთ-გული სამსახური, რომლითაც ლაზები უხვათ იყვნენ დაჯილდოვე-ბულნი.

ლაზების განვითარების და კულტურულად მოშზადების შესახებ თვით მათშიაც არის ბევრი რამ ზეპირის ამბებით დაშთენილი და

ერთ ამბავს ჩვენც მოვიყვანთ აქ, რომ აწინდელმა ლაზებმა კარგათ იცოდნენ თავიანთ წინაპრების მაღალი ღირსება, შემძლებლობა და სიძლიერე.

თამარ მეფემ ტრაპიზონის იმპერიის დაარსების და გაძლიერების გამო, ისურვა ლაზისტანას საზღვრებში ოთხი დიჭი ეკლესიის აშენება. ამ ოთხი დიდი ეკლესიის გაკეთების ზეპირი ცნობები ლაზებს გარდა იციან გადმოცემით ართვინის გასომხებულ ქართველ კათოლიკეებმაც.

ყველა ეს ნაშენი ეკლესიები ლაზებში შეამკეს მორთეს, როგორც შინაგან, ისე გარეგან. შიგნით მორთულება უფრო დიდ ყურადღებას იპყრობდა. მარმარილოს თეთრსა და ლურჯ ქვებზე ქანდაკება და ჩუქურთმის ხელოვნური ხელოვნებაც, რომლის ერთი ნაშთი 1895 წ. შავშეთ-ტბეთის ეკლესიაშიც კი იყო დაშთენილი. ებლა იქ ეს ქვა ალარ არის, სომხებს ჩამოუმტვრევიათ. ასე გადმოგვცემს ექვ. თაყაიშვილიც.

ასეთ იშვიათ ჩუქურთმა-ქანდაკების გარდა, ხსენებული ნაშთები შესანიშნავი იყო კიდევ ფერადი მხატვრობათ, რომელიც უფრო დიდ მნიშვნელობას აძლევდა. მაშინდელი ნახატები დღესაც დიდი ინტერესს იწვევს მნახველებში, რომელნიც უხვათ მოაპოებიან საქართველოში და თვით ლაზისტანშიაც.

გარეთ ჩარიგებულია სხვა და სხვა სურნელოვანა ხეხილებით, როგორც მაგალითად „მაგნოლია“ და სხვები.

ერთი სიტყვით, ლაზებმა მეთორმეტე და მეცამეტე საუკუნოებში ლაზისტანში დიდი აღმშენებლობითი მუშაობა აწარმოეს.

ლაზებმა უსათუოდ უნდა გაეცნონ თავიანთი წარსულს და წინაპრების ცხოვრებას, თუ როკორ იყვნენ ისინი კულტურულათ და-წინაურებულნი. დავსძენთ აქ მოკლეთ ლაზების ახალგაზრდობის საყურადღებოთ, რომ მათი წინაპრები ისე იყვნენ კულტურულათ და-წინაურებულნი და ამაღლებულნი, რომ აწინდელის ლაზებისათვის დიდი სირცხვილი უნდა იყოს, რომ მათ თავიანთ წინაპართა გონივრული მოქმედების და მოღვაწეობის ცნობები კი არ იცოდნენ.

ლაზისტანის ძველის ნაშთების მშვენების მნიშვნელობა ლაზებს ისე კარგათ სცოდნიათ, რომ იგინი თურქე ხახულს, იშხანს, ანჩას, პარხალს დიდას მოწიწებით უყურებდნენ, მის ყოველ ნაშთს იცავდნენ დიდის სიფრთხილით და მასთან ლაპარაკობდნენ შემდეგ საქებურს ცნობებს, რაც კი ხსენებულ ნაშთების ძვირფას მნიშვნელობას ეხებოდა. ეს ამბები მათში იყო ზეპირ დაშთენილი.

ლაზები იტყვიან: „სახელქებულია სიჭრელით სახული, ანუ ვარდის მსგავს მოქარგულებით“, რაღანაც კედლები ასეა გაქეთებული, ერთი წყობა თეთრი ქვა ხმარებული, მის ზემოთ მეორე ფერი ქვა. ასევე არის ზემოთ სხვა ფერის ქვა, ასევე სხვები და მთელი აშენებულია ვარდის ცონის მსგავსათ სხვა და სხვა ფერით და ასევე სხვა გვარ არის შემწობილი ივი.

არის ისეთი გარდმოცემანიც ლაზებში, რომელიც ბევრმა მათგანებმაც არ იციან, ახალგაზრდებს მისი არაფერი არ ახსოვთ, ისანი სულ გათურქებულნა არიან და დაკარგულნი. ესეთი ძევლი ამბები იციან ისევ ძევლმა კაცებმა და ისიც შეგნებულმა პირებმა, რომელთაც თავის ვინაობის კიდევ ახსოვთ ცოტაოდენა ზეპირი გადმოცემით ისტორიული ცნობები.

ასეთი ლაზები არავის ეტყვიან, რომ ისინ, ლაზები არ არიან და იგინი თურქები არიან, ან ქურთები, არა, ასეთებს კიდევ ახსოვთ თავის ვინაობის ცნობები. ამის შეგნებით დაკარგულები არიან უმეტესაა ახალგაზრდება და ისიც, სამწუხაროთ, გლეხკაცობა.

მივიდეთ ისევ ჩვენს ნაშთებზედ: ლაზები იტყვიან: მშვენიერია ანჩა თავის კარგის წარსულიათ და მის შესანიშნავათ მოზოულის ჰაუზ-მილებით და შადრევანებით და ცველა ეს მარმარილოს ქვებით, ჩუქურთმიან ტიკინებით, თოჯებით და ბიზანტიურის ძევლის ფაგურებით და ასეთი შემკაბილობით, რომელთაც გარსვე აკრავთ დასასვენებელი აღვილები და სხვადასხვანაირი ტახტები.

ამნაირი საქებრი გახლადთ თავის მცენარეთა წალკოტებით და მასში მოწყობილ და დანერგილ ხეების მშვენებით და სილამაზით, რომელთა ხილვაც ლაზებს დიდათ ახარებს, ასულდგმულებს და გონებითაც ამალებს თავიანთ წინაპართა ლირსებებზედ.

პარხალი ქებულია თავის კარგი ჰავით და ბუნების სიკეკლუცით. ლაზები იტყვიან ხოლმე, რომ მისი ბუნება არის ზურმუხტისა და ლალისა. ამასთანავე ამ გარემოებას ამშვენებს და ამაღლებს ჩს გარემოებაც, რომ ამ ნაპრალს და კლდიან ალაგას გამრავლებულია ყველანაირი საჭირო და მარგებელ მცენარეთა რიცხვი, რომელთაგან შეზავებული და ოლმოცენებული სულოვნება უადვილესათ ჰკურნავს და ჯანხედ აყენებს როგორც ავალმყოფებს, ისევე, აჯანსაღებს და მასთან რამე სენის მქონებელთ უკარგავს ყველა სატკიგრებს და მათ ასალკლდევებს სამუდამოთ, როგორც ხორციელით ისევე სულიერათაც. ტლეს კი ყველა ესენი მოსპობალია და გაარტახებული ისმალეთის ზეგავლენით.

ლაზისტანის ახალგაზრდობას ვალი აწევ თ კისერზედ, რომ მათ თვითი მცუნარეობას და ოსმალებისგან მოსპობას თავი დააღწიონ, თვალები გაახილონ, ვინაიდგან სირცხვილია მათთვის, რომ ასეთის კულტურული ერის ჩამომავლობა ოსმალთა მონაბას ასე ემორჩილებოდენ. მათ ჩვენ პოლიტიკურათ ბრძოლას ხომ არ ურჩევთ და ამით არ ვაქეზებთ, ვსთხოვთ, რომ მათ თავისი წინაპართა ისტორიულს კვალს ყურადღება მიაქციონ და დაწყონ მეცადინეობა, რაშიაც ვარწმუნებთ, რომ ისინი ლაზისტანში ბევრს რამე ძვირფას ნაშთებთა ცნობებს შეჰქრეფენ, რომელ ცნობებსაც გარს ევლებათ თვით ლაზების წინაპართა კულტურული შემძლებლობის დიადი მნიშვნელობა. ის ეხლაც მოვიყვანთ აქ ერთ გადმოცემას, რომელიც ძველათ გავრცელებული იყო ლაზებში და ეხლა კი ამისი და ზემოხსენებულ ნაშთების ცნობებიც აღარავინ არაფერი იცის, ყველაფერი დავიწყებულ-დაკარგულია მათში.

ის ეს ამბები: თამარ მეფეს ერთხელ დასჭირდა ზემოხსენებულ ნაშთების კეთება. ამიტომ მას თავის თავიდან ერთი თმა გამოიქვრია, ლაზებისთვის მიუცია, მერე ამ თმის საშუალებით ლაზებს ოქროს ხაზინა თუ მადანი უპოვნიათ და მერე ამით დაუმთავრებიათ ხსენებული ნაშთები.

ამ ნაშთების გაყეთების შემდევ, თამარ მეფემ ლაზები დალოცა და მათი ხელოსნობა კურთხეულიც იქმნა. ამიტომაც იყო, იმ დღიდამ ლაზებში დიდს წარმატებას და გავრცელებას მიეცა სახელოსნო საქმეები.

თამარ შეფის დალოცვა და კურთხევისაგან ლაზელ ხელოსნებს ისე კარგათ წაუვიდათ საქმე, რომ მთელი ლაზისტანის ხალხი სულ ხელოსნობის სწავლას გაჰყვნენ. მალე ისიც მოხდა, რომ მთელს საქართველოშა სულ ლაზი ხელოსნები მოიფინენ. ყელელგან სახლებს, ხიდებს, კოშკებს, გალავნებს, ეკლესიებს და სხვასაც ბევრს ასეთებს სულ ლაზელი ხელოსნები აკეთებდნენ.

ეხლა ეს ცნობები აქ იმიტომ მოვიყვანეთ, რომ ლაზებმა იცოდნენ თავიანთ წინაპართა კულტურული შემძლებლობა, რომ მათი ძალები კულტურულათ ასე ყოფილან. დაწინაურებულები, რომ მათ შესძლებიათ ასეთი დიდი ისტორიული ნაშთების კეთებაც, რომელთა გაკეთება ბევრის ხალხისათვის შეუძლებელი იქნება და ნამეტურ ისეთი ხალხისათვის, რომელნიც კულტურათ გაცილებით დაბალ ხარისხზედ სდგანან.

## ლაზების ძველი და ახალი.

აქ ერთი სასახელო კიდევ ის გახლავთ, რომ ჩუქურთმის ჭრა  
და ნამეტურ მარმარილოს ქვაზე ქანდაკებაც ერთობ ძნელი საქმეა,  
მიუხედავათ ამისა ლაზებს ყველა ესენი და ნამეტურ ფურადის წამ-  
ლეაით ხატვაც ისე კარგათ ჰქონდათ შესწავლილი, რომ იგინი სა-  
ხელოვან ხელოსნებად გამოცხადებულან მთელს საქართველოში, რა-  
დგანაც აქ ხელოვნებაზედ არის ლაპარაკი და მტკიცება ლაზების  
წინაპართა კულტურულათ ამაღლების შესახებ. ამიტომ აქ ჩვენ მო-  
კლეთ მოვსთვლით კიდევ ლაზების კულტურულად აჩსებობის ცნო-  
ბებს.

უნდა მოგახსენოთ, რომ ლაზები, როგორც ერთსა და ორს ხე-  
ლოსნობაში ყოფილან დაწინაურებულნი, ასევე ყოფილან ზოგს სა-  
ხელოსნო საქმეებში წარჩინებით შემოსილები. ამის მაგალითია ლა-  
ზების სამეურნეო ნაწილი და ნამეტურ მეხილეობა და ბაზოსნობა,  
მაგალითებრ, ლაზებმა მთელი ლაზისტანის ტყეები და ველები გავ-  
სეს ხილის ხეებით. ძველათ ლაზისტანში ზოგი ხილის ხეები ძრიელ  
ცოტა იყო.

ლაზებმა გაამზავლეს კაკალი, თხილის ხეები, წაბლის, ლელვის,  
წარმატებაში წაიყვანეს ლიმონის, ფორთოხალის საქმეები და ნამე-  
ტურ ზეთის ხილის გამრავლება და მერე ამ ხილის დამარილება  
პირველ ხარისხამდე.

ლელვის ჩირს ისე კარგათ აკეთებენ ლაზები, რომ მათგან გა-  
მხმარი ლელვის ჩირი ისეთი ტკბილი და კარგი გახლავთ, რომ იგი  
ევროპაშიაც კი გაჰქონდათ. ეს ლელვის ჩირი პატარა ყუთებით ჩვენს  
საქართველოშიაც მოჰქონდათ ხოლმე.

ზეთის ხილის ხეებიც მრავალია ლაზისტანში და მათი მოვლაც  
ლაზებმა კარგათ იციან, მაგალითებრ, ზეთის ხილის დაურეფა, მერე  
მისი დამარილება და წნილათ მომზადება. ამათი დამზადებული ზე-  
თის ხილი მუდამ ქებულია ყველგან და იმიტომაც ის კარგ ფა-  
სებშიაც ისყიდება. ლაზური ზეთის ხილი ბევრათ სჯობია ართვინის  
ზეთის ჭილს.

ლაზისტანი, როგორც მდიდარი იყო ბუნებით, მიტომ სავსე  
იყო მთელი ლაზისტანიც სხვა და სხვი სიმღიდრეებით. ამის მაგა-  
ლითს ახასიათებს შემდეგი გარემოება: ლაზისტანში ძველათგანვე  
დიდათ მრავლობდა ფუტკარი, ამიტომ ლაზებმა ფუთკარის მოვლა-

მოშენებაც ძველადგანვე ოსტატურათ შეიგნეს, შეისწავლეს და მერე მათ გამრავლებასაც მიჰყევს ხელი.

ამიტომაც გახლდათ, რომ ლაზისტანში დიდძალი თაფლი მოდაოდა, იმდენი, რომ ლაზისტანის თაფლი უკროპაშიაც კი გაჰქონდათ გასაყიდათ დიდის რაოდენობით, ასე რომ ეს თაფლი საქართველოშიც გაღმოჰქონდათ და კარგ ფასათ ასალებდნენ. მოქლეთ, ლაზისტანი ძველათვანვე თითქმის თაფლის ქვეყანა იყო.

თაფლი ისე მრავალი იყო მათში. რომ დიდძალი წმინდა სანთელიც გამოდიოდა. ეს სანთელი მათში იმ ზომის იყო, რომ ლაზები სახლის ჭრაქათაც კი ხმარობდნენ. გარდა ამისა, წმინდა სანთელი გაჰქონდათ საბერძნეთშიც, რუსეთში და საქართველოშიაც გაღმოჰქონდათ გასასყიდათ.

თქმულება არის, რომ თვით წმინდა სანთლისაგან ლაშებს, თურმე არაყიც კი უხდიათ, რომელიც შემდეგში ეს, სანთლისაგან არყის ხდის წესი გურიაში გადუტანიათ. იმის ცნობაც არის დარჩენილი, რომ ეს არაყი გამოუხდიათ ლაზ ბერებს, რომელნაც თურმე ხახულის მონასტერში იყვნენ აღზრდილნი და იქვე მცხოვრებელნი.

რაკი საეთ ცოდნაზეა ლაპარაკი, არ შეიძლება რომ აქ არ მოვიხსენიოთ ერთი გარემოებაც.

არყის გამოხდასთან ლაზები ლვინის დაყენებაშიაც მოხერხებულნი ყოფილან. მაგალითებრ, ლაზისტანის ტყეებში იგინი მრავლალ მისდევლნენ ვაზის გამრავლების საქმეს. მთელი ლაზისტანის ტყეები ლაზებმა ძველათ სულ ვაზის ხეებით გაავსეს. ამიტომაც ლაზებში უყრძნებიც ბევრი მოდიოდა და აქედამ ლაზები თეთრს და წითელ ლვინოსაც მრავლათ აყენებდნენ. საუწყებელია, რომ იქ ლვინოც თურმე კარგი გამოდიოდა.

მთელს ლაზისტანში, ზედმეტ სულ ლაზური ლვინოები იხმარებოდა, ამას გარდა ლაზებში იმდენი იყო ლვინო, რომ ძრიელ ხშირათ თვით ბიზანტიაშიაც აქედამ გაჰქონდათ ზედაშეთ ლვინო, რადგანაც ბიზანტიის იმპერიის დამხობის შემდევ, იგინი ოსმალთა შიშით ლვინოს ველარ სწურავდენ და ამიტომ მათ ლაზისტანიდამ გადაჰქონდათ საჭირო ლვინო ამისაგან თურმე ლაზებს კარგი მუშაობა და უაჭრობაც აქვნდათ გამართული ბიზანტიაში.

ლაზისტანში ლვინის დაყენების მიმდევრობა ამოეარდა მეჩევიდმეტე საუკუნის ნახევრიდამ, იმის ცნობებიც არის დაშთენილი. რომ ლაზები ლვინოს სვამდენ მაშინაცყი, როცა იგინი ისლამს დაუკავშირდნენ, ეს გარემოება ოსმალის მოლებმა და ხოჯიებმა შეიტყოს,

მათ ლაზებს სასტიკათ აუკრძალეს ღვინის სმა, მაგრამ ვერც აშით გააწყეს რამე, ამის მერე ოსმალთა მთავრობის ბრძანებით მთელს ლაზისტანის ტყეებში დაიწყეს გაზის ხეების ამოვლეჯა და მოსპობა მათი. მოკლე დროის განმავლობაში მოელ ლაზისტანში ისე მოაწყეს საქმე, რომ მეოვრამეტე საუკუნის დამდეგს მთელს ლაზისტანში ვაზის ხეები წამლადაც ალარსად იშოვნებოდა.

ამ გარემოებამ ლაზები დიდად დაალონა, მაგრამ რას იზამდენ, ვერასფერს, ღონისძლენ მით უფრო. რადგანაც ლაზები ღვინისაგან ძმარსაც აქეთებდენ და ამ ძმარს ლაზები საჭმელებს გარდა ხშირათ წამლათაც ხმარობდენ, დალონებული ლაზები აქეთ-იქით მიაწყდენ და მერე მათ მოახერხეს ძმრათ დაყენება და ვამოხდა ხართუთისა-გან, მაშინ ლაზებში „ხართუ ია“ მრავლათ იყო თურმე.

მცირე ხანს შემდეგ ოშალებმა ესეც შეუტყეს და ლაზებს აუკრძალეს „ხართუთის“ ძმრის გაკეთებაც, ლაზები ამის ბრძანებით შეაშინეს, ესენი ბრძანებას დაემორჩილნენ და მის შემდეგ მართლაც ესეც დასტოვეს. ამის შემდეგ მათ ლიმონს დაუწყეს ძმრათ ხმარება და საქმე ისე მოეწყო, რომ წამლათაც ყოველთვის ლიმონისაგან გამონა-ხად წვენს ხმარობდენ. ამაზედ კი ოშალნი ლაზებს ხმას არ სცემდენ, რადგანაც ლიმონის სიმჟავეს თვითონაც ხმარობდენ ოშალნი.

მოკლეთ ითქმის, რომ ლაზებს ოშალებმა ბევრი რამ სამეურ-ნეო საქმეების კეთება და ოსტატობანი დაავიწყეს და ამის ნიშან წყალია ის გარემოებაც, რომ ლაზები მრავლათ მიზდევდენ ღორის მოვლა-მოშენებას, რადგანაც ლაზისტანში რკო და ასეთნი ძრიელ ბევრი იყო, რითაც ღორები საზრდოვდებიან ადვილათ და კარგად, მაგრამ ესეც ამოვარდა მათში, ისე, რომ მეოვრამეტე საუკუნის ნახევარს ამათი ჰაჭანებაც აღარ იყო, დღეს ხომ ლაზისტანმა სრუ-ლიათ კამქრალია ღორების სინსილა, თუმცა ერთ დროს ყოველი ლაზის ოჯახი მდიდარი იყო ამათის რიცხვით.

აწინდელმა გათურქებულმა ლაზებმა უნდა იცოდნენ ის ჭეშმა-რიტება, რომ მათი წინაპრები არას დროს არ ყოფილან უკან ჩა-მორჩილ ხალხათ, იგინი ბევრს მეზობელ ხალხებზედ მალლა იდგნენ კულტურით და საზოგადო საქმეთა პატივისცემით, სულ ეს იყო იმის უმთავრეს მიზეზებათ გამხდარი, რომ ლაზებში ლაზისტანში ყოველ-თვის მაძლრები იყვნენ, ამათი ცხოვრების პირობები ისე იყო მოწ-ყოშილი. რომ დველათ, მთელს ლაზისტანში ერთს მათხოვარსაც ვერა ნახავდით.

ასე იყო ლაზისტანი XII საუკუნეში და ამის შემდეგაც ერთობ კარგს ხანს, ასეთი ცხოვრების წესები ლაზებს მიტომ ჰქონდათ, რადგანაც იგინი სულ ძველათ დაადგნენ წარმატების გზას და ცხოვრების რიგიანათ მოწესრიგებას.

ესეთი ლაპარაკი ვინჩემ მძალე პატრიოტობაში არ ჩამოგვართვას, ანუ ლაზების ქება-დიდებათ და თავის კვეხნაში, ლაზები რომ ასე იყვნენ ცხოვრებით მოწესრიგებულნი და წინ წასულნი, ამას ასაბუთებს კიდევ შემდეგი პირობები.

ლაზები წინათვე გრძნობდენ ასეთ ცხოვრების მოწყობის საჭიროებას, ამიტომაც მათ ამოირჩიეს ორი გზა ასეთი ცხოვრების მოწესრიგებისათვის, პირველათ დაიღვნენ ორს წარმატების გზას, რომაელთა მფლობელობის დროს, მათ კარგათ შეისწავლეს რომაული ენა და მათებურა სახელოსნო საქმეების მართვა გამგეობა და შრომა, რომაელთა ფლობის დროს, იგინი ისე დაწინაურდნენ, რომ სამაღნო საქმეთა მუშაობით რომაელთა წინაც უსწრობდნენ და ყველა სახელოსნო და სამაღნო საქმეებში დიდად სახელოვნებდენ.

რომაელთა ფლობის დროს, როცა რომაელებს ეკავათ საქართველო და შავი ზღვის ნაპირები, მაშინ ლაზებმა გამოსძებნეს ლაზისტანს ახლოს, მურლელის ხეობაში, სპილენძისა, თითბრისა და რკინის. მაღნების ადგილებიც, ლაზებმა ეს მაღნები გახსნეს და მუშაობაც დაიწყეს, ამ მაღნების მუშაობაში გასტანა კარგა ხანს და როცა საქართველოს სამეფო დაარსდა, ფარნაოზ მეფის დროს, ამ მაღნებში სულ ლაზები მუშაობდნენ. ამ მაღნების დამუშავებებს საქმეებს ჩვენი ქართლის ცხოვრებაც გვაუწყებს, ამის ნიშნები ლაზებში დღესაც არის დარჩენილი.

ლაზების ისტორიაში საყურადღებო არის ერთი ის გარემოებაც. რომ რომაელთა მფლობით დამონებულმა ლაზებმა ლაზისტანის გვერდით თითქმის შიგ ლაზისტანში გამოსძებნეს თუთიის მაღნის ადგილები და საქმე ისე მოაწყეს მათ, რომ ართვინსა და ლაზისტანს შუა, ერთს ხეობაში გახსნეს თუთიის (კინკი) მაღანიც, სადაც ლაზებთან ერთად რომაელთ ხელოსნებიც მუშაობდენ. ამ გვარათ ჩვენ ვხედავთ ისტორიაში, რომ ლაზები ცხოვრების წარმატების გზას პირველათ რომაელთა ფლობის დროს დაადგნენ.

საყურადღებოა კიდევ შემდეგი დროც, როცა ამ მხარეზედ გაძლიერდა ბიზანტიელების ძალა ლაზისტანში მოძებნილ იქმნათეთრი და ლურჯი მარმარილოს ქვის მაღნები, ამის გარდა ბიზანტიელებმა უხვაც ბევრი რამ შექმნეს და ააღორძინეს ლაზისტანში.

ბიზანტიის დროს, ლაზები ბევრის ისეთის სახელოსნოს საქმიანობით დაწინაურდნენ, რაც საყურადღებო იყო დიდათ მათს ცხოვ-რებაში.

რომაელთა და ბაზანტიის ფლობაშ ლაზებს ასწავლა ბევრი რამ სახელოსნო საქმეთა კეთება და ნაპეტურ შემდეგ სახელოსნო მუშაობათა წარმოება, რომლითაც ლაზები შემდეგს საუკუნეებში ლაზისტანში დიდათ დაწინაურდნენ და მასთან მთელს საქართველოშიაც დაიწყეს ხელოვნება, რის ნიშნებს ჩვენ „ქართლის ცხოვ-რებაც“ გვაუწყებს შეთერთმეტე საუკუნეშიაც.

საჭიროთ ვსთვლით, რომ რაც ამ წერილის ზემოთ გაკვრით ვილაპარაკეთ. ის აქ თვითონეულით მოვსთვალოთ, რომ დიადი ისტორიული გარემოება აწინდელმა ლაზებმა იცოდენ კარგათ, ეს პირობები მათ უნდა შეისწავლონ კიდეც და იცოდნენ დაწვრილებით. ის პირობებიც, რომ მათ წინაპართა ასეთ შემძლებლობას და კულტურას ერთობ დიდი კავშირი აქვს ჯერად რომაელთა კულტურულს ზეგავლენას და მის შერე ბიზანტიურსაც.

აწინდელმა ლაზებმა უნდა იცოდნენ კარგათ, რომ მათ საშშობლოს ერთ დროს რომაელები ჰულობდა და მეორე დროს ბიზანტია, ამ ხალხებისაგან ლაზებმა შეისწავლეს ბევრი რამ და ამიტომ აქ ჩვენ მოვსთვლით ზოგი ერთებს.

ლაზებმა რომაელთაგან შეისწავლეს მეურნეობა, მევენახეობა და ხეხილების დამყენა და უკეთ მოვლა-მოშენება. ლაზებმა გააფართოვეს ლიმონის ხეხილის დარგვა მთელს ლაზისტანში, ფორთოხალის, ლელვის, თურქუნჯინის, ნარინჯინის, ზეთის ხილის, კაკლის და სხვათა ასეთების.

რომაელთაგან ისწავლეს დაბლობა, ხარაზობა, ტყავზე მუშაობა. ჭონების სახელოსნოებიც რომლების დროს არიან შემოლებული. ყაზაზობაც რომლებისაგან შეისწავლეს, ძაფების მრავალ ფერით გამოყენა.

ძაფების გამოყენის დროს, ლაზებსვე შეიგნეს ნემსების გამოყვანა, ქინძისთავის, მაქრატელის კეთება და ბევრიც სხვა ასეთების, ნამეტურ სარკის შემოლებაც ამ დროს აკუთხნებენ.

ცნობა არის, რომ ლაზებს საპნის კეთებაც რომაელთაგან შეუსწავლიათ, რომაულათ „სავონი“ ეწოდება. ასევე სხვაც ბევრი რამ და გ. წერეთლის სიტყვით, რომაელთა გავლენა ისეთი ძლიერია ქართველ ლაზებზედ, რომ თვით ქართულ-ლაზური სიტყვა რაბაჭიცი, ლათინური ტაბულა გახლავსთ.

რომაელთა შემდეგ ლიზებზედ ერთობ დიდი კულტურული გაცლენა ჰქონდათ ბიზანტიიელთაც. ამათგან ლაზებმა ბევრი რამ შეისწავლეს და ამ შესწავლით იგინი კარგათ დახელოვდნენ. აქ ჯერ კიდევ დავასახელებთ ერთს გარემოებას, რის გაკეთების მსატობა ლაზებმაც რომაელთაგან შეისწავლეს. იგი ბიზანტიიელთა ხელში უფრო განავითარეს. ეს გარემოება გახლავთ საეკლესიო ზარების ჩამოსხმის ცოდნა და მისი ამბავი და ძეირფასთ საეკლესიო ნივთების და ხატების კეთება. რასაც თანა სღევს დიდი ანტიკა ხელოვნური ისტორია. ამის ცხადი საბუთი არის ის გარემოება, რომ ლაზები ამის ცოდნით დიდათ პრშინავდნენ ძეელათ.

ამის მაგალითია ხახულის შლვთის მშობლის ხატის გაკეთების საქმე და ისტორია, რომელიც დღეს გელათში ასვენია, აგრეთვე ანჩის ეკლესიის ხატის ისტორია, რომელიც ტფილისში ასვენია, იშხნის ეკლესიის ხატის ისტორია. პარხალის და სხვა მრავალი. სხვებს არ ვახსენებ, მარტო ესენი კეარი იმის საფუძვლათ, რომ ჩვენ ლაზების ძველ კულტურულათ შემძლებლობაზედ ვილაპარაკოთ.

მიუთითებ მარტო აწინდელ ლაზთა შეილებს. ესენი ნუ შეუშინდებიან იმ გარემოებას, რომ ისინი სჯულით მუსულმანები არიან და მათი მამა-პაპათა კულტურული მოქმედების ნიშან-წყალი კი ჭრისტიანული ნაშთების და განძის გარშემო ტრიალებს, გაიცნან აწინდელმა ლაზებმა ამ განძეულთა ხელოვნური და მხატვრული ცოდნა და იქიდამ დააფასონ თავის წინაპართა კულტურული შემძლებლობა. კულტურის ისტორიის კარი ლია გახლავთ და იქ იქრიფება უცილა მასალები, რაც კი კულტურის შეეხება და მის აღორძინება-განვითარებას.

იგი ვისიც უნდა იყოს, გინდ ქრისტიანის, გინდ მუსულმანთა და თუნდა ჩინელთა, საქმე და საგანი ხელოვნურათ და მხატვრულათ ნაკეთების ისტორიის მასალები გახლავთ საჭირო და მათი ანუსხვა. ამიტომ ლაზთა შეილებს მიუთითებთ კიდევ თავიანთ ძეელს წინაპართა ცხოვრების ცნობებზედ და კურჩევთ, რომ მათ აუცილებლათ უნდა გაიცნონ თავიანთ წინაპართა კულტურულათ მომზადების ისტორია.

თუ ლაზები ამას არ გაიცნობენ და თავის ისტორიას არ შეისწავლიან, მაშინ ისინი ველურის მდგომარეობიდან ვერ გამოვლენ და ვერც ოსმალებს დაახწევენ თავს, ვერც მათ საყველურებს და მუნათს გადარჩებიან, რომელნიც ლაზებს ყოველთვის ასე აყვედრიან ამუნათებენ: „ლაზები ოსმალებმა დაგაწინაურეთ, ჩვენ დაგიხსენით

ქართველების მონობიდან, ჩვენ დაგაყენეთ თქვენ განვითარების გზაზედ, ჩვენ აგიხილეთ თქვენ თვალები და მოგეცით ნათელი ცხოვრება და შეგნება ყველა სახელოსნო საქმეთა წარმატებაში. ამას გარდა ჩვენ მოგეცით ისლამის წმინდა სჯული, უქვენ თქვენი ანბანი არ გქონდათ და ანბანიც ჩვენ მოგეცით, ერთი სიტყვით ველური ხალხი ჩვენ რიგიან და შეგნებულ ხალხათ გაქციეთ“.

ლაზები თუ საქართველოს ისტორიას დაუახლოვდებიან და ნამეტურ შეისწავლიან ლაზისტანის ერის კულტურულ ცხოვრების ისტორიას, მაშინ მათ შეეძლებათ, რომ ოსმალებს საფანადო პასუხი გასცენ.

თქვენ, ოსმალებს, რა ცოდნა და კულტურა გქონდათ, თვით უკულტუროებს ჩვენთვის აბა რა კულტურა და ცოდნა უნდა მოვეცათ, სრულიათ არაფერი. ჩვენ თქვენგან არაშც თუ შეისწავლეთ სხვა და სხვა ცოდნანი, არამედ ჩვენ თქვენს ხელში ყოფნით მოვისპენით და გავჭრით ჩვენის კულტურულის შემძლებლობით თვით ჩვენის ისტორიის ფურცლებზედ, ჩვენ ისე დავკნინდით თქვენს ხელში, რის საშუალებითაც უკანასკნელს ხანაში ჩვენ დავკარგეთ ყვილაფერი ჩვენის ძევლის კულტურის და ამის გამო ჩვენ ველურ ხალხათ ვიქეცით, განვაღირდით, ამიტომაც ოსმალებმა ჩეენზედ ლაპარაქს თავი უნდა გაანებოთ.

საქართველოს ისტორიის შესწავლა და ნამეტურ ლაზების კულტურულ ცხოვრების ცნობებიც თვით ლაზებსაც აამეტყველებს და პირში ენას მისცემს. ასათი წარმატებით და დაწინაურებით ლაზები სრულიად გამოიცვლებიან და ეს რომ მოხდება უსათუოდ, ამასაც მოვიყავანთ აქ. ეს საბუთები მისცემენ ოსმალებს პასუხს. მხოლოდ ლაზებმა კი თვალები უნდა გაახილონ და იცოდენ ის გარემოება, რომ რაც ისინი იყვნენ იმ დროს, როცა ლაზისტანი თავისუფალი იყო და როცა ლაზებიც ქართულს განათლებას და კულტურას იღებდენ, მის მერე, როცა ლაზები ოსმალთა ხელში გადავიდნენ, მერე იგინი სულ გადასხვაფერდნენ და გაველურდნენ. დღეს კი ისინი სულ სხვები არიან. ამიტომაც ისინი გადასხვაფერდნენ.

დღეს ლაზები ისინი ალარ არიან და ალარც ის კულტურა აჭვთ, რაც იმათ ოდესმე, ანუ თავიანთ თავისუფლების დროს ქონდათ. ახლა ამის დასამტკიცებელ საბუთებსაც სულ თითო-თითოს მოვთვლით, რომ ტყუიღი არავის არ ეგონოს. ლაზების წინა დროების ისტორიიდამ, ანუ 1630 წლებამდის, რაც იყვნენ ლაზები და რა ცოდნაც მათ ჰქონდათ.

ლაზებში მეთორმეტე საუკუნიდამ სჩანს. რომ ქართული წერა-  
კითხვა ყველა ლაზმა იცოდა, როგორც კაცებმა, ისე ქალებმა. ესენი  
ქართული ასოებით სწერდნენ ლაზურ სიტყვებს. ამის ცოდნა ლაზი-  
სტანში შენახული იქნა მეცხრამეტე საუკუნის ნახევრამდისაც, რის  
წიგნის საბუთი გახლავთ ლაზელ ბეჭის შაინოლლის ოჯახი, სადც  
ქართული კითხვა ყველაზ იცოდა ამ ოჯახის წევ-თა შორის.

ლაზებში არ იყო არც ერთი სოფელი, რომ იქ ეკლესია არა,  
ყოფილიყოს. ვახუშტის თქმით, ზოგ სოფელში თუ ეკლესიაც იყო,  
შირვა-ლოცვა ლაზებში სრულდებოდა ქართულად, რაღაც ლა-  
ზებს საეკლესიო ენათ ქართული ენა მიაჩნდათ. ქადაგება კი მღვდ-  
ლებმა ლაზურათ იცოდნენ. ზოგს ლოცვებსაც ქართულად ამბობდნენ.

ყველა ეკლესის გვერდით ჰქონდათ სამრევლო სკოლები, სა-  
დაც სწავლა სწარმოებდა ლაზურს ენაზედ, სამრთო წერილს კი ას-  
წავლიდნენ ქართოლს ენაზედ, რაღაც ქართული ენა ლაზების-  
თვის სამრთო ენა გახლდათ, ანუ საეკლესიო.

საეკლესიო ნივთებს და ხატებს აკეთებდენ შიგვე ლაზისტანში  
თვით ლაზები ამის ხელობა მათ ისწავლეს ქრისტეს სჯულის მიღე-  
ბის შემდეგ, ანუ ანდრია მოციქულის დარიგებით, ზოგიც ბიზანტიი-  
დან და ზოგიც მესხეთიდამ და ქართლ-იმერეთიდამ.

სამღვდელო და სამღვდელმთავარო და ბერების შესამოსლებს  
ლაზისტანშივე აკეთებდნენ და ჰკერავდნენ ლაზელი ქალები. შესამო-  
სლების მოქარვა და მორთვაც მათ იცოდნენ. ამის ცნობის დამა-  
კაყოფილებელია თვით უძველეს დროის შესამოსლებზედ ოქრო-  
ვერცხლის ქსოვილებით მოქსოვილებიც.

ლაზებში მეურნეობა და პურის თესვა იცოდნენ, სთესდენ ქერს,  
ჭვავს და ღომსაც. სიმინდის თესვა ლაზისტანში შემოვიდა მეჩვიდ-  
მეტე საუკუნიდან. სიმინდი აქ შეიოიტანეს პირველად რომის მისიო-  
ნერებმა იტალიიდან. ამას ასაბუთებს ის ცნობებიც, რომ მეჩვიდმე-  
ტე საუკუნეზედ წინეთ სიმინდის ხენება ლაზისტანში და თვით იმე-  
რეთში, ხსენებაც კი არა ყოფილი.

ლაზები მევენახობასაც კი მისდევდნენ და მრავლათ აშენებდნენ  
ვაზს. ღვინის მოსავალი იმდენი იყო, რომ ბიზანტიაში და სლავიან-  
თა ტომებში გაპქონდათ გასასყიდათ.

საქონლის, ესე იგი ოთხ ფეხის გამრავლებაც ლაზებმა კარგათ  
იცოდნენ და მრავლოთ აშენებდნენ მწველელ საქონელს: ძროხას,  
ცხვარს, თხას და სხვა და სხვა ასეთებს. კარგათ იცოდნენ აგრეთვე.

გარეული ნადირის მოშინაურებაც, რომელსაც ხელს უწყობდა ლა-  
ზისტანის ადგილ მდებარეობაც.

ფრინველის მოვლა-მოშენებაშიაც მართნი იყვნენ და თვით ქა-  
თმის მოშენებაც ისე კარგათ იცოდნენ, რომ ჭათმის კვერცხებიც კი  
ისე ბევრი ქონდათ, რომ ბიზანტიაშიც გაჰქონდათ და იქ კაი ფა-  
სებში ჰყილნენ.

ლაზებმა იცოდნენ აკრეოვე წისქვილების ქვების თლა და კე-  
თება. მეჩვიდმეტე საუკუნეში ლაზისტანში პურის საცხობათ თონეე-  
ბი და კეცები სცოდნიათ. იცოდნენ კარგათ მეზღვაურობა, ნავების  
მართვა და წყლებზე მგზავრობა. ამას ბარონ უსლარიც მოგვითხ-  
რობს. ჩინებულათ იცოდნენ მეთევზეობა, თევზის ჭერა, ბადეების  
ქსოვა და სხვაც ბევრი ასეთები.

მატყლის შეძენასაც და ბამბის მოყვანასაც მრავლად მისდევ-  
დნენ, რომელიც ლაზებს ზოგი რომაელთაგან ჰქონდათ შესწავლილი  
და ზოგიც ბიზანტიელთაგან.

ლაზებში იყვნენ მრავლათ ისეთი ხელოსნებიც, რომელნიც აკე-  
თებდნენ სპილენძის ქვაბებს, კოკებს, ლიტრებს და მრავალ ასეთ  
ჭურჭლეულსაც.

იყვნენ ისეთი მეჭურჭლენიც, რომელნიც აკეთებდნენ თხის  
ლიტრებს, კოკებს, დოქებს, თონეებს, ქვევრებს და ბევრსაც სხვა  
ასეთებს და ნამეტურ ჭურჭლელს.

იყვნენ მეფუტკრენიც, რომელნიც ფუტკრის მოვლა-მოშენებას  
დიდის ხალისით მისდევდნენ და თაფლიც გამოჰყვანდათ მრავლათ.  
ამაზედ ზემოთ ნახეთ.

იყვნენ ლაზებში ფეიქრებიც, როგორც მამაკაცნი ისე დედაკა-  
ცნი. ესენი ქსოვდნენ და აკეთებდნენ ლაზისტანის ერისთავის ყვე-  
ლაფირს ნართეულებას. ასე რომ უცხო ტომთაგან დართული ნართი  
არ ესაკიროებოდათ.

ლაზებში ქებულ იყვნენ ყველა სახმარებელ იარაღების მკეთებ-  
ლები. სახელოსნო იარაღსაც ესენი აკეთებდნენ, მაგალითად დურგ-  
ლის იარაღს, მჭედლის, კალატოზის და სხვა ასეთების.

იყვნენ ხელოსნები მრავლათ დურგალ-კალატოზი, ხუროები და  
სხვანიც იმდენი, რომ ესენი სამუშაოთ გადმოდიოდეს ქართლში და  
კახეთში, მესხეთ-ჯავახეთში და იმერეთშიაც რომ ყოველთვის სავსე  
იყო ასეთის ხელოსნებით.

იჩვნენ ლაზებში ოქრომჭედლებიც, რომელთაც გამოჰყვანდათ  
ყველანაირი ოქროსი და ვერცხლის სხვა და სხვა ძვირფასეული ნივ-

თები. ყველა ამ ნივთების ოქროს და ვერცხლის შოვნაც თვით უკაშავდა ლაზისტანში იყო, რადგანაც ამის მაღნებიც შიგ ლაზისტანშია და ამის ოსტატობის დაზების ზოგი რომაელთაგან პქონდათ შესწავლილი და ზოგიც ბიზანტიელთაგან.

ლაზებში იყვნენ ისეთი ხელოსნებიც, რომელთაც იცოდნენ კარგათ ამოჭრა და გამოყვანა მარშარილოს ქვებისა, მათი გახეხვა და გალიპვა.

ლაზებმა იცოდნენ აგრეთვე სხვა და სხვა ფერადი საღებავი წამლების გამოყვანა-გამოღნობა, რომელთა მაღნებიც შიგვე ლაზისტანში გახლავთ, მოძებნილი რომაელების მფლობელობის დროს და მათ შემდეგ ბიზანტიელების დროსაც.

სხვა სახელოსნო და საკულტურო საქმეებთა ცოდნას ჩვენ არ მოსთვლით, რითაც ლაზების წინაპრები უხვათ და მრავლათ იყვნენ დაჯილდოვებულნი. ესენიც კმარა მის საფუძლათ, რომ ვიცოდეთ ლაზების კულტურული სამზადისი, ვიდრე მათ ოსმალეთი დაიმორჩილებდა.

ეხლა ლაზებმა დააკვირდნენ თავიანთ. უწინდელ მდგომარეობას შეადარონ უწინდელ ლაზების კულტურული სამზადისი თავის ძველს წინაპრთა ცოდნას. მე იმედი მაქეს, რომ ლაზები ნათლად დაინახვენ და დარწმუნდებიან იმაში, რომ ისინი დღეს აღარ არიან ისინი, რაც წინეთ იყვნენ. ამიტომ საკირო არის ლაზების გამხნევება, აღორძინება და ძიება ისტორიულის ჭეშმარიტების. უიმისოთ ლაზები ყოვალთვის უკან ჩამორჩენილ ხალხად იქნებიან წოდებულნი, რომელიც არ ეპატიებათ მათ, როგორც დიდი წარსული ისტორიის მქონებელ ხალხს.

### ლაზების ბადასახლება

ლაზების გადასახლებას დიდი ისტორია აქვს. ეს ჩვენ ზეპირი გადმოცემით ვიცით, რადგანაც ლაზებში მოხუცებულებმა ზეპირათ იცოდნენ ლაპარაკი, რომ ჩვენი ძვლები ოსმალეთში ხშირათ გადაუსახლებიათო. რაც დღეს, 1894 წელს, ლაზები არიან, აღრე ამაზედ ათვერ მეტი ყოფილან, დღეს მთელი ლაზისტენი ხალხით იქნებოდა სავსეო. მაგრამ აი, ხომ ხედავთ, რომ მთელი ლაზისტანი განახევრებული არისო, ლაზებით სავსე გახლავთ მთელი ოსმალეთიო.

ლაზების უმეტესი ნაწილი ხელოსანი და წვრილი მოვაჭრე ხალხია, ისინი ადვილათ მგზავრობენ სხვა და სხვა ქვეყნებში ხე-

ლოსნობით და ვაჭრობით სცხოვრობდნენ. ვიდრე ესენი ქრისტიანი იყვნენ. მინამდის ამათგანი უმეტესად საქართველოში გაღმოდიოდენ და ხელოსნონდნენ. უმეტესად დურგლები და კალატოზები.

მართლაც, ძველათ უმეტესად ხალხი სხვა და სხვა ხელობას ამ ლაზებისაგან სწავლობდნენ. რაც ლაზები ისლამს დაუკავშირდნენ, მას შემდეგ მათი მისკლა-მოსკლა ქართველებთან შემცირდა, რადგანაც სასულიერო წოდებას ამია შიში ჰქონდათ და ამიტომ აქეთ ალარ უშვებდნენ, რომ მისკლა-მოსკლით და სახელოსნო საქმეთა დამოკიდებულების წყალობით მათ ძველი სჯულის აღარა გახსენებოდათ-რა.

ამიტომ ზემოხსენებულ კუთხეთა მაგიერ ლაზებს დარიგება მიეცათ, რომ მათ სახელოსნო საქმეებისათვის ოსმალეთის ქვეყნებისაკენ ევლოთ, სადაც იგინი უფრო მგრ ხელფასს აიღებდნენ. ლაზებმაც დაიწყეს ამიტომ იქით მოვზაურობა და მართლაც უშიშრად იწყეს საქმეების შოვნა და მუშაობა. პირველ დროებაში ამათ უმთავრეს ბინათ შავი ზღვის ნაპირა ქალაქები და დაბები იქო, მეორე უმთავრესათ ტრაპიზონში გაიმართეს სადგური ჭინა. საქმე ისე წოენი, რომ ამ ორასი წლის წინათ 1700 წ. ტრაპიზონში ლაზთა ხელოსნობის იყო რამდენიმე ათასი სული, რომელიც იქიდამ მარჯვედ ემგზავრებოდნენ მთელს ოსმალოს იმპერიის ქალაქებში და იქ ესენი ხშირად დიდ საქმეებსაც შოულობდნენ.

ასეთის საქმიანობის წყალობით ლაზები თურმე ლაზისტანს ხშირად სცილდებოდნენ და საქართველოს სანაცვალოდ ოსმალეთის ქალაქებში სახლდებოდნენ. 1770 წლებს, თვით კოსტანტინეპოლიც კი საესე ყოფილა ლაზელი დურგლებით, კალატოზებირ, ხურმებით, მჭედლებათ და სხვა ხელოსნებით. სამწუხაროთ, ძველადგანვე ლაზების ეს სახელოსნო ცოდნა და საქმიანობა გახდა მათ ვადასახლების უბთავრეს მიზეზათ და ესენი ამიტომ თავიანთ ქვეყანას ერთობ ადვილათაც ეკარგებოდნენ. ეს დაკარგვა ხშირათ მათის ნებითაც ხდებოდა. თავის ქვეყნიდამ შორს წასული ხშირად შინ ალარ ბრუნ დებოდა და იქ ის ირთავდა თათრის ქალს, სადაც მერე მას გადაგვარებაც ელედა. ასე და ამგვარათ, ლაზისტანს დიდი რიცხვი აქვს მოშორებული და დაკარგული თავის ასპარეზიდამ.

ასეთ მოცილებულთ გარდა ლაზების რაღაც ჯავრი ჰქონდა ოსმალოს მთავრობას, ამიტომ აქედამ ხშირათ მათ მტრობითაც ჰყრიდა და ასახლებდა ოსმალოს ქვეყნებში. ჩვენში ბევრს ახსოვთ, რომ ლაზები ძალიან ხშირათ ძალითაც აუყრისთ და ოსმალეთში გადაუ-

სახლებიათ. ხშირად უმიზეზოთაც ჰყრიდნენ მათ აყრის მიზეზათ ერთ უბრალო დანაშაულობაც კმაროდა თურმე. გარდა ამისა ასახლებონ მიტრმ, რაღანაც შარს უგონებდნენ სჯულის გამო. ხშირად შარის მიზეზათ ლაზების სიკარგეც ხდებოდა. რაც ლაზების გადასახლება დაწყობა:ლა, მის შემდეგ გასული იქმნება ორასი წელიწადი. ლაზებს სჯულის გამო ისინი შარს უშვრებოდნენ, რაღანაც ე'ენი წინათვე კარგი წმინდა თათრები იყვნენ. ამათი დანაშაულობა ამათი სიკარგე იყო, რომელიც ოსმალებს ძლიერ შურდათ.

ორასი წელწადი ჩვენ 1700 წლიდან უნდა ვიგულისხმოთ. აქ ნათქვამ სიკარგეში იგულისხმება ბევრი უპირატესი მხარეები და მასთან მათი სილამაზე.

ლაზების რიცხვი ლაზისტანში ძრიალ შემცირდა. დღეს მთელ ლაზისტანში ამათი რიცხვი 200.000 შეადგენს. ოსმალეთში კი ამათი რიცხვი გაპნეული უნდა იყოს რამდენიმე ათასი. ამას ასაბუთებს ლაზისტანში დარჩენილი ნასოფლარების, ნასაყდრების და მრავალი სხვა ასეთების დიდი რიცხვი. ბევრი რამ ცხადათ მოწმობენ მათ რიცხვის სიმრავლეს. მარტოთ გემების, ნავების და ასეთების კეთების გამო, ესენ თავიანთ ქვეყნიდამ ათასობით არიან დაკარგულნი, ნამეტურ ნაოსნობის ცოდნით. აქამდისაც კი მთელი შავი ზღვის ნაპირები და ამასთან ოსმალეთში სხვა ზღვებიც სავსე იყო ლაზელი ნაოსნობით. ყველა ესეთი ენერგიული მხარეები კი მათ დიდის რიცხვის სიმრავლეს აცილებდა და აშორებდა. ამიტომაც უნდა ითქვას, რომ ლაზების ყოველნაირი ენერგიული ხელოსნობა, ვაჭრობა, სილამაზე და ან სხვა რამ ასეთა ლირსება მათ ტრომის მომსპობ იარაღათ ითვლებოდა.

ასე და ამ გვარათ, ლაზების რიცხვი ოსმალეთში რომ დიდის რიცხვის უნდა იყოს, ამას ფიქრი არ უნდა. ამავე გარეშოებას ასაბუთებს ის ცნობებიც, რაც 1907 წ. ფრანგული გაზეთებიდგან გადაბეჭდილი იყო რუსულ გაზეთებში. იქიდამ ქართულ გაზეთებშიაც დაიბეჭდა ეს ცნობა. მასთან ადგილობრივ რუსულ გაზეთებშიაც, რომ ოსმალოს იმპერიაში ლაზების რიცხვი შესდგება 700.000 მცხოვრები. ამ რიცხვის განცხადებამ ბევრი ქართველი დააფიქრა. ზოგს ტყურლი ეგონა, ზოგს ვინ იცის რა არა, მაგრამ ყოველივე ეჭვი უსაფუძვლო გამოდგა, რადგანაც ეს რიცხვი ლაზების ამოლებული ყოფილა თვით ოსმალოს სახელმწიფო სტატისტიკურის აღწერიდამ და ამიტომ ეს ჩვენთვის არც საკვირველი უნდა იყოს, რომ ოსმალეთში ლაზების რიცხვი შვიდასი ათასისგან შესდგება.

ფრანგულ გაზეთებს, საერთოდ, უანგარიშნიათ და ლაზისტანის მცხოვრებ ლაზების რიცხვი შეუერთებიათ, გადასახლებულ ლაზთა რიცხვი და მიულიათ შვიდასი ათასი.

ასე ყოფილა გამოანგარიშებული:

ორასი ათასი რუსეთის ლაზისტანის საზღვრებიდამ ტრაპიზონამდე; ასრ ათასი ტრაპიზონის ვილაიეთის და სხვა ადგილებში დაოთხასი ათასიც მთელს ოსმალოს იმპერიაში.

ასე და ამგვარათ ჯამი მათ შეუერთებიათ და შვიდასი ათასი მიულიათ.

აქედამ სამასი ათასი ლაზი თავის სამშობლოში ყოფილა და ოთხასი ათასი კი მთელს ოსმალეთის იმპერიაში.

1909.წ. ლაზისტანიდან საქართველოშა მოვიდნენ ოსმალოს ლაზ-მუსულმანები საშედრო ბეითალ ექიმები. ჩვენ გავეცანით მათ, რომლებმაც ჩვენგნით იყიდეს ლაზების შესახებ ფრანგული წიგნები. ისინი თავიანთ ქვეყნის ისტორიით დიდათ დაინტერესებული იყვნენ. მათ გადმოვცეს, რომ ჩვენი ქვეყნის შესახებ ოსმალურს ენაზედ არა, ფერი წიგნები არ მოიპოებათ. მათვე სთქვეს, რომ მთელს ოსმალეთში ლაზების რიცხვი 6—7 ასი ათასი არისო, რომლებმაც თითქოს სრულიად დაადასტურეს ფრანგული გაზეთების ცნობები.

ლაზების გადასახლების და მათი შემცირების გამო აქ უნდა მოვიყვანო შემდეგი ცნობები იქ. ხელაშეილის ისტორიის მოწმობის: მთელი სამცხე-საათაბაგო ლაზისტანით, როცა ოსმალეთს დაუკერია, მაშინ ამ ადგილებში ყოფილა სულ 2.600 სოფელი. აქედამ 1.800 სოფელი ყოფილა ლაზისტანში. ხალხი კი ყველა ამ სოფელებში ყოფილა 6 მილიონი ქართველი. აქედან უნდა გამოიჩიცხოს ლაზისტანის სოფლების რიცხვი 1.800 სოფელი და 2. მილიონი ხალხი. მთელი ეს ადგილები 24 მაზრათ ყოფილა დაყოფილი. სამცხე და ლაზისტანი ამ რიცხვით ჩაბარდა ოსმალეთის სახელმწიფოს 1627 წ. მაშინ ლაზისტანში ერთი მილიონი და შვიდი ათასი სული ყოფილა, 1.800 სოფელი და 3. მაზრა. დღეს კი ეს რიცხვი დიდათ შემცირებულია.



671

୩୧୬୦ ୫୦ ୩୫୩